საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ფილოსოფიის კათედრა

დ. კალანდაძე

ვ. ი. ლენინი და ჭეშმარიტების პროblემა

გამომცემლობა „მეცნიერება"
თბილისი
1970

3K24+1m
3კ24+1მ
კ 183

ნაშრომში მოცემულია ჰეშმარიტების მარქსისტულ-ლენინური განსაზღვრების ანალიზი, დახასიათებულია ჰეშმარიტებისა და პრაქტიკის სტრუქტურა. მათი ძირითადი ნიშნები, გაკრიტიკებულია იდეალისტური კონცეფციები.

I. შესავალი

სამყაროს საიდუმლოების გახსნა და ჭეშმარიტებისაკენ დაუცხრომელი სწრაფვა ყოველთვის იყო ადამიანის შემეცნებითი მოღვაწეობის მთავარი მიმართულება, ჭეშმარიტება სიმართლისა და ღრმა შინაარსის შემცველი სიტყვაა. გარეგნულად ისე მოჩანს, რომ თითქოს ყველა ადამიანი მოკრძალებასა და სიყვარულს იჩენს ჭეშმარიტი ცოდნისადმი. ცნობილია, თუ რა გულმოდგინებითა და შთამაგონებლობით, მასთან რა სისასტიკითა და ძალის გამოყენებით იბრძოდნენ რელიგია და მისი მესვეურები, ჭეშმარიტებად გაესაღებინათ ყალბი ფანტასტიკური წარმოდგენები, როგორ თავგამოდებით ცდილობდნენ იდეალისტები და მეტაფიზიკოსები, ჭეშმარიტებად გამოეცხადებინათ ლოგიკური თანმიმდევრობით ჩამოყალიბებული ცალმხრივი შეხედულებანი. გასაკვირი არ არის, რომ ამ საკითხზე ახლაც მცდარ თვალსაზრისს ქადაგებენ თანამედროვე იდეალისტები, რომელთათვისაც ჭეშმარიტების განმსაზღვრელ ნიშნად მიჩნეულია აზრობრივი შეთანხმება და ის, რასაც მოხერხებულობა და სარგებლობა მოაქვს ადამიანთა მოქმედებისათვის.

მაგრამ განა ყველას ერთნაირად ესმის ჭეშმარიტების შინაარსი ან ყველა ადამიანს უყვარს ჭეშმარიტება? საგნის შესახებ გამოთქმულ აზრს შეიძლება თუ არა მიეწეროს ჭეშმარიტების ნიშანი მის მიმართ ძალის გამოყენების შედეგად? ან იმით, რომ მას ლოგიკური თანმიმდევრობა ახასიათებს? არის თუ არა ჭეშმარიტი აზრი, რაზედაც ადამიანები შეთანხმებულან, ან ის ცოდნა, რომელსაც ადამიანთა გარკვეული ჯგუფისათვის სარგებლობა მოაქვს და მათთვის ხელსაყრელ მდგომარეობას ქმნის?

ასეთია ზოგიერთი საკითხი, რომელიც ჩვენს წინაშე წინასწარ წამოიჭრება ჭეშმარიტების პრობლემის განხილვის დროს.

ყოველი მეცნიერების ამოცანაა, ჩამოაყალიბოს ჭეშმარიტი დებულებანი. მეცნიერული შემეცნების ჩასახვის დროიდან ადამიანები იღწვოდნენ, გაეგოთ სინამდვილე ისე, როგორც იგი არის ცნობიე-

რებისაგან დამოუკიდებლად. მაგრამ შემეცნების ისე წარმართვა, რომ ცოდნა განთავისუფლებულიყო სუბიექტის ცნობიერების მინარევისაგან, მეტად ძნელი საქმე აღმოჩნდა. ადამიანს ჭეშმარიტების მიღწევის გზაზე უნდა გადაელახა გნოსეოლოგიურ და სოციალურ სფეროებში არსებული სიძნელეები და წინააღმდეგობანი.

ჭეშმარიტების გნოსეოლოგიური განხილვის დროს საკითხი დგება მატერიალური საგნისა და აზრის ურთიერთობის შესახებ. ამ შემთხვევაში უნდა მოიხსნას ადამიანის ცნობიერებაში საგნისა და აზრის ყალბი გაორება, დადგინდეს საგნისა და აზრის როგორც ჭეშმარიტი ერთიანობა, ისე განსხვავებაც. ამასთან დაკავშირებით გასარკვევია საგნის რეალური არსებობის საკითხი. შეიძლება თუ არა საგანი რეალურად არსებობდეს, თუ აზრი არ არის მასთან დაკავშირებული? ან პირიქით: შეიძლება თუ არა აზროვნება უმატერიოდ, საგხამდე არსებულად ვაღიაროთ, როგორც პირველადი, გამოსავალი და დასაყრდენი საფუძველი სამყაროს შენობის ასაგებად? ასახავს თუ არა აზროვნება მატერიას? თუ აზრი საგანს ასახავს, მაშინ რა უნდა იყოს საგნისა და აზრის ერთიანობის საფუძველი, როგორი ნიშნებით განვასხვაოთ საგანი აზრისაგან და ჭეშმარიტი აზრი — მცდარი აზრისაგან?

ეს კითხვები ფილოსოფიის მთავარი საკითხის ოხტოლოგიური და გნოსეოლოგიური მხარეებია და მათ ძირითადად აქვთ იდეალისტური და მატერიალისტური გადაწყვეტა.

იდეალიზმს ონტოლოგია გნოსეოლოგიიდან გამოყავს. მისთვის გარესამყარო ცნობიერების საფუძველზე აიგება. ამაშია იდეალიზმის არსება. სუბიექტურ იდეალიზმსა და ობიექტურ იდეალიზმს შორის ამ მხრივ მხოლოდ ფორმალური განსხვავება არსებობს. სუბიექტურ იდეალიზმში საგანსა და აზრს შორის ურთიერთობა ასე წყდება: საგანი ანუ გარესამყარო არსებობს იმდენად, რამდენადაც არსებობს შემმეცნებელი სუბიექტის შეგრძნება, აზროვნება. იდეა. ახალი დროის სუბიექტური იდეალიზმის მამამთავრის ბერკლის აზრით, საგნის რეალური არსებობა ნიშნავს მის შეგრძნებაში ყოფნას. თანამედროვე სუბიექტური იდეალისტებიც ამ ხაზს აგრძელებენ — მათთვის სინამდვილე უშუალო მოცემულობაა, ამის იქით საგანთა არსებობის აღიარება მეტაფიზიკად ცხადდება.

ობიექტური იდეალიზმის თვალსაზრისით აზრი, იდეა, ცხება მოწყვეტილია საგნისაგან და დამოუკიდებელ, ჰიპოსტაზირებულ სინამდვილედ არის გადაქცეული. ტიპიური შეხედულებანი ამ საკითხზე ჩამოყალიბებულია ძველ დროში პლატონის, ხოლო ახალ დროში ჰეგელის ფილოსოფიაში.

პლატონისათვის იდეა, როგორც ზეგრძნობადი და მეტაფიზიკური სინამდვილე, არის მუდმივი, უცვლელი; იგი არის ხილული საგნის საფუძველი. გრძნობადი სამყარო იდეების სამყაროს აჩრდილია. იგი ცვალებადი და მოჩვენებითი ხასიათისაა და ამიტომ არ არის ჭეშმარიტი. ხოლო იდეების სამყარო ჭეშმარიტი სინამდვილეა.

ჰეგელი მატერიალური სამყაროს სუბსტანციად თვლის აბსოლუტურ იდეას, რომელიც დასაბამიდანვე თავისთავში არ შეიცავს ადამიანურ აზროვნებას. მხოლოდ თავისი მაღალი განვითარების პროცესში იძენს იდეა ადამიანური თვითცნობიერების უნარს და, როცა ამ გზით თავისთავს შეიცნობს, აბსოლუტური ჭეშმარიტების უმაღლეს კვარცხლბეკს აღწევს. მაშასადამე, ამ ფილოსოფიის თანახმად, ჯერ არსებობს აზრი და იმის საპირისპირო საგანი, ხოლო ბოლოს კი, შემეცნების უმაღლეს საფეხურზე — ცნებაში საგნისა და აზრის, ობიექტურისა და სუბიექტურის იგივეობა. ასე მიიღება ცოდნა, რომელიც ყოველი არსებულის უმაღლეს გააზრებას და ამავე დროს აბსოლუტურ ჭეშმარიტებას გამოხატავს.

აქ როგორც სუბიექტურ-იდეალისტურ, ისე ობიექტურ-იდეალისტურ კონცეფციაში შემეცნების პროცესის ორი მხარიდან — ობიექტური და სუბიექტური მხარეებიდან აშკარად ჩანს მისი ერთი მხარის, კერძოდ, სუბიექტური მხარის გაზვიადება, გააბსოლუტურება. სუბიექტურ იდეალიზმს სამყაროს მატერიალურ საგახთა არსებობის დასაბუთება გამოჰყავს შემმეცნებელი სუბიექტიდან, ადამიანის ცნობიერებიდან, ხოლო ობიექტურ იდეალიზმს — აბსოლუტური აზროვნებიდან, რომელიც დასაბამიდანვე არსებობს შემმეცნებელი ადამიანის წარმოშობამდე. ამრიგად, იდეალიზმს სამყაროს ონტოლოგიურ არსებაში განმსაზღვრელ საფუძვლად შეაქვს შეგრძნება, აზროვნება, ცნება, იდეა.

ამ სიძნელესთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს, აგრეთვე, დუალისტური კონცეფცია, რომელიც მატერიალურსა და იდეალურს შორის ვერ პოულობს ერთიანობას და ამტკიცებს, რომ სინამდვილის ეს ორი მხარე: მატერია და ცნობიერება, ობიექტური და სუბიექტური, სხეული და სული ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სუბსტანციებია და მათი კომბინაციით მიიღება ერთიანი სინამდვილე, რასაც თავისთავში ეს ორი საწყისი აქვს. დუალიზმისათვის ამ საფუძველზე საგანი და აზრი, შესამეცნებელი და შემმეცნებელი თავიდახვე პრინციპულად გათიშულია და ამიტომ მისი შემდგომი გაერთიანება შეუძლებელი ხდება.

სუბიექტურ იდეალიზმთან და დუალიზმთან არის დაკავშირებული აგნოსტიციზმი, რომელიც „მორცხვად“ მატერიალიზმის პრინციპ-

საც აღიარებს, რამდენადაც იგი ცნობს ადამიანის ცნობიერების გარეთ და მისგან დამოუკიდებლად არსებულად რეალურ სინამდვილეს. ახალ დროში აგნოსტიციზმის ფუძემდებლები იყვნენ დავით იუმი და იმმანუელ კანტი. სამყარო, კანტის აზრით, ორად არის გათიშული: ერთია „ნივთი თავისთავად", ხოლო მეორე — ძოვლენები. „ნივთი თავისთავად" მიღმური ხასიათისაა. მართალია, იგი ძოქმედებს გრძნობათა ორგანოებზე და აღიზიანებს მათ, მაგრამ მისი არსების შემეცნება ადამიანს არ ძალუძს. ცოდნას, კანტის თვალსაზრისით, აქვს ემპირიული და რაციონალური საფუძვლები, ძაგრამ გონება მკაცრად არის შემოსაზღვრული ცდის ფარგლებით, რომლის იქით იგი ვერ გადის. შემეცნება გრძნობადი განჭვრეტით იწყება. გონების როლი ისაა, რომ იგი აპრიორული ფორმებით აწესრიგებს ქაოტურ მდგომარეობაში მყოფ ცდისეულ მოვლენებს, რომლებიც გამოწვეულნი არიან გრძნობათა ორგანოებზე „ნივთების თავისთავად" ზემოქმედების შედეგად.

მაშასადამე, „ნივთები თავისთავად", კანტის მოძღვრების თანახმად, შემეცნების ფარგლებს გარეთ იმყოფება და ბიძგს აძლევს შემეცნებას, ამიტომ იგი მატერიალურ სუბსტანციად უნდა იქნეს მიჩნეული. ხოლო ის სამყარო კი, რომლის საგნები და მოვლენები შეგრძნებაში გვაქვს, რომელთა შესახებაც ჩვენ ცოდნას ვქმნით, არის ტრანსცენდენტალური ცნობიერებით ანუ საერთოდ ადამიანური ცნობიერებით შექმნილი მოვლენათა სამყარო, ეს უკანასკნელი კი არსებით კავშირში არ იმყოფება სუბიექტის გარეთ არსებულ ტრანსცენდენტურ სინამდვილესთან. ამრიგად, ტრანსცენდენტალური სუბიექტის ცნობიერება გამოდის მოვლენათა სამყაროს შემქმნელ სუბსტანციად. კანტის შემეცნების თეორიის მიხედვით, „ხივთი თავისთავად" არ წარმოადგენს შემეცნების ობიექტს. ჩვენ შევიმეცნებთ ფენომენალურ სინამდვილეს, მოვლენებს, რომლებიც გრძნობადი ჭანჭვრეტის ფორმაში — დროსა და სივრცეში იმყოფებიან. ნამდვილი ობიექტი, ე. ი. „ნივთი თავისთავად" არ წარმოადგენს შემეცნების ობიექტს იმიტომ, რომ მათი არსება მიუწვდომელია შეძძეცნებელი სუბიექტისათვის. „ჩვენ, — წერს კანტი, —მოცემული გვაქვს ნივთები, როგორც ჩვენი გრძნობის გარეშე არსებული საგნები, მაგრამ იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენენ ისინი თავისთავად, ჩვენ არაფერი არ ვიცით. ჩვენ ვიცით მხოლოდ მათი მოვლენები, ე. ი. ჩვენ ვიცით მხოლოდ ის წარმოდგენები, რომლებიც ჩვენი გრძნობების აფიცირებით ჩვენში მათ გამოუწვევია"[1].

---

[1] იმმანუელ კანტი, პროლეგომენები, გვ. 96—97

ასეთია აგნოსტიციზმის არსება, რომელიც ნამდვილ მატერიალურ საგანსა და ცნობიერებას ერთმანეთისაგან თიშავს და შეშეცნებისა და ჭეშმარიტების მეცნიერული თეორიის წინააღმდეგ არის მიმართული.

მარქსამდელმა მატერიალისტებმა შემეცნების პროცესის სიძნელეები ძირითადად სწორად გადაწყვიტეს, მაგრამ მთელ რიგ საკითხებში იდეალიზმის წინააღმდეგ ბრძოლისას ვერ გამოიჩინეს თანმიმდევრობა. ამასთან აღსანიშნავია, რომ მატერიალისტთა ერთმა ნაწილმა გადაუხვია მატერიალიზმის პრინციპს, უხეში შეცდომა დაუშვა: აზრი, იდეა თავისი შედგენილობით არსებითად მატერიალურ საგანთან გააიგივა. მაგალითად, ფოხტი წერდა, რომ ტვინი ისე გამოყოფს აზრს, როგორც ღვიძლი ნაღველსო. ასეთ მატერიალიზმს, რომელსაც ჭეშმარიტ მატერიალიზმთან საერთო არა აქვს რა, ვულგალური მატერიალიზმი ეწოდება.

როგორც ცნობილია, იდეალიზმი არ არის ერთგვაროვანი, იგი ყოველთვის იცვლიდა თავის ფორმას. მე-19 საუკუნის ბოლოს ევროპაში წარმოიშვა ორიგინალური ფილოსოფიური მიმართულება — ემპირიოკრიტიციზმი, მახიზმი, რომელმაც მე-20 საუკუნის დასაწყისში ფართო გავრცელება ჰპოვა რუსეთში.

მახიზმი გამოვიდა პრეტენზიით — იდეალიზმსა და მატერიალიზმზე მაღლა დაეყენებინა თავი, იგი ცალმხრივობას სწამებდა მატერიალიზმს, რომლისთვისაც მატერიალური საგანი ადამიანის ცნობიერების გარეთ და მისგან დამოუკიდებლად არსებობს. ასევე ცალმხრივად თვლიდა იდეალიზმს, რომელსაც საგნის რეალური არსებობა წმინდა ცნობიერების ფარგლებიდან გამოჰყავს და ანგარიშს არ უწევს გარესამყაროს არსებობას. მახიზმის თვალსაზრისით, სამყარო ერთიანი და განუყოფელია. ამიტომ მცდარია მისი გათიშვა მატერიალურად და იდეალურად, შინაგანად და გარეგანად, ობიექტურად და სუბიექტურად. ემპირიოკრიტიციზმი გვარწმუნებდა, რომ ყოველგვარი ცალმხრივობისა და ყალბი შეხედულების წყარო სწორედ აზრისა და საგნის გათიშულობაში უნდა ვეძიოთო.

სად არის ამ სიძნელიდან გამოსავალი? ემპრიოკრიტიციზმის თვალსაზრისით, უშუალო და ჭეშმარიტი სინამდვილე, რომელიც თავისუფალია სუბიექტის ყოველგვარი მინარევისაგან, არის „წმინდა ცდა“, ემპირია. სწორედ ეს არის რეალური სინამდვილე, რომელშიც ერთიანდება ფიზიკური და ფსიქიკური, ობიექტური და სუბიექტური. ამ ბუნებრივ ერთიანობას უნდა დაემყაროს შემეცნების პროცესი და საგნის ჭეშმარიტება. „ახალი პრინციპი“, რომელიც შემეცნების თეორიაში ემპირიოკრიტიციზმმა შემოიტანა ზემოაღნიშნული

გნოსეოლოგიური სიძნელის გადასალახავად, არის, ერთი მხრივ, მახის მიერ აღმოჩენილი „სამყაროს ელემენტები“, ხოლო მეორე მხრივ, ავენარიუსის „პრინციპული კოორდინაციის თეორია“. მაგრამ „სამყაროს ელემენტების“ აღმოჩენა ფაქტიურად ნიშნავდა საგნის დაყვანას შეგრძნებებამდე, რაც შეეხება „პრინციპული კოორდინაციის“ თეორიას, ისიც ანალოგიური ხასიათისაა, რადგან ამ შემთხვევაში საგნის არსებობის საფუძვლად გამოდის „მე“ ანუ სუბიექტი თავისი შეგრძნებებით.

როგორც აქედან ჩანს, მახიზმმა არა თუ თავი ვერ დააღწია ბერკლის თვალსაზრისს, არამედ მის ტყვეობაში მოექცა და სუბიექტური იდეალიზმის ახალი ვარიანტი წამოაყენა. ვ. ი. ლენინმა თავის წიგნში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ ნიღაბი ჩამოხსნა მახიზმს და დაამტკიცა, რომ ეს მოძღვრება არ დგას მატერიალიზმსა და იდეალიზმზე მაღლა, რომ იგი არსებითად ბერკლის შეხედულებათა განმეორებაა. ამასთან ლენინმა მოგვცა მარქსისტული ფილოსოფიის პრინციპების შემდგომი გაღრმავება და განვითარება, კერძოდ კი, ასახვისა და ჭეშმარიტების მარქსისტული თეორიის ძირითადი პრინციპების დამუშავება.

დიალექტიკური მატერიალიზმის შემეცნების თეორიასა და კერძოდ ჭეშმარიტების პრობლემის მეცნიერულ გადაწყვეტას საფუძვლად უდევს შემდეგი ძირითადი პრინციპები და დებულებები:

პირველი. სამყაროს მატერიალურობა. სამყაროში არსებული მრავალგვარი საგნები წარმოადგენენ დროსა და სივრცეში მყოფი მოძრავი მატერიის სხვადასხვა სახეებსა და ფორმებს, რომლებიც ვითარდებიან მატერიის კანონზომიერების საფუძველზე და არ საჭიროებენ არც შინაგან სულიერ მამოძრავებელსა და არც „გარეგან“, პირველი ბიძგის მიმცემ მისტიკურ ძალას — ღმერთს. მატერიალისტური მსოფლმხედველობა, მიუთითებს ენგელსი, ნიშნავს ბუნების გაგებას მხოლოდ ისე, როგორც იგი არსებობს, ყოველგვარ უცხო დამატებათა გარეშე[2].

მეორე. მატერიის პირველადობა და ცნობიერების მეორადობა. მატერიალური საგნები რეალურად არსებობენ ადამიანის ცნობიერების გარეთ და მასთან დამოუკიდებლად. „ასახვას, — წერს ლენინი, — არ შეუძლია ასახულის დამოუკიდებლად იარსებოს. მაგრამ ასახული არსებობს ამსახველის დამოუკიდებლად“[3]. ეს დებულება დასტურდება როგორც საღი აზრითა და მეცნიერების მიღწევებით, ისე ადამიანთა პრაქტიკული საქმიანობით.

---

[2] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II. გვ. 464.

[3] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 14, გვ. 75.

მესამე. მატერიალისტური მონიზმის პრინციპი, რომლის თანახმად ცნობიერება არის მაღალორგანიზებული მატერიის — ტვინის თვისება, რომელშიც აისახება გარესამყარო. შემეცნება არის ასახვის რთული, უმაღლესი ფორმა, რომელიც ასახვის მარტივი, დაბალი ფორმისაგან თვისობრივად განსხვავდება. ამრიგად, ცნობიერება მატერიის წიაღიდან ვითარდება, როგორც მისი პროდუქტი. მაშასადამე, აზროვნება უზომოდ არ უპირისპირდება მატერიას[4]. ცნობიერება არ არის მატერიისათვის გარეგანი და რაღაც უცხო, ან მასთან პარალელურად მყოფი მოვლენა. „შეგრძნება,—მიუთითებს ლენინი, — მხოლოდ მატერიის უმაღლეს ფორმებთან (ორგანულ მატერიასთან) არის დაკავშირებული და „თვით მატერიის შენობის საძირკველში“ შეიძლება მხოლოდ ვიგულისხმოთ უნარის არსებობა, რომელიც შეგრძნებას ჰგავს“[5]. ასეთია მატერიალისტური მონიზმის პრინციპი.

მეოთხე. სამყაროსა და მისი კანონზომიერების შეცნობადობა. ცნობიერებას უნარი აქვს ჩაწვდეს მატერიის შინაგან საიდუმლოებას, გახსნას მისი არსება, ჭეშმარიტად ასახოს იგი. მატერიის პირველადობისა და ცნობიერების მეორადობის პრინციპიდან გამოდის სამყაროს შემეცნების შესაძლებლობა. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ცნობიერება, აზროვნება მატერიის ფუნდამენტში მყოფი შეგრძნების მსგავსი უნარიდან, ე. ი. საერთოდ ასახვის თვისებიდან, ვითარდება, მაშინ იგი მატერიის კანონზომიერებისათვის უცხო აღარ ყოფილა და ამიტომ მას, როგორც მატერიის შენობიდან გამოსულს და მისგან წარმოქმნილს, საზოგადოებრივ-ისტორიულ პრაქტიკაში გამოწრთობილს, უნდა შეეძლოს გახსნას და შეუძლია კიდევაც გახსნას მატერიალური სამყაროს შენობის შინაგანი საიდუმლოება, შეიცნოს გარესამყარო.

მეხუთე. შემეცნების თეორიის საფუძველში პრაქტიკის კრიტერიუმის პრინციპი. ცნობიერების მექანიზმისა და ადამიანთა მთელი შემეცნებითი მოღვაწეობის მეცნიერული ახსნა შესაძლებელი გახდა გნოსეოლოგიური და სოციოლოგიური ასპექტების ერთიანობის საფუძველზე. ეს ერთიანობა კი ფილოსოფიაში პრაქტიკის კრიტერიუმის პრინციპის გამოყენებას ემყარება. მაშასადამე, შემეცნების თეორიის საფუძველში პრაქტიკის კრიტერიუმის შემოტანით მარქსისტულმა ფილოსოფიამ მკვიდრი დასაყრდენი შექმნა სამყაროს მეცნიერული შეცნობისა და სხვადასხვა სახის იდეალისტური გნოსეოლოგიური კონცეფციების დასამარცხებლად.

---

[4] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 38, გვ. 107.
[5] იქვე, ტ. 14, გვ. 43.

მეექვსე. სამყაროს საგანთა და მოვლენათა მოძრაობისა და განვითარების დიალექტიკური კონცეფცია.

ამრიგად, მარქსისტული ფილოსოფია ზემოაღნიშნული პრინციპების საფუძველზე ქმნის შემეცნების მწყობრ, მეცნიერულად დასაბუთებულ თეორიას და ამით აბათილებს ყველა სახის იდეალიზმსა და აგნოსტიციზმს, გადალახავს წინამორბედი მატერიალიზმის შეზღუდულობებსა და ნაკლოვანებებს.

ვ. ი. ლენინის ფილოსოფიურ მემკვიდრეობაში ერთ-ერთი მთავარი ადგილი უკავია ასახვის თეორიის საკითხებს, მაგრამ ჩვენ აქედან მიზნად ვისახავთ გავაშუქოთ მხოლოდ ერთი—ჭეშმარიტების ბუნება და მისი ზოგიერთი ასპექტი.

2. ჭეშმარიტების განსაზღვრება და მისი ნიშნების ზოგადი დახასიათება

ჭეშმარიტების პრობლემას ცენტრალური ადგილი ეკავა ყოველი დროის ფილოსოფიაში, მაგრამ თუ რა არის ჭეშმარიტება და მისი განმსაზღვრელი ნიშანი, რა უნდა იქნეს აღიარებული ჭეშმარიტების კრიტერიუმად, ამ კითხვებზე, როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, თანმიმდევრული მეცნიერული პასუხი მარქსამდელმა ფილოსოფიამ ვერ მოგვცა.

საგნისა და აზრის მიმართების საკითხის ახსნაში წარმოშობილი სიძნელე თავიდანვე წინ გადაეღობა ჭეშმარიტების პრობლემის სწორად გადაწყვეტას. ამ შემთხვევაში შემმეცნებელი სუბიექტის წინაშე გაჩნდა ორი გზა, დასმული საკითხის გადაწყვეტის ორი ვარიანტი: პირველი, — შემეცნების პროცესის ახსნის დროს გამოვიდეთ შეგრძნებიდან, აზრიდან, იდეალური სურათი ჩავთვალოთ პირველად სინამდვილედ და აქედან წავიდეთ საგნისაკენ თუ მეორე, — შემეცნების პროცესში პრაქტიკულად მოცემული ობიექტური საგნის რეალური არსებობის ფაქტიდან გამოვიდეთ და ამ საფუძველზე ავხსნათ ცნობიერების აზრის, იდეალური სურათის ბუნება?

თუ პირველი გზაა მისაღები, მაშინ შეგრძნებისა და აზრის კომბინაციაზე ყოფილა დამოკიდებული ცოდნის ხასიათი და რაკი ასეა, ობიექტური სინამდვილის საგანთა და მოვლენათა სტრუქტურა სუბიექტის ცნობიერებას, აზროვნებასა და მის კანონებს უნდა დაექვემდებაროს. მაშასადამე, ჭეშმარიტად უნდა ვცნოთ ისეთი ასახვა, რომელიც სუბიექტის ნებით, ან საერთოდ აზროვნების სფეროთი წესრიგდება. სინამდვილის ახსნის ასეთ სუბიექტივისტურ კონცეფციას მწარედ დასცინოდა ფ. ენგელსი. იდეალისტურ-აპრიორული მეთოდი, მიუთითებდა ენგელსი, „საგნის თვისებებს შეიცნობს არა თვით საგნიდან, არამედ დამტკიცების გზით გამოჰყავს თვით საგნის ცნე-

ბიდან. თავდაპირველად საგნიდან საგნის ცნებას ქმნიან, შემდეგ ყველაფერს თავდაყირა შეაბრუნებენ, საგნის ასახვას, მის ცნებას თვითონ საგნისათვის საზომად აქცევენ. ახლა უკვე ცნება კი არ უნდა შეეფარდოს საგანს, არამედ საგანი უნდა შეეფარდოს ცნებას"[6]. ასეთია შემეცნების იდეალისტური გზა, სინამდვილის ახსნის იდეალისტური ვარიანტი.

თუ მეორე გზაა მისაღები, მაშინ ობიექტური სამყაროს საგნებზე და მათ განვითარების კანონზომიერებაზე ყოფილა დამოკიდებული ცოდნის ხასიათი და, მაშასადამე, ჭეშმარიტად უნდა ვცნოთ ისეთი აზრი, რომელსაც საგნობრივი ბუნება აქვს. ასეთ თვალსაზრისს იცავს მარქსისტული მსოფლმხედველობა.

თანამედროვე ბურჟუაზიულ ფილოსოფიაშიც გრძელდება კამათი ჭეშმარიტების პრობლემის გარშემო. მოაზროვნეთა დიდი ნაწილი კვლავ ფიქრობს, რომ ჭეშმარიტებად უნდა ჩაითვალოს ისეთი მსჯელობა, რომელიც ხასიათდება აზრთა ლოგიკური თანმიმდევრობითა და ურთიერთშეთანხმებულობით ან სხვაგვარად: ჭეშმარიტია ისეთი აზრი, რომელსაც ახასიათებს კოჰერენცობა (Cohaerentia — ლათინურად გადაბმულობა, შეუღლება, შეკავშირება). კოჰერენც-თეორია ჭეშმარიტების ახსნის ნეოპოზიტივისტური ვარიანტია.

მაგრამ ამასთან ერთად თანამედროვე ბურჟუაზიულ ფილოსოფიაში გვხვდება ისეთი თვალსაზრისიც, რომლის თანახმად ჭეშმარიტებად ითვლება არა მხოლოდ ფორმალურ-ლოგიკური წესებით გამოყვანილი აზრი, არამედ ამასთან ერთად ადამიანებს შორის ინტერესთა შეთანხმება. ასეთ შეხედულებას წარმოადგენს კონვენციონალიზმი. ჭეშმარიტება თუ ადამიანთა შეთანხმებით იქმნება, მაშინ სუბიექტის ნება-სურვილები და ინტერესები ყოფილა ჭეშმარიტების ბუნების განმსაზღვრელი ნიშანი და არა საგნის რეალური მდგომარეობა.

ვ. ი. ლენინმა თავის დროზე საფუძვლიანად გააკრიტიკა ჭეშმარიტების იდეალისტური კონცეფცია, რომელსაც რუსი მახისტი ბოგდანოვი ქადაგებდა. ცნობილია, რომ ბოგდანოვი ფიზიკური სამყაროს ჭეშმარიტებას „ზოგადნიშნიანობასა" და „სოციალურად ორგანიზებულ ცდაში" ხედავდა. „იმ ფიზიკური სხეულების ობიექტურობას, — წერდა ბოგდანოვი, — რომელთაც ჩვენს ცდაში ვხედავთ, საბოლოოდ სხვადასხვა ადამიანის გამონათქვამთა ურთიერთშემოწმებისა და შეთანხმების მიხედვით ვადგენთ. საზოგადოდ ფიზიკური სამყარო სოციალურად-შეთანხმებული, სოციალურად-ჰარმონიული, ერთი სიტყვით, „სოციალურად-ორგანიზებული ცდაა"[7].

---

6 ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, გვ. 113.

7 ციტირებულია ვ. ი. ლენინის ნაშრომიდან, თხზ., ტ. 14, გვ. 147.

ვ. ი. ლენინმა მეცნიერებიდან და პრაქტიკული ცხოვრებიდან აღებული მაგალითების საფუძველზე ამხილა ბოგდანოვის დებულების უსაფუძვლობა და მცდარობა. თუ „ზოგადნიშნიანობა“ და „სოციალურად-ორგანიზებულობა“ არის ჭეშმარიტების განმსაზღვრელი ნიშანი, მაშინ რელიგიური მოძღვრებაც ჭეშმარიტი ყოფილა, რადგან ადამიანთა დიდი ნაწილი მისი მომხრეა. „თუ ჭეშმარიტება (მათ შორის მეცნიერული ჭეშმარიტებაც), — მიუთითებს ლენინი, — მხოლოდ ადამიანის ცდის მაორგანიზებელი ფორმაა, ამით აღიარებულია ხუცობის ძირითადი დებულება, მისთვის კარი იღება, ადგილი იწმინდება რელიგიური ცდის „მაორგანიზებელი ფორმებისათვის“[8].

ჭეშმარიტების სუბიექტურ-იდეალისტური მოძღვრებიდან აღსანიშნავია პრაგმატისტული კონცეფცია, რომელიც საკმაო პოპულარობით სარგებლობს არა მარტო ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც ეს ფილოსოფია წარმოიშვა, არამედ სხვა ქვეყნებშიც. პრაგმატიზმის თანახმად, ჭეშმარიტია ის აზრი, რომელიც სასარგებლოა. შეიძლება თუ არა ვთქვათ, რომ ჭეშმარიტებას სარგებლობა მოაქვს? რა თქმა უნდა, შეიძლება. ჭეშმარიტების ფუნქცია ისაა, რომ ადამიანს ემსახუროს, ორიენტაცია მისცეს მას გარესამყაროს საგნებთან და მოვლენებთან მიმართებაში, ხელი შეუწყოს მის თავისუფალ მოქმედებას, გარესამყაროს კანონებსა და თავისთავზე ბატონობას. მეცნიერება ნამდვილად ისახავს ასეთ ამოცანას. სწორედ ეს არის ჭეშმარიტების საზრისი და ღირებულება, მაგრამ აქედან ის დასკვნა სრულიადაც არ გამოდის, რომ ჭეშმარიტების განმსაზღვრელი ნიშანი სარგებლიანობაა, რადგან ეს უკანასკნელი ყოველთვის სუბიექტის, ან საერთოდ ადამიანთა ჯგუფის ინტერესებთან არის დაკავშირებული და თუ ასეთი თვალსაზრისით მოვეკიდებით ამ საკითხს, მაშინ გარდუვალია სუბიექტივიზმი, ისეთი კონცეფცია, რომელიც ობიექტური ჭეშმარიტების არსებობაზე უარს ამბობს.

ვ. ი. ლენინი ჭეშმარიტების ბუნების ახსნაში მახიზმსა და პრაგმატიზმს შორის არ ხედავს ძირითად განსხვავებას. რადგან, თუ მახისტებისათვის ჭეშმარიტება არის „სოციალურად ორგანიზებული ცდა“ ან „აზროვნების ეკონომიური პრინციპის“ გამოყენება, პრაგმატიზმისათვის იგი „შემეცნების ინსტრუმენტს“ ან „მოქმედების წესებს“ წარმოადგენს. „ჭეშმარიტების მიჩნევა შემეცნების იარაღად, — წერს ამასთან დაკავშირებით ლენინი, — ნიშნავს უკვე არსებითად

---

[8] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 14, გვ. 149.

ბადასვლას აგნოსტიციზმის მხარეზე, ე. ი. მატერიალიზმის მიტოვებას. ამაში და ყოველივე ძირითადში პრაგმატისტები, მახისტები, ემპირიომონისტები ერთი ჯურის ხალხნი არიან"[9]. ასეთია ჰეშმარიტების საკითხის ახსნაში თანამედროვე სუბიექტურ-იდეალისტური თეორიის ზოგადი ნიშანი.

ობიექტური იდეალიზმი არ იზიარებს ჰეშმარიტების სუბიექტურ-იდეალისტურ და აგნოსტიკურ კონცეფციებს, მაგრამ არსებითად იგი სუბიექტური იდეალიზმისაგან მაინც არ განსხვავდება, რამდენადაც მატერიალური საგანი, ობიექტური სინამდვილე მასთან იდეალური სამყაროდან, აზროვნებიდან არის გამოყვანილი. ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ასეთ თვალსაზრისს ქადაგებდნენ პლატონი, ჰეგელი და სხვები. მაგალითად, აღსანიშნავია, რომ ჰუსერლი ილაშქრებს ფსიქოლოგიზმის წინააღმდეგ. ამ მხრივ გარეგნულად საქმე ისეა წარმოდგენილი, რომ იგი თითქოს სწორი პოზიციიდან გამოდის, რამდენადაც უარყოფს ჰეშმარიტების ბუნების სუბიექტის ცნობიერებისადმი დაქვემდებარებას, მაგრამ ფაქტიურად ჰუსერლი ყალბ მდგომარეობაში ვარდება, როცა ჰეშმარიტება მას გააქვს სუბიექტის ფარგლებიდან და საერთოდ ადამიანური აზროვნების პროცესისაგან მოწყვეტილად განიხილავს. ძნელი არ არის იმის გაგება, რომ თუ ჰეშმარიტების კატეგორიას მოვწყვეტთ შემმეცნებელი სუბიექტის ცნობიერებისაგან, მაშინ მისტიკაში ჩავვარდებით. ამრიგად, ან სუბიექტივიზმი ან მისტიკა, ასეთია საბოლოო პუნქტი, რომლისკენაც იდეალიზმს მივყევართ.

ჰეშმარიტების პრობლემის თანმიმდევრული მეცნიერული გადაწყვეტა მოცემულია მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიაში, რომელიც ასახავს მეცნიერულ პრინციპებს ემყარება. შემეცნების პროცესის ახსნის დროს მარქსისტული ფილოსოფია იქიდან გამოდის, რომ მატერიალური სამყარო ნამდვილად არსებობს ცნობიერების გარეთ და მისგან დამოუკიდებლად. ეს გარემოება პრაქტიკით მტკიცდება. ამის საფუძველზე წყდება, თუ როგორ აისახება სუბიექტში გარესამყარო და როგორ გავარჩიოთ ჰეშმარიტი აზრი მცდარისაგან, როგორ გადადის მატერიალური საგანი აზრში და რაში მდგომარეობს საგნისა და აზრის ერთიანობა და განსხვავება. პრინციპული დაპირისპირებულობა მატერიალიზმისა და იდეალიზმისა უმთავრესად ამ საკითხის გაგებაში იჩენს თავს. თუ იდეალიზმში მატერიალურ საგანთა არსებობა დასაბუთებულია შეგრძნებიდან, აზროვნებიდან, მატერიალისტურმა ფილოსოფიამ იდეალიზმის საწინააღმდეგოდ საგნის ობიექტური არ-

---

[9] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 34, გვ. 480.

სებობის ფაქტიდან უნდა დაასაბუთოს აზრის არსება. მაგრამ ყოველ-გვარი საგნიდან, ცხადია, არ გამოიყვანება აზრი. ეს უკანასკნელი მხოლოდ მაღალორგანიზებული მატერიიდან — ადამიანის ტვინიდან წარმოიშობა, რადგან მხოლოდ ადამიანის ტვინს აქვს ისეთი თვისება, როგორიცაა ცნობიერება, აზროვნება და ამ საფუძველზე ასახვის უმაღლესი სახე — შემეცნება.

შემეცნების განხორციელება გულისხმობს, ერთი მხრივ, გარე-სამყაროს, ობიექტს, რომელიც შესაცნობია, ხოლო მეორე მხრივ, სუბიექტს, რომელიც ამ ობიექტს შეიცნობს. სუბიექტ-ობიექტის ურთიერთობის შედეგად წარმოიშობა იდეალური სურათი, რომელიც ადამიანის ცნობიერებაშია გამოხატული. იდეალისტები ამტკიცებენ, რომ იდეალური სურათის არსებობა უდევს საფუძვლად ობიექტური მატერიალური საგნების არსებობას. მატერიალიზმი კი ამტკიცებს, რომ მატერიალური საგნის ობიექტურად არსებობა განსაზღვრავს იდეალურის არსებობას. იდეალური, — წერს მარქსი, — სხვა არაფერია, თუ არა მატერიალური ადამიანის თავში გადატანილი და მასში გარდაქმნილი[10].

ასეთია ჰეშმარიტების ბუნების გაგებისა და ახსნის ამოსავალი დებულებები მარქსისტული ფილოსოფიის თვალსაზრისით. მაგრამ როგორ უნდა გვესმოდეს ჰეშმარიტების შინაარსი, მისი სტრუქტურა?

ამ საკითხის გარკვევისათვის საჭიროა ზოგადად დავახასიათოთ ჰეშმარიტების ნიშნები, რომლითაც ამავე დროს ნათელი გახდება ჰეშმარიტების სტრუქტურა და მისი განსხვავება მცდარობისაგან.

ჰეშმარიტების ერთ-ერთი დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშანი, რომელიც პირველად უნდა განვიხილოთ, ისაა, რომ იგი აზრობრივი ხასიათისაა და სუბიექტურ ფორმაში წარმოგვიდგება. ჰეშმარიტება აზრია და არა მატერიალური საგანი. მაგრამ ეს აზრი ადამიანური სუბიექტის გარეთ და მის ისტორიულ ჩამოყალიბებამდე ადრე კი არ არსებობდა ეგრეთწოდებული „აბსოლუტური იდეის“, „მსოფლიო გონების“ სახით, როგორც ამას ჰეგელი ასაბუთებს, ან ჰეშმარიტი აზრი შემმეცნებელი სუბიექტისა და შესამეცნებელი ობიექტის მიღმა, მისტიკურად კი არ არის, როგორც ამას ჰუსერლი და მისი მიმდევრები ამტკიცებენ, არამედ იგი არსებობს ადამიანის თავში, შემმეცნებელი სუბიექტის ცნობიერებაში.

აქედან გამომდინარე გასაგებია ის თვისობრივი განსხვავება, რო-

---

[10] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I, სახელმწ. გამომცემლობა, 1954, გვ. 23.

:მელიც საგანსა და ჭეშმარიტებას შორისაა დამყარებული. საგანი[11] მატერიალურად არის მოცემული, როგორც განსხვავებული სისტემა, ,ჭეშმარიტება კი იდეალურია. ჭეშმარიტება აზრის ნიშანი, აზროვნების პროდუქტია და არა საგნისა, რომლის შესახებაც შეიძლება ვთქვათ, რომ იგი მხოლოდ მატერიალურად არსებობს აზროვნების გარეთ და აზრისაგან დამოუკიდებლად. მიუხედავად ამისა. ზოგჯერ ის, ვინც ჭეშმარიტების მარქსისტულ თეორიას კარგად არ იცნობს, ცდება: ჭეშმარიტებას აიგივებს ობიექტურ სინამდვილესთან. საგნის რეალურ არსებობასთან. ასეთ შეხედულებას, ცხადია. დაბნეულობა შეაქვს ჭეშმარიტების ცნების სწორად გაგებაში.

მაგრამ აზროვნების პროდუქტი მხოლოდ ჭეშმარიტი აზრი კი არ არის, აზროვნების პროდუქტად გამოდის აგრეთვე შეცდომაც. ასეთი განსხვავებული და დაპირისპირებული მხარეები რომ არ ახასიათებდეს შემეცნების პროცესს, მაშინ ჭეშმარიტების პრობლემის გადაჭრაში ის დავა კი აღარ იქნებოდა, რაც ფილოსოფიაში თავიდანვე წარმოიშვა და დღესაც არ დამთავრებულა.

რა ნიშნით განვასხვაოთ ჭეშმარიტი აზრი მცდარი აზრისაგან?

ჭეშმარიტების ნიშანი, როგორც ვთქვით, ისაა, რომ იგი აზრობრივია, ე. ი. მას იდეალური, სუბიექტური ფორმა აქვს. ის, ვინც დაიწყებს ჭეშმარიტების ამ უპირველეს ნიშანს, ობიექტურ იდეალიზმში გადავარდება. მაგრამ ეს ასპექტი ჩვენ მაინც არ აგვიხსნის იმ საფუძველს, რითაც ჭეშმარიტების შინაარსია განსაზღვრული. აზრობრივი ანუ სუბიექტური ფორმა აქვს როგორც ჭეშმარიტებას, ისე მცდარობასაც. ამიტომ ჭეშმარიტების განმსაზღვრელი საფუძველი ცნობიერების ფარგლებს გარეთ უნდა ვეძებოთ და არა ცნობიერების ფარგლებს შიგნით. ასეთია ჭეშმარიტების ბუნების სწორი ახსნის გასაღები.

აქ, ამ პრობლემის კვლევის დროს თავს იჩენს სიძნელე: თუ ჭეშმარიტება აზრია, მაშინ აზრს როგორ უნდა ჰქონდეს ისეთი განმსაზღვრელი ნიშანი, რომელიც მისი მსგავსი, ე. ი. აზრობრივი არ იქნება? თუ ცნობიერების გარეთ არსებული მატერიალური საგანია ჭეშმარიტების ბუნების განმსაზღვრელი, მაშინ მატერიალურ-საგნობრი-

---

11 როცა ჩვენ საგანსა და ჭეშმარიტებას შორის განსხვავებაზე მივუთითებთ, ყოველთვის მხედველობაში გვაქვს შემეცნების ობიექტი, როგორც შესამეცნებელი მატერიალური საგანი და არა შემეცნების საგანი საერთოდ. ცნობილია, რომ ლოგიკაში საგნად ითვლება იდეალურიც, აზრიც, როცა იგი შემეცნების საგნად არის გადაქცეული. ამ შემთხვევაში ჭეშმარიტებაც საგანია, რამდენადაც ჩვენ მას განვიხილავთ როგორც შესწავლის ობიექტს.

ვი როგორ უნდა შეეიდეს მ-ს საპირისპიროში — ცნობიერებაში და გადაიქცეს იქ იდეალურ-საგნობრივად?

იდეალიზმში, კერძოდ სუბიექტურ იდეალიზმში, როგორც აღნიშნული იყო, არ დგას ცოდნის საგნობრივი ბუნების საკითხი. მაგალითად, ბერკლის აზრით, იდეა არ ასახავს საგანს, რადგან ასეთი რამის დაშვება უაზრობაა. იდეით მხოლოდ იდეის ასახვა შეიძლება და არა მატერიალური საგნისა, რომელიც იდეის მსგავსი არ არის. ამიტომ ობიექტური საგნის ნაცვლად ბერკლის შემოაქვს ცნება: „შეგრძნება". მაშასადამე, საგანი შეგრძნებასთან, იდეასთან არის გაიგივებული[12]. დღესაც ასეთ თვალსაზრისზე დგას იდეალისტთა დიდი უმრავლესობა ნეოპოზიტივისტების სახით.

ცოდნის საგნობრიობის[13] პრინციპი პირველად მარქსისტულ-ძა ფილოსოფიამ წამოაყენა. ნამდვილად ამ პრინციპის საფუძველზე გახდა შესაძლებელი ჭეშმარიტების მეცნიერული ახსნა და საერთოდ გნოსეოლოგიაში იმ ლოგიკური დახშული წრიდან გამოსვლა, რაც უაზრობად, შეუძლებლად მიაჩნდათ ბერკლისა და ფიხტეს.

ამრიგად, ჩვენ უნდა დავასაბუთოთ, თუ როგორ არის შესაძლებელი აზრში, სინამდვილის იდეალურ მხარეში არსებობდეს ობიექტური და საგნობრივი ნიშანი. ვ. ი. ლენინი სწორედ ამ ასპექტს მიაქცევს მთავარ ყურადღებას და ჭეშმარიტების ცნებასაც ამ მთავარი ნიშნით განსაზღვრავს.

რა არის ჭეშმარიტება? ჭეშმარიტება ლენინის განსაზღვრებით, არის ადამიანის წარმოდგენების, ადამიანის აზრების ისეთი შინაარსი, რომელიც დამოკიდებული არ არის სუბიექტზე, დამოკიდებული არ არის არც ადამიანსა და არც კაცობრიობაზე[14]. დავუკვირდეთ ამას! წარმოდგენებში, აზრში არის ისეთი შინაარსი, რომელიც დამოკიდებული არ არის შემმეცნებელ სუბიექტზე. მაშასადამე, სუბიექტურ ფორმაში, იდეალურში ყოფილა ისეთი შინაარსი, რომელიც საგნობრივია, ე. ი. ობიექტურად არსებული საგნით არის განსაზღვრული და -შიტომ სუბიექტის ნებას, მთელი კაცობრიობის ნებას იგი, ეს შინაარსი, არ ექვემდებარება; ადამიანებს არავითარი ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ მასზე. ცოდნის ეს შინაარსი მხოლოდ ჩვენს გარეთ და ჩვენგან დამოუკიდებლად არსებული ასახული საგნის მდგომარეობით, მისი ბუნებით განისაზღვრება.

---

[12] იხ. Дж. Беркли, Трактат о началах человеческого знания, 1905, გვ. 65, 87—88.

[13] კ. მარქსი, თეზისები ფოიერბახის შესახებ, იხ. კ. მარქსი. ფ. ენგელსი, რჩეული ნაწ., ტ. II. გვ. 484.

[14] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 14, გვ. 145.

მაგრამ როგორი ხასიათისაა ეს შინაარსი, იგი მატერიალური შინაარსია თუ იდეალური შინაარსი? როცა ჩვენ ვამბობთ, რომ ჭეშმარიტი ცოდნა საგნობრივია, ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ საგანი აზროვნებაში მოცემული ისეა, როგორც იგი თავისთავად არის? რა თქმა უნდა. არა! მატერიალური საგანი ცნობიერებაში შემოდის გადამუშავებული სახით. ამიტომ, — ამბობს მარქსი. — იდეალური სხვა არაფერია, თუ არა მატერიალური — ადამიანის თავში გადატანილი და გარდაქმნილი. მაშასადამე, საგანი ადამიანის თავში გარდაქმნილი სახით გადადის. საგნის იდეალური გარდაქმნა ნიშნავს მის შესახებ ცნების შემუშავებას. საგნები და მოვლენები ცნობიერებაში აისახებიან არსებითი ნიშნებით, ცნებებით, რომლებიც გამოხატულია ცალკეული ენობრივი ნიშნებით. შემეცნების პროცესში ადამიანის ცნობიერებაში ობიექტური სამყაროს შესახებ იქმნება იდეალური სურათი, აბსტრაქტულ-ლოგიკური სინამდვილე. ასეთია ცნება, მსჯელობა, დასკვნა და საერთოდ იდეები, შეხედულებები, მეცნიერული თეორიები.

აქედან გასაგებია, რომ ცნების შინაარსი, ჭეშმარიტების ის შინაარსი, რომელიც დამოკიდებული არ არის შემმეცნებელ ადამიანზე და საერთოდ კაცობრიობაზე, მატერიალურ საგანს კი არ წარმოადგენს, იგი ადამიანის გარეთ კი არ არსებობს, არამედ თვით ადამიანის ცნობიერებაშია. მაშასადამე, ეს შინაარსი იდეალურად არის მოცემული ცოდნის სახით და სწორად შეესაბამება ობიექტურად არსებულ საგანს. სწორედ ასეთ ცოდნას, ასეთ იდეალურ ფორმაში მოცემულ შინაარსს ეწოდება ჭეშმარიტება. მაშასადამე, ჭეშმარიტების შინაარსი იდეალურია, მაგრამ იგი, ეს იდეალური შინაარსი, ცნობიერების გარეთ არსებული საგნის შინაარსით განისაზღვრება და ამით მატერიალური საგანი ასახვის და განზოგადების შედეგად აზრობრივად იქცევა, ხოლო აზრობრივს საგნობრივი ხასიათი ეძლევა; შემეცნების შედეგად მატერიალურ-საგნობრივი იდეალურ-საგნობრივად იქცევა. ჭეშმარიტება აზრობრივ-საგნობრივი ცოდნაა, ეს იმას ნიშნავს, რომ იდეალური შინაარსი, რომელიც ჭეშმარიტებას ახასიათებს, წარმოადგენს მატერიალურ-საგნობრივი შინაარსის ადეკვატურ სურათს. ამიტომ ჭეშმარიტებას ჩვენ ვუწოდებთ აზრის, ცოდნის თანხმობას საგანთან. თუ ადამიანები შეთანხმდებიან ცოდნაში, თუ ისინი ობიექტური სინამდვილის შესახებ რაიმე აზრს შეიმუშავებენ ურთიერთშეთანხმებისა და ინტერესების საფუძველზე და არა საგნის ბუნებიდან გამომდინარე, მაშინ ასეთი ცოდნა სუბიექტური ხასიათის მატარებელი იქნება, რადგან იგი ამ შემთხვევაში ანგარიშს არ უწევს რეალურ სინამდვილეს. ასეთი ცოდნა არ გამომდინარეობს საგნის ობიექტური

ნიშნების ასახვიდან. მაშასადამე, ჭეშმარიტი ცოდნა მიიღება აზრის საგანთან შეთანხმებით და არა აზრის აზრთან შეთანხმებით.

აქვე უნდა მივუთითოთ სისწორესა და ჭეშმარიტებას შორის ურთიერთმიმართებაზე. მართალია, სისწორე და ჭეშმარიტება ხშირად სინონიმებად არის გაგებული, მაგრამ ფორმალურ ლოგიკაში ისინი არ არიან იგივეობრივი ცნებები. სისწორე გამოხატავს ლოგიკური წესების მიხედვით აზრების ჩამოყალიბებას სათანადო მსჯელობებისა და დასკვნების სახით. ფორმალური ჭეშმარიტება მოითხოვს აზრის აზრთან ლოგიკურ შეთანხმებას, მის წინაშე არ დგას აზრიდან საგნისაკენ წასვლის საკითხი. ხოლო საგნობრივი, შინაარსობლივი ჭეშმარიტება სცილდება აზრთა, მსჯელობათა ფორმალურ სისწორეს და მოითხოვს აზრის საგანთან თანხმობას. აზრი ჭეშმარიტია მაშინ, თუ ის საგნის შინაარსს შეესაბამება, თუ კი საგნის არსება აზრობრივად ასახულია ასასახავი საგნის ძირითადი ნიშნების მიხედვით. ფორმალური სისწორე ჭეშმარიტი აზრისთვისაც აუცილებელი თვისებაა. იგი ჭეშმარიტების ერთ-ერთი ნიშანია, უფრო სწორად, ეს არის პირობა ჭეშმარიტი აზრის გამოთქმისათვის, მაგრამ, როგორც წესი, სისწორე, ამ აზრით გაგებული, ჭეშმარიტების არსებას არ გამოხატავს. თანამედროვე ბურჟუაზიულ ფილოსოფიაში — ნეოპოზიტივიზმში გაზვიადებულია ჭეშმარიტების ეს არაარსებითი ნიშანი და, როგორც ზემოთ ითქვა, ჭეშმარიტი აზრის მთავარ ნიშნად გამოცხადებულია ლოგიკური სისწორე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს შემდეგი დასკვნა: საგნისა და აზრის ერთიანობა და შესაბამისობა ჭეშმარიტი ასახვის ობიექტური გნოსეოლოგიური კანონია, რომელიც ადამიანის ნებას არ ექვემდებარება. მართალია, ამ ობიექტური გნოსეოლოგიური კანონის არსებობა იმის გარანტიას არ იძლევა, რომ შემეცნება ყოველთვის ჭეშმარიტების მიღწევის გზით წარიმართოს, მაგრამ ასახვის დროს თუ ადამიანმა ანგარიში არ გაუწია ამ კანონის მოქმედებას, იგი უეჭველად აცდება ჭეშმარიტების გზას და სუბიექტივიზმის ტყვეობაში აღმოჩნდება. ასეთი ასახვით შემმეცნებელი ადამიანი შექმნის არა შესამეცნებელი საგნის ნიშნებით განსაზღვრულ, არამედ სუბიექტის ნება-სურვილით განსაზღვრულ ცოდნას და ამის შედეგად ჭეშმარიტი ცოდნის ნაცვლად მცდარობას მივიღებთ.

მაშასადამე, ჭეშმარიტება არის არა აზრის აზრთან შესაბამისობა, ან ადამიანთა შორის ინტერესთა შეთანხმების საფუძველზე მიღებული ცოდნა, ან ის, რაც ადამიანებისათვის სასარგებლოა, არამედ აზრის თანხმობა საგანთან. ჭეშმარიტი აზრი და საგნის ბუნება შინაარსის მიხედვით ადეკვატურია. ჭეშმარიტების შინაარსი ობიექტური

მატერიალური საგნის შინაარსით განისაზღვრება და მის იდეალურ, აზრობრივ გამოხატულებას წარმოადგენს.

ასეთია ჰეშმარიტების ლენინური გაგება.

3. ჰეშმარიტების სტრუქტურა

ჰეშმარიტებას ორი ერთმანეთისაგან განუყრელი მხარე—ობიექტური და სუბიექტური მხარე აქვს. ჰეშმარიტების ობიექტური მხარეა აზრის ის შინაარსი, რომელიც საგნის ბუნებით არის განსაზღვრული და ადამიანისაგან დამოუკიდებელია. ჰეშმარიტების სუბიექტური მხარეა ის აზრობრივი ფორმა, რომელშიც იგი გამოხატულია. ამიტომ ჰეშმარიტება არ არის და არც შეიძლება თავისუფალი და გაწმენდილი იყოს სუბიექტური ელემენტებისაგან. მაგრამ ეს ისეთი ელემენტები და ფორმებია, რომლებიც უარყოფით დაღს არ ასვამენ იდეალურ სურათს. პირიქით, ამ ელემენტების საშუალებით იქმნება ჰეშმარიტება.

ამრიგად, როცა ჩვენ ობიექტურ საგანს ადეკვატურად ავსახავთ, ამ შემთხვევაში, ცნობიერებაში შექმნილი იდეალური მხარე ერთდროულად ობიექტურიც არის და სუბიექტურიც. ჰეშმარიტება ობიექტურია იმდენად, რამდენადაც მისი შინაარსი თვითნებურად არ არის შექმნილი სუბიექტის მიერ, ეს შინაარსი, რომელიც აზრშია გამოხატული, მატერიალური საგნის შინაარსით არის განსაზღვრული და მის ასლს წარმოადგენს, ხოლო ჰეშმარიტება სუბიექტურია მხოლოდ ფორმით; სუბიექტური რომ არ იყოს და მას ცნობიერების მექანიზმი არ გააჩნდეს, მაშინ არც ჰეშმარიტება იქნებოდა და არც მცდარობა. მიუხედავად ამისა, ჰეშმარიტების ამ ორი მხრიდან მთავარი და არსებითი ნიშანი ობიექტურობაა, რომელიც სუბიექტური მხარის განმსაზღვრელად ითვლება.

ვ. ი. ლენინი ჰეშმარიტების განსაზღვრებას ობიექტური ჰეშმარიტების ნიშნით იძლევა იმიტომ, რომ სხვა სახის ჰეშმარიტება, გარდა ობიექტური ჰეშმარიტებისა, არ არსებობს. ჰეშმარიტება ერთია და ეს ერთი, ობიექტური ჰეშმარიტება, არის აზრში საგნის იდეალური შინაარსის ადეკვატური შესაბამისობა საგნის მატერიალურ შინაარსთან. ესაა წარმოდგენის ისეთი შინაარსი, რომელიც დამოუკიდებელია სუბიექტისაგან, დამოუკიდებელია ადამიანისა და საერთოდ, კაცობრიობისაგან.

აქ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად უნდა მივუთითოთ ობიექტურობის ორ ნიშანზე, რომელიც ყოველთვის ერთად არის ხოლმე დამახასიათებელი შესამეცნებელი სინამდვილის ყველა ფორმისათ-

ვის ობიექტურის ერთი ნიშანია „ჩვენს გარეთ არსებობა", მეორე ნიშანი—„სუბიექტისაგან დამოუკიდებლად არსებობა". მაგალითად, მატერიალური საგნის ობიექტურობას, ვთქვათ მაგიდის ობიექტურობას. მიეწერება ორივე ეს ნიშანი ერთად აღებული. მაშასადამე, როცა ვამბობთ: მაგიდა ობიექტურია. ეს იმას ნიშნავს. რომ იგი არსებობს „ჩვენს გარეთ" და „ჩვენგან დამოუკიდებლად"; რაც შეეხება აზრის ობიექტურობას, ე. ი. ჭეშმარიტებას, მას მიეწერება მხოლოდ ნიშანი—„ჩვენგან დამოუკიდებლობა". ეს იმიტომ რომ ჭეშმარიტება თავისი ფორმით სუბიექტურია. მაშასადამე, გარდა ობიექტურობისა მას კიდევ აქვს სუბიექტური მხარეც, იგი აზრის ფორმაშია და ამიტომ ადამიანის „გარეთ არსებობის" ნიშანს მოკლებულია. უნდა განვასხვაოთ აგრეთვე ჭეშმარიტების ობიექტურობა და ჭეშმარიტების ობიექტურად არსებობა. ჭეშმარიტება ობიექტურია. მაგრამ იგი ობიექტურად, ცნობიერების გარეთ არ არსებობს. ობიექტურად არსებობენ მატერიალური, ფიზიკური საგნები და არა ფსიქიკური. იდეალური მოვლენები.

ჭეშმარიტების ობიექტურობის კანონის გათვალისწინებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს შემეცნების პროცესის სწორად წარმართვისათვის, ეს ჩვენ ორიენტაციას გკაძლევს, ასახვის დროს ყოველთვის გამოვიდეთ საგანთა ობიექტურ-რეალური მდგომარეობიდან, გვაფრთხილებს. თვითნებურად არ შევქმნათ იდეალური სურათი. ასეთივე დიდი მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე, ჭეშმარიტების სუბიექტური მხარის გათვალისწინებასაც: ეს გვავალებს შემეცნების პროცესის ახსნის დროს მუდამ განუყრელ კონტაქტში ვიყოთ შემმეცნებელი სუბიექტის მოღვაწეობასთან და ჭეშმარიტება განვიხილოთ. როგორც ადამიანის ცნობიერების ფორმებში ადეკვატურად მოცემული მატერიალური სინამდვილის იდეალური ასახვა.

ამრიგად, ობიექტური და სუბიექტური მხარეები ჭეშმარიტებაში ყოველთვის ერთიანობაშია. თუ ერთ მხარეს, ვთქვათ სუბიექტურ მხარეს, გავაბსოლუტურებთ და ანგარიშს არ გავუწევთ ობიექტურს, იმ შინაარსს, რომელიც მატერიალური საგნით არის განსაზღვრული, მაშინ სუბიექტური იდეალიზმის ტყვეობაში მოვექცევით, ხოლო თუ ობიექტურ მხარეს გავაბსოლუტურებთ, ცოდნის შინაარსს შემმეცნებელი სუბიექტისაგან მოვწყვეტთ, ე. ი. არ დავინახავთ მასში სუბიექტურ ფორმებს, რომელთა იდეალურ-ენობრივი სამოსელითაც იგი მოცემულია, ამ შემთხვევაში გარდუვალია ობიექტური იდეალიზმის პოზიციებზე გადასვლა.

ჭეშმარიტების სტრუქტურის დახასიათების დროს საჭიროდ მიგვაჩნია კვლავ დავუბრუნდეთ ერთ საკითხს. კერძოდ, შემეცნების

პროცესზე შემმეცნებელი სუბიექტის გავლენის საკითხს. ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ მარქსამდელ ფილოსოფიურ სისტემებში ძნელი გადასაჭრელი აღმოჩნდა სუბიექტის მინარევისაგან ცოდნის განთავისუფლების ამოცანა. მივუთითეთ, რომ ამ გნოსეოლოგიური სფეროს სიძნელემ წარმოშვა იდეალიზმის სხვადასხვა სახეები.

რაში მდგომარეობს სუბიექტის გავლენა შემეცნების პროცესზე? არც ერთ ფილოსოფიურ სისტემაში დავა არ ყოფილა იმის თაობაზე, რომ შემეცნების პროცესში წამყვანი და ძირითადი ძალა თვითონ შემმეცნებელი სუბიექტია. ამ ფაქტს ყველა აღიარებს. ადამიანის გარეშე არც შემეცნებაა შესაძლებელი და არც სამყაროს იდეალური სურათის არსებობა. მაგრამ აქედან ხომ არ გამოდის, რომ სუბიექტით არის განსაზღვრული შემეცნება? შემმეცნებელი სუბიექტის აპარატის შინაგანი შინაარსი და სტრუქტურა ხომ არ არის მთავარი ჭეშმარიტების მიღწევისათვის, როგორც ამას სუბიექტური იდეალიზმი ქადაგებს?

ამ კითხვაზე ჩვენ პასუხი გავეცით, როცა ჭეშმარიტების ბუნება დავახასიათეთ. ამასთან დაკავშირებით გავაკრიტიკეთ იდეალისტური კონცეფციებიც. მართალია, ადამიანი წარმართავს შემეცნებას, მაგრამ მეცნიერების ამოცანა, ჭეშმარიტი შემეცნების ამოცანაა გავათავისუფლოთ ასახვა ამსახველის, ადამიანის გავლენისაგან. თუ სუბიექტის გავლენით წავა შემეცნების პროცესი, მაშინ ასახულის იდეალურ სურათზე აღიბეჭდება ამსახველის დაღი, რაც დაჩრდილავს ცოდნას და გამოაცლის მას იმ ობიექტურ შინაარსს, რომლის ასახვაც მეცნიერული შემეცნების მიზანს წარმოადგენს. რაკი ასეა, ნათელი ხდება ის გზები, რა მიმართულებითაც შემეცნება უნდა წავიდეს. მაშასადამე, ობიექტური სინამდვილის იდეალური სურათი თავისუფალი უნდა იყოს სუბიექტური მინარევისაგან, იმ დანამატისაგან, რაც სუბიექტიდან ჩაერთვება ცოდნაში და ფარავს მის ობიექტურ შინაარსს, რომლის არეკლვაც სუბიექტის ცნობიერებაში უნდა მოხდეს. აქედან გამომდინარე, დიალექტიკური მატერიალიზმის შემეცნების თეორია გვაძლევს სწორ მეთოდოლოგიას, იგი გვასწავლის, რომ შემეცნებელი საგანი ავსახოთ ისეთნაირად, როგორიც არის იგი ყოველგვარი სუბიექტური დანამატის გარეშე, იდეალური სურათი გავათავისუფლოთ სუბიექტის, ადამიანის გავლენისაგან, მხოლოდ ამ გზით მიიღება საგნობრივი ცოდნა, ჭეშმარიტება.

ჭეშმარიტების ობიექტური და სუბიექტური მხარეების ახსნასთან დაკავშირებით საჭიროა ორიოდე სიტყვა ვთქვათ სუბიექტურის ორი ასპექტის, ორი მნიშვნელოვნების შესახებ. სუბიექტურის ერთი

ასპექტია მისი დადებითი როლი და მნიშვნელობა, ხოლო მეორე ასპექტი— მისი უარყოფითი როლი და მნიშვნელობა.

სუბიექტურის დადებითი მხარე, უპირველეს ყოვლისა, არის გნოსეოლოგიური სუბიექტის შემეცნებითი მოღვაწეობა, რომელიც წარმართავს ობიექტური სამყაროს ასახვისა და მისი გარდაქმნის პროცესს, ამასთან არის აგრეთვე მჭიდროდ დაკავშირებული სოციოლოგიური ასპექტიც და მისი საზოგადოებრივ-ისტორიული ძნიშვნელობაც. მაგრამ ეს საკითხი ჩვენი განხილვის ფარგლებში არ შემოდის. შემდეგ, სუბიექტის დადებითი მხარეა შემეცნების ფსიქოლოგიური მექანიზმი, ცნობიერების ფორმები: შეგრძნება, აღქმა, წარმოდგენა, აზროვნება და მისი ლოგიკური ფორმები, საერთოდ იდეები და შეხედულებები, რომლებიც თავიანთ ერთობლიობაში ქმნიან ობიექტური სინამდვილის იდეალურ მოდელს. სუბიექტურის ფორმაშია მოცემული ჭეშმარიტება, რადგან იგი აზრს გამოხატავს და საერთოდ აზრი, როგორი შინაარსიც არ უნდა იყოს მასში მოცემული, იქნება იგი ჩვენგან დამოუკიდებელი თუ ჩვენზე დამოკიდებული, სულერთია, მაინც სუბიექტურად არსებობს და არა ობიექტურად. მაგალითად, როცა გამოვთქვამთ ჭეშმარიტ აზრს: „ლითონი ელექტრობის გამტარია“, ამ შემთხვევაში ჩვენ ვიყენებთ ლოგიკურ ცნებებს და ვაყალიბებთ მსჯელობას ენობრივი გარსის — სიტყვების საშუალებით. ცნება და მისი ენობრივი გარსი ადამიანის გონებისა და მისი პრაქტიკული ურთიერთობის პროდუქტია. ამრიგად, ის, რაც შემმეცნებელი ადამიანის ცნობიერების შინაგან ორგანიზაციასა და სტრუქტურას წარმოადგენს, სუბიექტურის ელემენტებს შეადგენენ. ასეთივე ბუნებისაა აგრეთვე, ნებელობა, სურვილები, ინტერესები და განწყობილებანი. ყველა ეს ზემოთ ჩამოთვლილი ელემენტი ერთად მეცნიერული შემეცნების პროცესის მუდმივი და აუცილებელი პირობაა, მათ უდიდესი დადებითი მნიშვნელობა აქვთ სინამდვილის იდეალური სურათის შესაქმნელად. მაგრამ ისინი არ განსაზღვრავენ ჭეშმარიტების ბუნებას. ამიტომ ამ ფორმებს დადებითი მნიშვნელობა მხოლოდ გარკვეულ ფარგლებში აქვთ. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ გავაზვიადებთ მათ როლს, ავცდებით ჭეშმარიტების მიღწევის სწორ გზას. აქედან იწყება სუბიექტურის უარყოფითი, დამამუხრუჭებული როლი და მნიშვნელობა.

სუბიექტური მაშინ არის უარყოფითი ხასიათის, როცა მისი შინაარსი არ გამოხატავს საგნის რეალურ მდგომარეობას და ყალბი ფანტაზიის შედეგს წარმოადგენს. ასახვის ასეთ ფორმად პირველ რიგში ითვლება რელიგიური წარმოდგენები, რომელთა შინაარსი არ შეესაბამება ობიექტურად არსებული საგნის შინაარსს. მართალია, რელიგიური ასახვის შესაქმნელად საგნის ელემენტებს ადამიანი იღებს

რეალური, მატერიალური სამყაროდან. მაგრამ საერთო კომბინაციაში ასეთი საგანი სინამდვილეში არ არსებობს.

რელიგიურ ასახვაში მოცემული სუბიექტური სურათი ფორმითაც და შინაარსითაც სუბიექტურია, ე. ი. მისი შინაარსი სუბიექტით არის განსაზღვრული და არა ობიექტური საგნის ბუნებით.

მცდარი ასახვა მიიღება არა მარტო რელიგიური წარმოდგენის პროცესში, არამედ საერთოდ გნოსეოლოგიურ სფეროშიც. ამ შემთხვევაში სუბიექტურობა, რაკი ის მოწყვეტილია რეალურად არსებულ ობიექტურ საგანს, მცდარობას გამოხატავს და შინაარსობლივად სუბიექტური ხასიათისაა.

აქედან გამოდის, რომ სუბიექტურის გავლენა ობიექტური სამყაროს შემეცნების პროცესში, გნოსეოლოგიური თვალსაზრისით, უარყოფით როლს ასრულებს. ეს გავლენა ორი მიზეზით არის გამოწვეული. პირველი ის არის, რომ ასახვის პროცესი თავისი ორგანიზაციითა და სტრუქტურით სუბიექტურის ფარგლებშია და აზრი არ შეიძლება თავისუფალი იყოს ადამიანის ზემოქმედებისაგან; მეორე ის, რომ შემეცნებას სუბიექტი, ადამიანი წარმართავს, ადამიანი კი ასახვის პროცესში ხშირად ცდება; ანასახ სურათში იგი აქსოვს ისეთ ელემენტებს, რომლებიც ობიექტურ სინამდვილეს არ შეესაბამება. ასეთ ელემენტს „სუბიექტური დანამატი", ანუ სუბიექტის მინარევი ეწოდება. ეს არის ჭეშმარიტების საპირისპირო ასახვა — მცდარობა, რომელიც უარყოფით როლს ასრულებს მეცნიერული შემეცნების პროცესში.

შემეცნების მიზანია, გაათავისუფლოს აზრი სუბიექტური მინარევისაგან, შეცდომებისაგან, შეუფარდოს ცოდნა საგნის ბუნებას, ასახოს საგანი ისე, როგორიც იგი არის თავისთავად. სუბიექტური დანამატის გარეშე. ასეთი ხასიათისაა ჭეშმარიტ ასახვის ბუნება. მეცნიერული შემეცნება უპირისპირდება რელიგიურ ფანტასტიკას და გნოსეოლოგიურად მცდარ ასახვას. მეცნიერულ შემეცნებაში სუბიექტურ ფორმაში ობიექტური შინაარსია მოცემული. ეს არის სუბიექტში მოცემული სუბიექტურ-ობიექტური ანუ ობიექტური ჭეშმარიტება, რომელიც გაწმენდილია „სუბიექტური დანამატისაგან".

აღნიშნულიდან გასაგები ხდება ის გარემოება, რომ სუბიექტური არის ის ფორმა, რომლის სამოსელით გამოდის როგორც მცდარობა, ისე ჭეშმარიტებაც. ამიტომ ცნებები: „სუბიექტური" და „მცდარი" არ არის სინონიმები. მაშასადამე, ჭეშმარიტება სუბიექტურს კი არა, არამედ მცდარობას უპირისპირდება. რაკი ასეა, უფრო სწორი იქნება შემცდარ აზრს ვუწოდოთ არა „სუბიექტური", როგორც ამას ჩვეულებრივად გამოთქვამენ ხოლმე, არამედ „სუბიექტივისტური",

რომლითაც უფრო სწორად იქნება გამოხატული ჩვენი აზრი შესაცნობი საგნის შესახებ.

ჭეშმარიტება და მცდარობა დაპირისპირებული და ურთიერთგამორიცხველი კატეგორიებია. ეს კორელატური ცნებები ჩვენ გვეხმარებიან, ობიექტური სამყაროს ასახვის შედეგად მიღებულ იდეალურ ანარეკლში განვასხვაოთ საგნის შინაარსით განსაზღვრული იდეალური სურათი იმისაგან, რაც საგნის ბუნებიდან არ გამომდინარეობს და სუბიექტის ნებას ექვემდებარება.

ჭეშმარიტების ნიშნების დახასიათება გვიჩვენებს იმასაც, თუ როგორია მასთან დაკავშირებული საპირისპირო ცნების — შეცდომის ბუნება. თუ ჭეშმარიტება არის ისეთი ასახვა, ისეთი მსჯელობა, რომელიც საგნის შინაარსის შესაბამის აზრს გამოხატავს, მაშინ შეცდომა იქნება ისეთი აზრი, რომელიც ობიექტური საგნის ბუნებასთან თანხმობაში არ იმყოფება და სუბიექტის მინარევებით ხასიათდება.

შეცდომას აქვს ლოგიკური, გნოსეოლოგიური და სოციოლოგიური მიზეზები. შეცდომის ლოგიკური მიზეზია აზრთა თანმიმდევრობის დარღვევა, მაგრამ როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ეს არ არის მცდარი აზრების განმსაზღვრელი საფუძველი ისე. როგორც თვით ლოგიკური თანმიმდევრობა არ არის ჭეშმარიტების განმსაზღვრელი ნიშანი. აზრთა ლოგიკური თანმიმდევრობის წესების დარღვევა რომ იყოს მცდარ შეხედულებათა წარმოშობის მთავარი წყარო, მაშინ ყოველგვარ შეცდომასა და სიყალბეს ადვილად მოეღებოდა ბოლო, რადგან ლოგიკური შეცდომების გასწორება არც ისე ძნელია. მაშასადამე. აქ საქმე ეხება უფრო რთულ პროცესებს, იმას, რაც ძირითადი და არსებითია შეცდომების წარმოშობისათვის — შეცდომების მსოფლმხედველობრივ-კლასობრივ მიზეზებს, რომლებიც მის გნოსეოლოგიურ და სოციოლოგიურ სფეროებში უნდა ვეძებოთ.

სუბიექტივისტური შეხედულებების, ე. ი. შეცდომების გნოსეოლოგიური მიზეზებია:

1. შესწავლილი საგნის ნიშნების, მხარეების ცალმხრივი ასახვა, საგნის რეალური მდგომარეობის შესახებ სრული ინფორმაციის უქონლობა და დასკვნის გაკეთება არაარსებითი ნიშნების საფუძველზე. რაც ცოდნას ზედაპირულ, ცალმხრივ ხასიათს აძლევს და ასასახავი საგნის ბუნებისათვის შეუსაბამოდ ხდის.

2. შემეცნების მთლიანი პროცესიდან, ობიექტური და სუბიექტური მხარეების ერთიანობიდან ერთი რომელიმე მხარის წინა პლანზე წამოწევა, მისი მეორე მხარის უგულებელყოფისა და დამცირების საფუძველზე. როცა შემეცნების პროცესში გაიბსოლუტურებულია „შეგრძნება“ (სუბიექტური იდეალიზმი) ან „ცნება“ (ობიექტური

იდეალიზმი). ორივე ასეთ შემთხვევაში გათიშულია საგანი და აზრი, ცალკეული და ზოგადი. ამავე დროს დაკარგული არაა შემეცნების პროცესის კომპონენტების ერთიანობა. ეს არის მსოფლმხედველობრივი სიყალბე, რომელიც გნოსეოლოგიურ სიძნელეებზე პარაზიტობს. ვ. ი. ლენინი ამის თაობაზე წერდა: შემეცნების პროცესი არ არის პირდაპირი ხაზი, არამედ მრუდე ხაზია, რომელიც უსასრულოდ უახლოვდება წრეთა მწკრივს, სპირალს. ამ მრუდე ხაზის ყოველი ნაწყვეტი, ნატეხი, ნაპერი შეიძლება გადავაქციოთ (ცალმხრივად გადავაქციოთ) დამოუკიდებელ, მთელ, პირდაპირ ხაზად, რომელსაც (თუ ხეებს იქით ტყეებს ვერ დავინახავთ), მაშინ ჭაობში, ხუცობაში შევყავართ. სწორხაზოვნება და ცალმხრივობა სუბიექტივიზმი და სუბიექტური სიბრმავე—აი რა არის იდეალიზმის გნოსეოლოგიური ფესვები[15].

3. სინამდვილისადმი დოგმატური მიდგომა, როცა უგულებელყოფილია ჭეშმარიტების კონკრეტულობა, როცა გათვალისწინებული არ არის მოვლენათა შეცვლილი ვითარება და საგნის შესახებ ერთ დროს გამოთქმული აზრი ან მიღებული გადაწყვეტილება ახალ პირობებს აღარ შეესაბამება, მაგრამ მას მაინც დაჟინებით იცავენ, როცა ვერ ხედავენ იმას, თუ როგორ იქცა ჭეშმარიტება ცდომილებად.

4. შემეცნების პროცესზე სუბიექტის უარყოფითი გავლენა, ზემოქმედება, როცა ამა თუ იმ გადაწყვეტილებას სუბიექტის ინტერესები, მისი უარყოფითი ინდივიდუალური თვისებები და განწყობილება უდევს საფუძვლად და არა ობიექტური სინამდვილის რეალური მდგომარეობა. ამ პუნქტში ხშირად გადახლართულია გნოსეოლოგიური და სოციოლოგიური მიზეზები.

შეცდომის სოციალურ-კლასობრივი საფუძვლებია:

1. გაბატონებული კლასების ინტერესები, რომლებიც ამაგრებენ და მტკიცედ იცავენ ცალმხრივობაზე აგებულ ყალბ გნოსეოლოგიურ პრინციპებს, იმ პრინციპებს, რომლებიც მათ ბატონობას ემსახურება. მარქსი მიუთითებს, რომ ბურჟუაზია, როცა იგი რეაქციული კლასი გახდა, წინ გადაეღობა ჭეშმარიტებას. ამ დროიდან უანგარო კვლევა-ძიების ადგილს დაქირავებული მჯღაბნელების მყვირალა პოლემიკა იჭერს, მიუდგომელი მეცნიერული გამოკვლევის ადგილს კი — არაკეთილსინდისიერი, მლიქვნელური აპოლოგეტიკა[16].

2. ექსპლოატატორული საზოგადოებრივი წყობილების რეჟიმი, რომელიც იცავს გაბატონებული კლასისა და ცალკეული სოციალუ-

---

15 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 38. გვ. 375.

16 კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. 1, გვ. 15.

რი ჯგუფების ნება-სურვილებს, რის შედეგად ბუნებისა და საზოგადოებრივი მოვლენების განვითარების კანონზომიერების ახსნაში გატარებული არ არის ერთიანი მეცნიერული პრინციპი.

3. სახელმწიფო ხელისუფლების სათავეში მყოფი ადამიანები, როცა ისინი არ ხელმძღვანელობენ მოწინავე რევოლუციური თეორიით და დაკავშირებული არ არიან ხალხთა მასებთან, როცა ისინი არ ითვალისწინებენ საზოგადოების წინაშე მდგარ მომწიფებულ ამოცანებს და მცდარ პოლიტიკას ატარებენ. ასეთი, ყალბი, სიცრუეზე აგებული პოლიტიკა მიმართულია მეცნიერული აზრის წინააღმდეგ. შეცდომები და მცდარი თეორიები ამ მხრივ უფრო მეტად გავრცელებას პოულობს ბურჟუაზიული სოციოლოგიის სფეროში, რომელიც დიდ გავლენას ახდენს როგორც გნოსეოლოგიის, ისე სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი პრაქტიკის საკითხების გადაწყვეტაზეც. ყოველივე ამას თეორიაში შედეგად მოსდევს სუბიექტივიზმი, ხოლო პრაქტიკულ-პოლიტიკურ ცხოვრებაში — ავანტიურიზმი.

ასეთია მცდარი ასახვის, ანუ შეცდომის გნოსეოლოგიური და სოციოლოგიური საფუძვლები.

ჭეშმარიტების ბუნებას როცა ვახასიათებთ, ჩვენს წინაშე დგება საკითხი: აქვს თუ არა ჭეშმარიტებას ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური საფუძვლები? ესე იგი, გამოდის თუ არა ეს ნიშნები ჭეშმარიტების განმსაზღვრელად?

ჩვენ ვფიქრობთ, რომ თუმცა ასეთი საფუძვლები ცნობიერებას აქვს, რადგან ამის გარეშე, როგორც ზემოთ ითქვა, სამყაროს ჭეშმარიტი იდეალური ასახვა შეუძლებელია, მაგრამ არც ერთი მათგანი ჭეშმარიტების ბუნებისათვის მთავარ და განმსაზღვრელ ნიშნად არ გამოდგება. თუ ჭეშმარიტი აზრის შინაარსი დამოკიდებული არაა სუბიექტზე, კაცობრიობაზე და იგი საგნით განისაზღვრება, მაშინ ზემოაღნიშნული ნიშნები ჭეშმარიტების შემუშავებისათვის მხოლოდ პირობებს წარმოადგენენ. სულ სხვა საქმეა, როცა ცნობიერებისა და საერთოდ შემეცნების ბუნების გამოკვლევას ვახდენთ. ამ შემთხვევაში, ცხადია, კერძოდ სოციოლოგიური ასპექტის გამოყენებას დიდი მნიშვნელობა აქვს, და თუ ნამდვილად სწორი შედეგის მიღება გვინდა. სოციოლოგიური ასპექტი უნდა დაედოს საფუძვლად გნოსეოლოგიურ კვლევაძიებას. მაშასადამე, ცნობიერების სტრუქტურას, შემეცნებას პირველ რიგში სოციალური ხასიათი აქვს. ცნობიერება კაცობრიობის ისტორიული განვითარების პროდუქტია. მაგრამ ასეთი მიდგომა არ შეიძლება ჭეშმარიტებისადმი, რადგან სოციოლოგიური ასპექტის მიყენება ჭეშმარიტების ბუნებისადმი მცდარ დასკვნამდე მიგვიყვანს. ეს იქნებოდა გზა არა ჭეშმარიტებისაკენ, არამედ სუბი-

ექტივიზმისაკენ, შეცდომებისაკენ. როგორც ცნობილია, ჭეშმარიტების ბუნების ახსნის ასეთმა გზამ მიიყვანა ბოგდანოვი სუბიექტურ-იდეალისტურ კონცეფციამდე.

აქ დამატებით გასარკვევია ერთი საკითხი: რა მიმართებაშია ჭეშმარიტება და ძალა. რა როლს ასრულებს ძალდატანება ჭეშმარიტი აზრის შემუშავებასა და გავრცელებაში?

ძალდატანებას, როგორც სუბიექტური ფაქტორის ერთ-ერთ ელემენტს, გარკვეულად დადებითი როლი და მნიშვნელობა ენიჭება ძველის დამხობისა და ახალი საზოგადოებრივი წყობილების დამკვიდრების საქმეში. მაგრამ ჭეშმარიტების ბუნებასთან ძალას პირდაპირი დამოკიდებულება არა აქვს. აზრს ჭეშმარიტების ნიშანი არ მიეწერება მის მიმართ ძალის გამოყენებით, ან იმით, რომ მას ადამიანთა უმრავლესობა დაუჭერს მხარს თუ უმცირესობა. ძალით მცდარ აზრს ვერ გადავაქცევთ ჭეშმარიტ აზრად, და პირიქით—ჭეშმარიტ აზრს ვერ გადავაქცევთ მცდარ აზრად. ცნობილია, რომ შუასაუკუნეებში ცეცხლითა და მახვილით ავრცელებდნენ და იცავდნენ ყალბ რელიგიურ შეხედულებებს, ჭეშმარიტებად ასაღებდნენ საეკლესიო დოგმებს, რომლებსაც არავითარი მეცნიერულ-ლოგიკური დასაბუთება და სოციალური ღირებულება არ გააჩნდათ და არ შეესაბამებოდნენ რეალური სინამდვილის საგანთა არსებას, ხოლო მეცნიერულ შეხედულებებს გასაქანს არ აძლევდნენ. ვინ იფიქრებდა იმას, რომ იმ დროს მთელი კაცობრიობა ცდებოდა, როცა იზიარებდა პტოლომეოსის მცდარ შეხედულებას, ხოლო ერთი კაცი, კოპერნიკი კი თავისი თეორიით მართალი იყო, იგი ჭეშმარიტ აზრს გამოთქვამდა! მაგრამ რადგან კაცობრიობა მთელი უმრავლესობაა, ამიტომ ეგონათ, რომ სიმართლეც მათ მხარეზეა. კოპერნიკსა და მის თითო-ოროლა მომხრეს, ცხადია, არავინ დაუჭერებდა. ასე იყო მოქცეული მთელი კაცობრიობა სიყალბის ტყვეობაში.

მაშასადამე, სოციალურ ძალას მეცნიერული არგუმენტის ნაცვლად იყენებდნენ რეაქციული აზრების დასაცავად. ეს იმით აიხსნება, რომ მცდარობას, ყალბ ასახვას, რეაქციულ იდეებსა და შეხედულებებს თავისთავში არა აქვთ ძალა; ამიტომ ისინი ცხოვრების მსვლელობაში თანდათან სუსტდებიან, უნიადაგონი ხდებიან და, თუ რეაქციულმა კლასებმა ძალით არ გაამაგრეს, ისინი საპნის ბუშტებივით ქრებიან.

ჭეშმარიტებას თავის განმსაზღვრელად არ სჭირდება გარეგანი ძალის არგუმენტი, მომხრეთა რიცხვის ძალა, იმიტომ რომ ჭეშმარიტი იდეები თავისთავში შეიცავენ არა მარტო სინამდვილესთან შესაბამისობას და სიმართლეს, არამედ შინაგან ძალასაც, რომელიც მას

მიღებული აქვს სინამდვილის ადეკვატური შემეცნებიდან. ჭეშმარიტება თვითონ არის ძალა. გავიხსენოთ კ. მარქსის გენიალური სიტყვები: თეორია უდიდეს მატერიალურ ძალად იქცევა, როცა იგი მასებს დაეუფლება.

ჩვეულებრივად ასე ხდება ხოლმე, რომ ჭეშმარიტებას, როგორც ახალ აზრს, თუ იგი გაბატონებული კლასების ინტერესებს ეწინააღმდეგება, დევნიან. მაგრამ ჭეშმარიტი აზრი, რაც არ უნდა არაპოპულარული იყოს მასებისათვის, რაც არ უნდა ძლიერად ეწინააღმდეგებოდნენ მის გავრცელებას გაბატონებული კლასები, იგი მაინც გზას იკაფავს, მასებისათვის მისაწვდომი ხდება და ბოლოს მძლავრ მამოძრავებელ ძალად იქცევა, იმარჯვებს დრომოჭმულ და მცდარ შეხედულებაზე.

ამრიგად, აღნიშნულიდან შეიძლება გავაკეთოთ ასეთი დასკვნა: ძალა არ განსაზღვრავს ჭეშმარიტებას, მაგრამ გარკვეული აზრით, მისი განხორციელების პირობად იქცევა. ამასთან ძალმომრეობა ორგვარია— პროგრესული და რეაქციული. ჭეშმარიტი ცოდნის ძალა პროგრესულია, იგი დადებით როლს ასრულებს იმიტომ, რომ სიმართლეს ემსახურება, კაცობრიობის ისტორიული აუცილებლობიდან გამოდის: ხოლო ის ძალა, რომელიც ჭეშმარიტების საწინააღმდეგოდ გამოდის, ისტორიული აუცილებლობის წინააღმდეგაა მიმართული. ამიტომ იგი რეაქციულ როლს ასრულებს. ისტორიაში ცნობილია ზიგზაგები. ზოგჯერ რეაქციულ ძალებს ათეული და ასეული წლებითაც შეუჩერებიათ საზოგადოების წინსვლა. კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაშიც ამა თუ იმ ქვეყანაში გამორიცხული არ არის ასეთი წინააღმდეგობანი, მით უმეტეს სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის დღევანდელ ეპოქაში, როდესაც რეაქციულ იმპერიალისტურ ძალებს თავიანთი ზრახვების შესასრულებლად გააჩნიათ ადამიანთა მასობრივი მოსპობის იარაღისა და კაპიტალის ძალა.

მარქსიზმ-ლენინიზმის იდეები, როგორც ჭეშმარიტი და პროგრესული იდეები. უპირისპირდებიან იმპერიალისტური ბურჟუაზიის სიცრუეზე აგებულ რეაქციულ იდეებს. ამ იდეებმა გაიარეს მკაცრი პრაქტიკული გამოცდა, დიდ ბრძოლებსა და ისტორიულ ქარტეხილებს გაუძლეს, დაეუფლნენ მასების გონებას, ჩვენი პლანეტის ერთ მესამედ ნაწილზე სოციალისტურად გარდაქმნეს ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრება. იგი თანამედროვე ეპოქის მძლავრი იდეური ძალაა, მილიონობით ადამიანთა გონებას იზიდავს. მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი ძალა მის სისწორეშია და უძლეველია იმიტომ, რომ ჭეშმარიტ მოძღვრებას წარმოადგენს.

სუბიექტურობის ორი მხარიდან — დადებითი და უარყოფითი მხარეებიდან, რომლებიც ჩვენ განვიხილეთ, გამომდინარეობს ორი არსებითი ხასიათის სახელმძღვანელო დასკვნა:

პირველი დასკვნა ისაა, რომ სუბიექტურობის ფორმა, რომელშიც ჭეშმარიტი აზრია მოცემული, პრაქტიკისა და მეცნიერების განვითარების შესაბამისად ყოველთვის უნდა განიცდიდეს შემდეგ სრულყოფასა და განვითარებას. ყველა ის ელემენტი, რომელიც ასახვის პროცესის სამსახურში დგას, უნდა განვიხილოთ თავიანთ ობიექტურ შინაარსთან კავშირში და არა მისგან იზოლირებულად და მოწყვეტილად. შემეცნების სუბიექტური მხარის დადებითი როლი და მნიშვნელობა ჭეშმარიტი ასახვის ფორმით განისაზღვრება. ამ შემთხვევაში სუბიექტური მხარე ობიექტური სამყაროს შემეცნებისა და მისი რევოლუციური გარდაქმნის მძლავრ იარაღად იქცევა. იგი ორიენტაციას აძლევს ადამიანებს, გაერკვნენ გარესამყაროს სიტუაციაში, აირჩიონ მოქმედების სწორი გზა, მიიღონ ჭეშმარიტი გადაწყვეტილება, ღრმად ჩაწვდნენ აწმყოს და მეცნიერულად განჭვრიტონ მომავალი. აქედან გამომდინარეობს სუბიექტური ფაქტორის აქტივობა ობიექტური პირობების მიმართ და, გარკვეული აზრით, გადამწყვეტი როლიც კი, რომელსაც იგი ასრულებს ისტორიული მობრუნების ამა თუ იმ მომენტში. ამის დასამოწმებლად უადგილო არ იქნება გავიხსენოთ ვ. ი. ლენინის შემდეგი დებულება: „ადამიანის ცნობიერება არა მარტო ასახავს ობიექტურ სამყაროს, არამედ კიდევაც ქმნის მას“[17]. ცნობიერება, მოწინავე იდეა ობიექტურ სამყაროს ქმნის იმ აზრით, რომ რევოლუციური მოძღვრება აძლევს სწორ მიმართულებას საზოგადოებრივ მოვლენათა განვითარებას, რომელსაც სათავეში უდგას რევოლუციური თეორიით შეიარაღებული მოწინავე რაზმი — მარქსისტულ-ლენინური პარტია. ამასთან დაკავშირებით საჭიროა შევნიშნოთ, რომ ჩვენ აქ სუბიექტური ფაქტორის მხოლოდ ერთი ელემენტი — ცნობიერების სფერო გვაქვს განხილვის საგნად და არა საერთოდ სუბიექტურ ელემენტთა მთელი სისტემა.

მეორე დასკვნა სუბიექტურის ფალსიფიცირებული გაგების წინააღმდეგ არის მიმართული და იგი შემდეგში მდგომარეობს: სუბიექტურის აბსოლუტიზაცია სუბიექტივიზმს გამოხატავს. ამ შემთხვევაში სუბიექტური ყალბი ასახვის სამსახურშია ჩაყენებული და როგორც მცდარობა ჭეშმარიტებასთან წინააღმდეგობაში მოდის. სუბიექტივიზმი პოლიტიკასა და ადამიანთა პრაქტიკულ საქმიანობაში იწვევს ვოლუნტარიზმს, ავანტიურიზმს, თვითნებობას. ყოველივე ეს

---

[17] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 38, გვ. 210.

კი აფერხებს ისტორიის პროგრესს. ასეთივე მავნე შედეგები მოაქკს შემეცნების პროცესის ობიექტური მხარის გააბსოლუტურებასაც. ეს იწვევს სუბიექტური ფაქტორის როლის დამცირებას, თვითდინებას, პასივობის ჩანერგვას ადამიანებში.

ამრიგად, სწორად რომ ავხსნათ შემეცნების პროცესისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარის ურთიერთმოქმედების სტრუქტურა, დიალექტიკური მატერიალიზმის პრინციპებს უნდა ვემყარებოდეთ. ამ პრინციპების მოთხოვნაა ობიექტურისა და სუბიექტურის დიალექტიკური ერთიანობის დაცვა შემეცნებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამით შესაძლებელი ხდება თავიდან ავიცილოთ როგორც სუბიექტივიზმი, ისე ობიექტივისტურ-ფატალისტური თვალსაზრისი.

სუბიექტურობის ორ ასპექტსა და მის ორ მნიშვნელობაზე როცა მივუთითებთ, გაკვრით მაინც უნდა შევეხოთ ერთ საყურადღებო საკითხს: რა როლს ასრულებს საერთოდ სუბიექტურობა და კერძოდ, სუბიექტური დანამატი ხელოვნებაში?[18]

როგორც ცნობილია, მეცნიერებაში, რომელიც ხელმძღვანელობს ჰეშმარიტების ფილოსოფიური თეორიით, ე. ი. გნოსეოლოგიით, „სუბიექტური დანამატი" შეცდომად ითვლება. „სუბიექტური დანამატი" შემეცნების ამ სფეროში ჰეშმარიტებას უპირისპირდება და ამიტომ, ცხადია, იგი უარყოფით როლს ასრულებს. მაგრამ ამ მხრივ სულ სხვაგვარად დგება საკითხი სინამდვილის მხატვრული ასახვის სფეროში. სუბიექტური დანამატი ხელოვნებაში დადებით როლს ასრულებს და მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მხატვრული ასახვის სპეციფიკა სწორედ მის სუბიექტურობაში მდგომარეობს. თუ სუბიექტურობას ჩამოვაცლით ხელოვნებას, მაშინ იგი დაკარგავს იმ ფუნქციას, რითაც მეცნიერული შემეცნებისაგან განსხვავებულია.

ხელოვნებაში სუბიექტური მომენტები: ემოციები, განცდები, განწყობილებანი, ინტერესები წამყვან როლს ასრულებენ; სუბიექტის გავლენა და მისი დამოკიდებულება ხელოვნების ნაწარმოების შექმნაში განმსაზღვრელ ძალას წარმოადგენს და წინა პლანზეა წამოწეული. როგორც მარქსი ამბობს: ხელოვნება გაადამიანებული ბუნებაა. ეს არის შემმეცნებელი სუბიექტის პრიზმაში ბუნებრივი და სოციალური მოვლენების გარდატეხა, მათი ისეთი ასახვა, როგორც იგი ადამიანს, ხელოვანს წარმოუდგება და ესმის. აქედან გასაგებია, რომ ხელოვნებაში საგანი იმგვარად კი არ აისახება, როგორც იგი მოცემულია

---

18 ამ საკითხზე იხილეთ ჩვენი ნაშრომები: „ობიექტურისა და სუბიექტურის ერთიანობის საკითხისათვის შემეცნებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში". გამომცემლობა „მეცნიერება", 1964 წ. გვ. 201—203; აგრეთვე ბროშურა: „როგორ შეიცნობს ადამიანი სამყაროს", „მეცნიერება", 1968, გვ. 64—68.

თავისი ბუნებრივი ან სოციალური სახით, არამედ ისე, როგორც იგი სუბიექტს სურს იყოს. ამ შემთხვევაში მხატვრულ სახეში ჩაქსოვილია სუბიექტის შემოქმედებითი უნარი, ფანტაზია, ინტერესები და სურვილები.

მაგრამ ამით ჩვენ იმას არ ვამტკიცებთ, თითქოს ხელოვნებაში ობიექტურობა უკანა პლანზეა გადაწეული და ამ სფეროში მას ღირებულება და საბოლოო ანგარიშით განმსაზღვრელი მნიშვნელობა არა აქვს. პირიქით, აქ ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ ასახვის ამ სფეროში ობიექტურობა „სუბიექტური დანამატის" ფორმაში, მხატვრული სახეების ფორმაში გამოდის და არა სინამდვილის ასახვის იმ ადეკვატურ ფორმებში, როგორიცაა ცნება, მსჯელობა, დასკვნა და სხვა. სოციალისტური რეალიზმის პრინციპი დიალექტიკური მატერიალიზმის შემეცნების თეორიას ემყარება. სუბიექტურობა, რომელიც ხელოვნების სპეციფიკური ასახვის ფორმას განსაზღვრავს, ჭეშმარიტ ობიექტურობას გამოხატავს და არსებითად განსხვავდება იმ სუბიექტივისტური ცალმხრიობისა და შეზღუდულობისაგან, რომელიც აყალბებს ობიექტურ სინამდვილეს და ვერ ხედავს მასში განვითარების მთავარ ტენდენციას. მაშასადამე, სუბიექტურობა ხელოვნებაში არის ჭეშმარიტი ჰუმანური სუბიექტურობა, რომელიც ობიექტურთან მჭიდრო კავშირით ცოცხლობს და სულდგმულობს რომელიც ცხოვრებასთან კავშირით იძენს თავის ძალასა და ძლიერებას.

ასეთია ჭეშმარიტების სტრუქტურა და ობიექტურისა და სუბიექტურის ერთიანობა ჭეშმარიტებაში.

4. აბსოლუტური და შეფარდებითი ჭეშმარიტების დიალექტიკა

ჭეშმარიტების მარქსისტულ-ლენინური განსაზღვრება ემყარება ცოდნის საგნობრივ ბუნებას. ეს იმას ნიშნავს, რომ ჭეშმარიტების სტრუქტურაში მთავარი და არსებითი ნიშანი მისი ობიექტურობაა. მაგრამ ჭეშმარიტების საგნობრიობა, ესე იგი ადამიანის ცნობიერებაში საგნის ადეკვატური ასახვა ანასახ სურათში და საერთოდ შემეცნების პროცესში გარკვეულ წინააღმდეგობებსაც უნდა გვიჩვენებდეს. ეს წინააღმდეგობანი, ერთი მხრივ, არის გარესამყაროს საგანთა და მოვლენათა შინაგან წინააღმდეგობათა, ხოლო მეორე მხრივ, შემმეცნებელ სუბიექტსა და ობიექტს შორის არსებულ წინააღმდეგობათა ასახვა. შემეცნება რომ ობიექტური საგნის ბუნებით არ იყოს განსაზღვრული, მაშინ ჭეშმარიტების დასადგენად ცნობიერების ფარგლებს გარეთ გასვლა აღარ დაგვჭირდებოდა და თვით აზრობრი-

კი შეთანხმება, ფორმალურ-ლოგიკური ოპერაციები დაედებოდა საფუძვლად ჭეშმარიტებასა და შეცდომას შორის განმასხვავებელ ნიშნებს. ამასთან მიღწეული ცოდნის სისტემა, ადამიანის ცნობიერებაში შექმნილი იდეალური სურათი აღარ იქნებოდა წინააღმდეგობრივი ბუნებისა. სწორედ ამგვარი ასპექტით განიხილავენ ჭეშმარიტებას სუბიექტურ-იდეალისტური მიმართულებანი, რომელთათვის ცოდნის ბუნება საგნობრივი არ არის და საგნის ნიშნები და ჭეშმარიტების ნიშნები ურთიერთგამიჯნულია.

დიალექტიკური მატერიალიზმის შემეცნების თეორია იდეალიზმისაგან განსხვავებით ჩვენგან მოითხოვს, ჭეშმარიტი ცოდნის სისტემა ობიექტური საგნის ბუნების შესწავლიდან ავაშენოთ.

მაშასადამე, თუ ობიექტური საგანი ისე უნდა აისახოს, როგორც იგი აზრობრივი დანამატის გარეშე და აზრისაგან დამოუკიდებლად არის მოცემული, თუ ჭეშმარიტი აზრი გაწმენდილია სუბიექტის მინარევისაგან, მაშინ ჩვენს ცნობიერებაში წარმოქმნილი იდეალური სურათიც თვით ასახული ობიექტის შესაბამისად წინააღმდეგობრივ ხასიათს უნდა ატარებდეს. ნამდვილად წინააღმდეგობის ერთ-ერთ სახეს ცოდნაში წარმოადგენს აბსოლუტური და შეფარდებითი ჭეშმარიტების ურთიერთობა.

მაგრამ აქ ჩვენ უნდა განვასხვაოთ ორი საკითხი: ერთი ობიექტური ჭეშმარიტების არსებობის საკითხი და მეორე, ამ ობიექტურ ჭეშმარიტებაში აბსოლუტურისა და შეფარდებითის დიალექტიკური ურთიერთდამოკიდებულება. აქედან პირველ საკითხზე ჩვენ დაწვრილებით გვქონდა საუბარი. ვ. ი. ლენინმა საფუძვლიანად ამხილა სუბიექტური იდეალისტების, მახისტების ყალბი არგუმენტები, რომლებიც წამოყენებული იყო ობიექტური ჭეშმარიტების არსებობის საწინააღმდეგოდ. ლენინმა მიუთითა, რომ ადამიანს თავისი ცნობიერებით შეუძლია ჩაწვდეს საგანთა ბუნებას, გაიგოს მისი არსება, კანონზომიერება, რომ ცდით და პრაქტიკით შემოწმებული ჩვენი ცოდნა არის ობიექტური ჭეშმარიტება. „თუ არსებობს ობიექტური ჭეშმარიტება (როგორც მატერიალისტები ფიქრობენ), — წერს ლენინი, — თუ ბუნებისმეტყველებას, რომელიც ასახავს გარესამყაროს ადამიანის „ცდაში“, ერთადერთს შესწევს უნარი მოგვცეს ობიექტური ჭეშმარიტება, ამით ყოველგვარი ფიდეიზმი უცილობლად უკუგდებულია“[19].

ახლა გასარკვევია მეორე საკითხი: თუ ობიექტური ჭეშმარიტება არსებობს, „შეუძლია თუ არა ადამიანის წარმოდგენებს, რომელნიც ობიექტურ ჭეშმარიტებას გამოხატავენ, იგი ერთბაშად, სავსებით ყო-

---

[19] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 14. გვ. 149.

ველი პირობის გარეშე, აბსოლუტურად გამოხატონ. თუ მხოლოდ დაახლოებით შეფარდებით?"[20] ასე აყენებს კითხვას ვ. ი. ლენინი და იქვე იძლევა საბელმძღვანელო მითითებებს ამ პრობლემის სწორი გადაწყვეტისათვის.

რა არის აბსოლუტური ჭეშმარიტება? არსებითად აბსოლუტური ჭეშმარიტება ეს არის ობიექტური ჭეშმარიტება. მისი ერთ-ერთი მთავარი ასპექტი. ლენინი მიუთითებს, რომ ვინც ობიექტურ ჭეშმარიტებას აღიარებს, მან აბსოლუტური ჭეშმარიტებაც უნდა ცნოს და პირიქით—„შეუძლებელია აბსოლუტური ჭეშმარიტება უარყო, თუ არ უარყავი ობიექტური ჭეშმარიტების არსებობა"[21]. აბსოლუტური ჭეშმარიტების ცნებაში იგულისხმება უპირობო, შეუზღუდავი და სრული ცოდნა, ისეთი ცოდნა, რომელიც ამომწურავად ასახავს საგანს და შემდგომ გაღრმავებასა და დაზუსტებას არ საჭიროებს.

მაგრამ როგორ მივაღწიოთ ასეთ უპირობო ცოდნას, როცა საგნები და კანონზომიერებანი, რომლებსაც ჩვენ ავსახავთ წინააღმდეგობრივია, მუდამ იცვლებიან და ვითარდებიან? აზრი თუ საგნით განისაზღვრება, როგორ არის შესაძლებელი მოძრაობაში მყოფი უსასრულო სინამდვილე დასრულებული და მუდმივი აზრის სახით წარმოვიდგინოთ?

ამ კითხვაზე ფ. ენგელსი ასეთ პასუხს იძლევა: „ჩვენ აქ... წინააღმდეგობა გვაქვს... აუცილებლად აბსოლუტურად წარმოდგენილ ადამიანურ აზროვნებასა და მის განხორციელებას შორის, რომელიც მხოლოდ შეზღუდულად მოაზროვნე ადამიანებში ხდება, ესაა წინააღმდეგობა, რომელიც შეიძლება მხოლოდ დაუსრულებელ პროგრესში, ჩვენთვის, ყოველ შემთხვევაში ადამიანურ თაობათა პრაქტიკულად დაუსრულებელ ურთიერთთანამიმდევრობაში გადაიჭრას. ეს აზრით ადამიანის აზროვნება ისევე სუვერენულია, როგორც არასუვერენული, მისი შემეცნების ნიჭი ისევე შეუზღუდველია, როგორც შეზღუდული. იგი სუვერენული და შეუზღუდველია ნიჭის, მოწოდების, შესაძლებლობის, ისტორიული საბოლოო მიზნის მიხედვით; არასუვერენული და შეზღუდულია განცალკევებული განხორციელებისა და ამა თუ იმ დროს მოცემული სინამდვილის მიხედვით"[22].

ფ. ენგელსმა ზემოაღნიშნულ დებულებაში შესანიშნავად გვაჩვენა ის წინააღმდეგობრივი ბუნება, რომელიც ჭეშმარიტებისათვის არის დამახასიათებელი. ამრიგად, აზროვნების წინაშე დგას ამოცა-

---

[20] ი ქ ვ ე, გვ. 145.

[21] ი ქ ვ ე.

[22] ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ანტი-დიურინგი, გვ. 103.

ნა—მოგვცეს უსასრულობაში მყოფი სინამდვილის სასრულო სურათი. ამ მოთხოვნის განხორციელება მას შეუძლია ნიჭის, მოწოდების, შესაძლებლობისა და ისტორიული საბოლოო მიზნის მიხედვით. ამ აზრით ადამიანის აზროვნება შეუზღუდველი და სუვერენულია და იგი მართლაც მიისწრაფის აბსოლუტური ჭეშმარიტებისაკენ. მაგრამ აბსოლუტურად წარმოდგენილი ადამიანური აზროვნების ეს ლტოლვილება წინააღმდეგობაში მოდის განცალკევებულად და შეზღუდულად მოაზროვნე ადამიანის იმ პირობებთან, რომლებიც შეუძლებელს ხდიან სრულიად და ამომწურავად იქნეს ასახული დაუსრულებელ განვითარებაში მყოფი სინამდვილე. ამრიგად, აბსოლუტური ჭეშმარიტების ფარგლები ირღვევა, შემეცნების ისტორიული განვითარების მსვლელობაში გზადაგზა ნათელი ხდება, რომ ის ცოდნა, რომელსაც ჩვენ ობიექტური სინამდვილის შესწავლის პროცესში ვქმნით. ყოველთვის გარკვეული კონკრეტული პირობებით არის შეზღუდული. ამიტომ ადამიანი აბსოლუტურ ჭეშმარიტებას აღწევს არასრულად, ეტაპობრივად, ნაბიჯ-ნაბიჯ.

ამ ასპექტის მიხედვით, შემეცნების განვითარების ყოველ ცალკეულ საფეხურზე მიღწეული ცოდნა არის შეფარდებითი ანუ რელატური ჭეშმარიტება. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ შეფარდებითი ჭეშმარიტება, რომელიც წინააღმდეგობაშია აბსოლუტურ ჭეშმარიტებასთან, თავის მხრივ არ შეიცავდეს აბსოლუტური ჭეშმარიტების მარცვალს, რომ თითქოს ჩვენ ამით ვერ ვაღწევდეთ აბსოლუტურ ჭეშმარიტებას. „ადამიანის აზროვნებას, — წერს ვ. ი. ლენინი, — თავისი ბუნებით შეუძლია მოგვცეს და კიდეც გვაძლევს აბსოლუტურ ჭეშმარიტებას, რომელიც დგება შეფარდებითს ჭეშმარიტებათა ჯამისაგან. ყოველი საფეხური შემეცნების განვითარებაში ახალ მარცვლებს უმატებს აბსოლუტური ჭეშმარიტების ამ ჯამს, მაგრამ ყოველი მეცნიერული დებულების ჭეშმარიტების ფარგლები შეფარდებითია, ხან ფართოვდება, ხან ვიწროვდება ცოდნის შემდგომი ზრდის გამო“[23].

მაშასადამე, შეფარდებითი ჭეშმარიტება არის ისეთი ცოდნა, რომელიც შეზღუდულია გარკვეული კონკრეტულ-ისტორიული პირობებით და ყოველ ასეთ პირობათა ცვალებადობის შესაბამისად, მოითხოვს შემდგომ დაზუსტებას, გაღრმავებას, განვითარებას.

აბსოლუტური და შეფარდებითი ჭეშმარიტება უნდა წარმოვიდგინოთ არა გათიშულად, როგორც ორ სხვადასხვა პოლუსზე მყოფი დაპირისპირებული მხარეები. ჭეშმარიტება თავისი ბუნებით წინააღმ-

---

[23] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 14, გვ. 162.

დეგობრივია, მაგრამ იგი ერთიანია, მას მხოლოდ ნიშნები, ასპექტები აქვს სხვადასხვა. ასეთი წინააღმდეგობრივი ბუნება ჭეშმარიტებისა იმით უნდა აიხსნას, რომ ამა თუ იმ ეტაპზე მიღწეული ცოდნის დონე ერთდროულად აბსოლუტურიც არის და შეფარდებითიც. იგი აბსოლუტურია იმ აზრით, რომ გარკვეულ პირობებში ადამიანი მაქსიმალურად ამომწურავად აღწევს იმ ცოდნას, რომლის შესაძლებლობა და უნარი მას ამ ეტაპზე აქვს. მაგრამ ამავე დროს ადამიანმა იცის, რომ ცოდნის მიღწეული დონე შეფარდებითია, რომლითაც აბსოლუტურობის ფარგლები მეტად ელასტიკური ხდება.

აბსოლუტურობის გადალახვა, როგორც აღვნიშნეთ, ორი მიზეზით არის გამოწვეული: პირველი მიზეზი არის ობიექტური სამყაროს საგანთა და მოვლენათა განუწყვეტელი ცვალებადობა, ხოლო მეორე — მეცნიერებისა და ტექნიკის წინსვლა, პრაქტიკული ცხოვრების განვითარება და ამ საფუძველზე ადამიანის შემეცნებითი უნარის დაუსრულებელი გაფართოება.

ჭეშმარიტების ეს შინაგანი წინააღმდეგობა, რომელიც მის აბსოლუტურ და შეფარდებით ხასიათშია მოცემული, წარმოადგენს მეცნიერული შემეცნების განვითარების შინაგან მამოძრავებელ ძალას, ეს არის ყოველი მეცნიერების შინაარსობლივი და სტრუქტურული განვითარების წყარო, ძირითადი მოტივი, მისი სტიმულის მიმცემი და წინ წამყვანი ძალა.

ამრიგად, ჭეშმარიტება უნდა განვიხილოთ არა როგორც შეჩერებული, დამთავრებული ცოდნა, რომელსაც შეიძლება ბოლოს და ბოლოს მივაღწიოთ და ამით შევწყვიტოთ შემდგომი მისი ძიება. ასეთი მიზნის დასახვა უაზრობა იქნებოდა. ჭეშმარიტება განუწყვეტელი პროცესია, რომელიც მიდის ცოდნის დაბალი საფეხურიდან ცოდნის მაღალი საფეხურისაკენ, ისე რომ ეს სპირალური განვითარების რგოლები მუდმივ ახალ-ახალი სახით წარმოდგება და იგი არასოდეს არ მიდის ბოლომდე. მაგრამ ჭეშმარიტების შემეცნების ასეთ სპირალურ განვითარებას ახორციელებს არა განცალკევებული ადამიანის აზროვნება, არამედ იგი, — როგორც ენგელსი მიუთითებს, — არსებობს მხოლოდ როგორც წარსული, აწმყო და მომავალი, მრავალი მილიარდი ადამიანის განცალკევებული აზროვნება. ის, რაც გარკვეულ ეტაპზე სრულად არ არის შემეცნებული, შემდგომ უფრო მაღალ ეტაპზე ღრმავდება, ზუსტდება და სწორდება. ამიტომ ყოველი ცოდნის მიმართ უნდა გვქონდეს კრიტიკული და შემოქმედებითი მიდგომა. ენგელსი ამასთან დაკავშირებით სწორად შენიშნავდა, რომ „ალბათ, ჩვენ კაცობრიობის ისტორიის დასაწყისში ვდგევართ და ის თაობანი, რომელთაც ჩვენი გასწორება მოუხდებათ, ალბათ, ბევრად

უფრო მრავალრიცხოვანი იქნებიან, ვიდრე ის თაობანი, რომელთა ცოდნას ჩვენ ვასწორებთ"[24].

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები ჭეშმარიტებას როგორც პროცესს განიხილავდნენ ობიექტური სამყაროს განვითარების პროცესის ანარეკლად ადამიანის ცნობიერებაში. თუ ჭეშმარიტება არის აზრის თანხმობა საგანთან, მსჯელობის შესაბამისობა ობიექტურ სინამდვილესთან და სინამდვილე დინამიკურ ხასიათს ატარებს, მაშინ ჩვენი წარმოდგენები, აზრები, ცნებები ისეთივე მოქნილნი და ცვალებადნი უნდა იყვნენ, როგორც თვითონ სინამდვილეა, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი გადაიქცევიან მკვდარ, უსიცოცხლო აბსტრაქციებად, რომელთაც კავშირი არ ექნებათ რეალურ სამყაროსთან. „შემეცნება, — წერს ლენინი, — არის აზროვნების მუდმივი, უსასრულო მიახლოება ობიექტთან. ბუნების ასახვა ადამიანის აზრში უნდა გვესმოდეს არა როგორც „მკვდარი", „აბსტრაქტული", მოძრაობას მოკლებული, არამედ მოძრაობის, წინააღმდეგობათა წარმოშობისა და მათი გადაწყვეტის მარადიულ პროცესში". და შემდეგ — „აზრმა (ადამიანმა) არ უნდა წარმოიდგინოს ჭეშმარიტება მკვდარი, მოსვენებული სახით, როგორც უბრალო სურათი (გამოსახულება), უფერული (მკრთალი), მისწრაფებას, მოძრაობას მოკლებული, თითქოს გენია, თითქოს რიცხვი, თითქოს აბსტრაქტული აზრი"[25].

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ შემეცნების წინააღმდეგობრივი ხასიათი გამოიხატება არა მხოლოდ აზროვნების სუვერენობასა და არასუვერენობაში, რომლის ძირითადი შინაარსი ზემოთ გავარკვიეთ, არამედ შემეცნების პროცესში სუბიექტსა და ობიექტს შორის ურთიერთობაშიც. სუბიექტი და ობიექტი შემეცნების განუყოელი კომპონენტებია, რომელთა ურთიერთქმედებითა და დაპირისპირებულობით ხდება შემეცნების რეალიზაცია. სამყაროს იდეალური სურათის შექმნა. აბსტრაქტული აზროვნება ადამიანს, გარკვეული თვალსაზრისით, შესაძლებლობას აძლევს, „აფრინდეს" გრძნობადი სინამდვილიდან, გაემიჯნოს თავისთავს როგორც ცოცხალ განჭვრეტაში მყოფ სუბიექტს. ამ შემთხვევაში უშუალო სინამდვილიდან ასეთი „დაშორება" საგანთა შემთხვევითი და არა არსებითი ნიშნისაგან განყენება სინამდვილის არსებაში შეჭრის აუცილებელი პირობაა. აქ შეიძლებოდა მატერიალისტური ინტერპრეტიცია გაგვეკეთებინა აზროვნების ეკონომიისათვის, რომელსაც ლენინი გარკვეული აზრით ერთ პუნქტში დადებითად იხსენიებდა: „ადამიანის აზროვნება მაშინაა „ეკონომიური", —

---

[24] ფ. ენგელსი, იქვე, გვ. 102.
[25] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 38, გვ. 192.

მიუთითებს ლენინი. — როცა იგი ს წ ო რ ა დ ასახავს ობიექტურ ჭეშმარიტებას და ამ სისწორის კრიტერიუმია პრაქტიკა, ესქპერიმენტი. ინდუსტრია"[26]. მაგრამ მახისტები აზროვნების ეკონომიურ პრინციპს აგნოსტიციზმის იდეების ქადაგებისათვის იყენებდნენ და ამით მათ სურდათ გადაეყენებინათ მიზეზობრიობაც და მატერიალური სუბსტანციაც. აზროვნების ეკონომიის პრინციპს დღესაც იყენებს თეორიულ არგუმენტად თანამედროვე პოზიტივისტური ფილოსოფია.

შემეცნების პროცესში ობიექტი განსაზღვრავს სუბიექტის მოქმედებას, მაგრამ სუბიექტი არ არის პასიური, იგი აქტიური ძალაა და შემოქმედებითად ასახავს ობიექტს. ცნებითი აზროვნებით, აბსტრაქტულ-ლოგიკური აზროვნებით შემმეცნებელი სუბიექტი ქმნის „ახალი პლანის" სინამდვილეს — „აბსტრაქტულ ობიექტს". რომელიც აფართოებს და ამდიდრებს ადამიანის შემეცნებით უნარს. მაგრამ შემეცნების პროცესის ამ სუბიექტურ მხარეს თუ გავაზვიადებთ და მოვწყვეტთ მისი ობიექტური შინაარსისაგან, იდეალიზმში ჩავვარდებით. ამ შეცდომისაგან გვიხსნის ობიექტურისა და სუბიექტურის დიალექტიკური ერთიანობის პრინციპის დაცვა. თუმცა ობიექტსა და სუბიექტს შორის არსებული წინააღმდეგობანი და აგრეთვე თვით აზროვნების პროცესში არსებული შინაგანი წინააღმდეგობანი, აბსოლუტური და შეფარდებითი ჭეშმარიტების სახით, გარდუვალად მოქმედებენ. ამასთან ერთად აზროვნებისათვის დამახასიათებელია როგორც ლოგიკური, ისე გნოსეოლოგიური და სოციოლოგიური ცალმხრივობის საფუძველზე წარმოშობილი შეცდომები და წინააღმდეგობანი. ყველა ამ აღნიშნულ წინააღმდეგობათა გადაჭრა გზადაგზა ხდება ობიექტის განმსაზღვრელი როლისა და სუბიექტის აქტივობის კანონის თანმიმდევრული მოქმედების საფუძველზე.

შემეცნების ჭეშმარიტი ბუნება მოითხოვს: ობიექტური სინამდვილის ასახვის პროცესში ობიექტურის მიმართ სუბიექტურის შესაბამისობის კანონის დაცვას; სუბიექტის დამოკიდებულებას და დაქვემდებარებას ობიექტზე; სუბიექტსა და ობიექტს შორის წინააღმდეგობის გადაწყვეტას ობიექტის მოთხოვნის შესაბამისად. გნოსეოლოგიური სუბიექტ-ობიექტის მიმართება უნდა გვესმოდეს ერთმხრივად, როგორც სუბიექტის გავლენისაგან ობიექტურის განთავისუფლება. ასეთი გზით ხდება გნოსეოლოგიური ცალმხრივობისა და ლოგიკური შეცდომებისაგან ცოდნის განთავისუფლება.

მაგრამ ეს ერთმხრივობა სუბიექტის მიმართებაში არ შეიძლება აბსოლუტური მნიშვნელობით გავიგოთ. ეს ურთიერთობა თავისთავში

---

[26] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 14, გვ. 209.

შეიცავს სუბიექტის აქტივობას და სუბიექტური ფორმების გამოყენებას. უნდა მივიღოთ მხედველობაში ისიც, რომ ჭეშმარიტი ცოდნის შემუშავების კანონის მოქმედებასა და ამ კანონის განხორციელებას ხელს უწყობს სუბიექტის აქტივობის პრინციპის დაცვა. პირველ რიგში შემმეცნებელი სუბიექტი და თვითონ ადამიანები მიისწრაფვიან ობიექტური ჭეშმარიტებისაკენ. შემმეცნებელი სუბიექტის თეორიულ მიზანს შეადგენს ობიექტური ჭეშმარიტების მიღწევა და ამ შემთხვევაში სუბიექტია შემეცნების პროცესის წარმმართველი ფიგურა ჭეშმარიტების კანონის მოქმედებაში.

ობიექტური ჭეშმარიტების აბსოლუტური და შეფარდებითი ნიშნები დიალექტიკურ ერთიანობაშია. თუ აქედან ერთ რომელიმე მხარეს წამოვწევთ წინა პლანზე და მეორეს დავამცირებთ, ან ერთ-ერთ მათგანს ვცნობთ და მეორეს უარვყოფთ, ამით ავცდებით ჭეშმარიტების სწორ გაგებას და იდეალიზმისა და მეტაფიზიკის ტყვეობაში მოვექცევით. ასეთ თვალსაზრისებს წარმოადგენენ რელატივიზმი და დოგმატიზმი.

რელატივიზმი იმდენად უზომოდ აზვიადებს და ააბსოლუტურებს ცოდნის შეფარდებითობას, რომ მასში ვერ ხედავს აბსოლუტური ჭეშმარიტების მარცვლებს. მისთვის საგნის შესახებ გამოთქმული აზრი ყოველ დროსა და პირობაში საეჭვო ხდება და ერთ გარკვეულ კონკრეტულ ვითარებაშიც არ შეესაბამება საგნის რეალურ მდგომარეობას. რელატივიზმის გნოსეოლოგიური საფუძველია მოძრაობისა და განვითარების პროცესის ცალმხრივი გაგება, ისეთი თვალსაზრისი, რომელიც მოძრაობას განიხილავს წყვეტილობის, წინასწორობის, შეჩერებისა და მყუდროების მომენტების გარეშე და აქედან გამომდინარე შეუძლებლად თვლის შეფარდებით ჭეშმარიტებაში აბსოლუტური ჭეშმარიტების მარცვლების არსებობას, რელატივიზმში ცოდნის შეფარდებითობა არსებითად მცდარობამდე მიდის.

მარქსისტული თვალსაზრისით, შეფარდებითი ჭეშმარიტება არ შეიძლება რელატივიზმთან გავაიგივოთ. შეფარდებითი ჭეშმარიტების სტრუქტურაში შედის: 1. აბსოლუტური ჭეშმარიტების მარცვალი; 2. არასრული, არაზუსტი ცოდნა, რომელიც ნაწილობრივად არის საგნის ადეკვატური და საგნის ბუნების უფრო საფუძვლიანი შესწავლის საფუძველზე შემდგომ გაღრმავებას, დაზუსტებასა და სრულყოფას საჭიროებს. 3. შეცდომები, რომლებიც სუბიექტის ზეგავლენითა და ყალბი ფანტაზიით არის შექმნილი და როგორც არაადეკვატური ასახვა, უნდა უკუგდებულ იქნას.

ავიღოთ, მაგალითად. მატერიის აღნაგობის შესახებ ძველი დროის ცოდნა, რომელიც შეფარდებით ჭეშმარიტებას გამოხატავდა: ატომისტურ ფილოსოფიაში გამოთქმული დებულება, რომ მატერიალური სამყარო უმცირესი ნაწილაკებისაგან, ატომებისაგან შედგება, ჭეშმარიტი აზრი აღმოჩნდა. იგი შევიდა კაცობრიობის ცოდნის სალაროში, როგორც აბსოლუტური ჭეშმარიტების მარცვალი. სხვა დებულებები მატერიის სტრუქტურის, ფორმისა და მოძრაობის შესახებ, რომლებიც დაუსაბუთებელი ცალმხრივი იყო, დაზუსტდა და მეცნიერულად დასაბუთდა; ხოლო ის დებულება, რომ ატომი განუყოფელია, უარყოფილ იქნა, როგორც მცდარი აზრი. ამგვარი მაგალითი ბევრი შეიძლება მოვიყვანოთ მეცნიერების სხვადასხვა დარგებიდან. ასეთია რელატური ჭეშმარიტების მეცნიერული გაგება. ამ გაგებას საერთო არა აქვს რა რელატივისტურ კონცეფციასთან, რომელიც ობიექტური ჭეშმარიტების წინააღმდეგ გამოდის და სუბიექტივიზმსა და აგნოსტიციზმს ქადაგებს.

ვ. ი. ლენინი დიალექტიკური მატერიალიზმის შემეცნების თეორიას პრინციპულად და ძირეულად განასხვავებს რელატივიზმისაგან. „დიალექტიკა,—წერს ლენინი, — შ ე ი ც ა ვ ს რელატივიზმის, უარყოფის, სკეპტიციზმის მომენტს, მაგრამ იგი რელატივიზმი რ ო დ ი ა. მარქსისა და ენგელსის მატერიალისტური დიალექტიკა უეჭველად შეიცავს რელატივიზმს, მაგრამ რელატივიზმი კი არ არის. ე. ი. აღიარებს ყველა ჩვენი ცოდნის შეფარდებითობას არა ობიექტური ჭეშმამარიტების უარყოფის აზრით, არამედ იმ აზრით, რომ ისტორიულად პირობითია ჩვენი ცოდნის საზღვრების მიახლოება ამ ჭეშმარიტებასთან“[27].

თუ რელატივიზმი შეფარდებითობას ცალმხრივად განიხილავს და მასში აბსოლუტური ჭეშმარიტების მარცვალს ვერ ხედავს, აბსოლუტიზმი ანუ დოგმატიზმი ცოდნაში სრულიად გამორიცხავს პ ი რ ო ბ ი თ ო ბ ა ს, შეფარდებითობას და საგნის შესახებ ერთ კონკრეტულ პირობებში გამოთქმულ აზრს ყველა დროისა და პირობისათვის საკალდებულო, მარადიულ ჭეშმარიტებად აცხადებს.

ისმება კითხვა: მართლაც არის თუ არა სამყაროს მოვლენათა ანასახ ხურათებში ისეთი ელემენტები, რომლებიც უცვლელად და მარადიულად ჩაითვლებიან? მაშასადამე, არსებობს თუ არა ეგრეთწოდებული მარადიული ჭეშმარიტება? მარქსიზმი თვლის, რომ ასეთი ელემენტები ცოდნაში არის და პირველ რიგში ესაა, ასე ვთქვათ, უმარტივესი სამუშაო დებულებები, რომელთა გარეშე მეცნიერება

---

27 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 14, გვ. 165.

არ შეიქმნება. ფ. ენგელსი ასეთ დებულებად თვლის: „ორჯერ ორი არის ოთხი“, „პარიზი საფრანგეთშია“, „ადამიანმა რომ საკვები არ მიიღოს, შიმშილით მოკვდება“ და სხვა მრავალი. მაგრამ ამ დებულებებს მეცნიერების განვითარებისათვის არა აქვს ისეთი დიდი საკვლევაძიებო მნიშვნელობა, რომ ამ საფუძველზე საერთოდ ჩვენი ცოდნა მარადიულად ვცნოთ. ამიტომ უწოდებს ენგელსი ასეთი კატეგორიის ჭეშმარიტებას ბანალურ ჭეშმარიტებას.

მაგრამ ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ ობიექტური სამყაროს ასახვის შედეგად კაცობრიობის მეცნიერული ცოდნის სისტემაში შემუშავებულია ზოგიერთი ცნება, კანონი, ძირითადი პრინციპები, რომლებსაც აბსოლუტური ჭეშმარიტების მნიშვნელობა აქვთ და ამიტომ ისინი მარადიულად შეიძლება მივიჩნიოთ. ასეთია, მაგალითად, მატერიისა და მოძრაობის მარადიულობისა და ურთიერთგანუყოფელობის პრინციპი, ენერგიის შენახვისა და გარდაქმნის კანონი, მატერიის ფილოსოფიური ცნება, მატერიალისტური დიალექტიკის ძირითადი კანონები, ფილოსოფიური მატერიალიზმის პრინციპები და სხვა. ეს ცნებები, კანონები და პრინციპები, სანამ ბუნება და ადამიანთა საზოგადოება ერთად იარსებებენ, არასოდეს არ დაკარგავენ ძალას.

მარქსიზმ-ლენინიზმის ძირითადმა პრინციპებმა კაცობრიობის ისტორიული პრაქტიკის განვითარების პროცესში მოიპოვეს იმის სრული უფლება, რომ ისინი იწოდებოდნენ აბსოლუტურ ჭეშმარიტებად. რადგან ეს პრინციპები მუდამ ცოცხალი და ყოვლისმომცველი ხასიათისაა. რა თქმა უნდა, ეს იმგვარად არ უნდა იქნეს გაგებული, რომ მარქსისტული ფილოსოფიის ძირითადი დებულებები თითქოს უცვლელია და ცოდნის ის სისტემა, რომელიც ამ სახით შემუშავებულია, ყველა დროსა და პირობაში უცვლელი უნდა იყოს. ეს იქნებოდა მარქსიზმის სისტემაზე მეტაფიზიკური წარმოდგენა. მარქსიზმ-ლენინიზმი შემოქმედებითი ხასიათისაა და ახალი პირობების შესაბამისად ღრმავდება, ზუსტდება, ვითარდება. მაგრამ მარქსიზმის შემოქმედებითი განვითარება იმას არ ნიშნავს, რომ მისი რომელიმე პრინციპი უნდა შეიცვალოს და მის ნაცვლად ახალი პრინციპი იქნეს წამოყენებული. როგორც ითქვა, ძველდება არა მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპები, არამედ ძველდება მისი ცალკეული დებულებანი, როცა ისინი შეცვლილ ვითარებას აღარ შეესაბამებიან და მოითხოვენ ახალი პირობების ამსახველი დებულებით შეცვლას. მარქსიზმის შემოქმედებითი განვითარების ნიმუშია ლენინიზმი, რომელიც ახალ ეტაპს წარმოადგენს მარქსიზმის განვითარებაში.

დოგმატიზმის წინააღმდეგ ბრძოლასა და მარქსიზმის შემოქმედებითი განვითარების პრინციპს რევიზიონისტები როგორც წინათ, ისე

ღღესაც იყენებენ მარქსიზმ-ლენინიზმის ძირითადი პრინციპების ფალსიფიკაციისათვის. მაგრამ რევიზიონისტი და კომუნიზმის მოწინააღმდეგე მხოლოდ ის კი არ არის — ვინც შენიღბულად ან აშკარად გამოდის მარქსიზმ-ლენინიზმის მოწინააღმდეგედ, არამედ ისიც, ვინც მარქსიზმის დებულებებს განიხილავს როგორც მარადიულს, ყველა დროისა და პირობისათვის გამოსადეგ დებულებებად და ანგარიშს არ უწევს საგანთა ცვალებადობას.

მარქსისტული ფილოსოფიის თვალსაზრისით, ყოველ შეფარდებით ჭეშმარიტებაში არის აბსოლუტური ჭეშმარიტების მარცვალი; ხოლო აბსოლუტური ჭეშმარიტება კი წარმოადგენს შეფარდებით ჭეშმარიტებათა ჯამს. მარქსიზმ-ლენინიზმი რელატივიზმისა და დოგმატიზმის მტერია და იგი ჭეშმარიტებას განიხილავს კონკრეტულ-ისტორიულად.

5. ჭეშმარიტების კონკრეტულობა

აბსოლუტური და შეფარდებითი ჭეშმარიტების ერთიანობა გამოხატავს ობიექტური სამყაროს საგანთა და მოვლენათა განვითარების პროცესებში შეჩერებისა და ცვალებადობის დიალექტიკური ერთიანობის ასახვას ადამიანის ცნობიერებაში. კაცობრიობის მთელს განვლილ შეშეცნებითს გზას რომ ანალიზი გავუკეთოთ, იგი წარმოგვიდგება ცალკეული წყვეტილი საფეხურებით, რომლებიც თავიანთ ერთობლიობაში ქმნიან შემეცნების მთლიან განუწყვეტელ პროცესს, რომელშიც შემეცნების ყოველი ცალკეული საფეხური ასახავს ცნობიერებაში მოცემულ საგანთა არსებით ნიშნებს. ამ კონკრეტული საგნის მრავალმხრივობის ასახვა იძლევა აბსოლუტური და შეფარდებითი ჭეშმარიტების ერთიანობას ანუ კონკრეტულ ჭეშმარიტებას. მაშასადამე, ობიექტური ჭეშმარიტება არსებობს კონკრეტული სახით: იგი თავისთავში აერთიანებს ჭეშმარიტების აბსოლუტურობისა და კონკრეტულობის ნიშნებს. რა არის კონკრეტული ჭეშმარიტება?

კონკრეტული ჭეშმარიტება არის ისეთი ასახვა, ისეთი ცოდნა, რომელიც განისაზღვრება შესამეცნებელი სინამდვილის გარკვეული კონკრეტული სიტუაციით: საგნის გარკვეული დროით, ადგილითა და პირობებით; ამდენად იგი მრავალ განსაზღვრულობათა ერთიანობას გამოხატავს: ჭეშმარიტება ყოველთვის კონკრეტულია და არა აბსტრაქტული. ჭეშმარიტების აბსტრაქტულობაზე შეიძლება ილაპარაკონ დოგმატისტებმა და აბსოლუტისტებმა, რომელთათვის აზროვნების პროცესი არ არის დაკავშირებული კონკრეტული რეალური სინამდვილის ასახვასთან.

მარქსისტულ-ლენინური შემეცნების თეორიის თანახმად, აბსტრაქტული აზრობრივი გაგებით ხერხია გრძნობად-კონკრეტულის არსებითი ნიშნების ასახვისათვის, ჭეშმარიტი ცოდნის მიღწევისათვის და არა მისი განმსაზღვრელი ნიშანი. ამასთან ჭეშმარიტებას გამოხატვის ფორმა აქვს აბსტრაქტული, რადგანაც იგი აზრია და, როგორც ცოდნა. ცნებებში, მსჯელობაში გამოიხატება; ცოდნის შინაარსი ყოველთვის კონკრეტულია, რამდენადაც იგი არა განყენებული, არა აბსტრაჰირებული ნიშნებით, არამედ კონკრეტული ობიექტური საგნის ბუნებით განისაზღვრება და მის ადეკვატურ ასახვას წარმოადგენს.

აბსტრაქტულს დიდი მნიშვნელობა აქვს ჭეშმარიტების შემუშავებისა და მისი ბუნების ასახსნელად. მიუხედავად იმისა, რომ ჭეშმარიტება თავისი ბუნებით კონკრეტულია, ეს სრულებითაც იმას არ ნიშნავს, რომ შემეცნების პროცესის სწორად წარმართვისა და ჭეშმარიტების მიღწევისათვის მარტო კონკრეტული ასრულებს მთავარ ფუნქციას, ხოლო შემეცნების ყველა სხვა საშუალებ.. მათ შორის აბსტრაქტული, უგულებელყოფილ უნდა იქნეს. მართალია, აბსტრაქტულობა არ არის ჭეშმარიტების არსებითი ნიშანი, მაგრამ ჭეშმარიტების კონკრეტული შინაარსის გახსნა და ობიექტური საგნის ადეკვატური სურათის შექმნა ადამიანის ცნობიერებაში მეცნიერული აბსტრაქციის გზით არის შესაძლებელი. შემეცნების მაღალ საფეხურს აბსტრაქტული აზროვნება წარმოადგენს. აბსტრაქტული ხასიათი იმიტომაც აქვს აზროვნებას, რომ იგი გაშუალებულია ცოცხალი განჭვრეტით და ობიექტური სინამდვილის განზოგადებულ ცოდნას იძლევა. აბსტრაქციის გარეშე შეუძლებელია განზოგადებული ცოდნა, ხოლო ზოგადის გარეშე კი არ არსებობს მეცნიერული შემეცნება. მარქსმა, როგორც თვითონ მიუთითებს, კონკრეტული სოციალ-ეკონომიური მოვლენების არსება გახსნა აბსტრაქციის გზით და ამ საფუძველზე აღმოაჩინა კაპიტალისტური საზოგადოების სიღრმისეული პროცესები, კერძოდ კი ზედმეტი ღირებულების კანონი.

ამასთან მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ მარქსისტულ შემეცნების თეორიაში აბსტრაქტული კონკრეტულისაგან არ არის მოწყვეტილი. რადგან იგი გამოხატავს მისგან არსებითი ნიშნის განყენებას. ამავე დროს ისიც უნდა ითქვას, რომ აბსტრაქტულიდან არ წარმოიშობა კონკრეტული, როგორც ამას ჰეგელი ამტკიცებს. ჰეგელის თქმით, კონკრეტულს ახასიათებს ტოტალობა ე. ი. მრავალმხრიობა, ყოვლისმომცველობა, მაგრამ კონკრეტული მასთან, ჰეგელთან, გენეტურად აბსტრაქტულიდან გამოიყვანება, როგორც ლოგიკური

აზროვნების მოღვაწეობის რეზულტატი. მარქსისტულ ფილოსოფიაში კი კონკრეტული თავიდანვე გამოდის როგორც შემეცნების პროცესის ამოსავალი პუნქტი და უშუალო მოცემულობა, როგორც გრძნობად-კონკრეტული სინამდვილე, საიდანაც შემეცნება მიდის აბსტრაქტულისაკენ, ხოლო აბსტრაქტულიდან გადასვლა ხდება ისევ კონკრეტულისაკენ; მაგრამ მეორე საფეხურზე შემეცნება უკან არ უბრუნდება გრძნობად-კონკრეტულს. ამ შემთხვევაში შემეცნების განვითარების მეორე საფეხურზე კონკრეტული სულიერად, იდეალურად კვლავ წარმოიქმნება აზროვნების გზით და ვღებულობთ ლოგიკურ-კონკრეტულს, გრძნობად-კონკრეტულის ცოცხალი ნიშნებისაგან განწმენდილ კონკრეტულს. ეს არის თვისობრივად განსხვავებული კონკრეტული, აზრობრივი კონკრეტული, რომელიც უფრო ღრმა და მრავალმხრივია და თავისთავში მოიცავს მთელ სინამდვილეს, აერთიანებს ცალკეულის, ზოგადისა და განსაკუთრებულის ყველა ნიშანს. „კონკრეტული, — წერს ამასთან დაკავშირებით მარქსი, — იმიტომაა კონკრეტული, რომ იგი მრავალ განსაზღვრათა შეერთებაა, მაშასადამე, მრავალსახეობის ერთიანობაა. ამიტომ აზროვნებაში იგი გვევლინება როგორც შეერთების პროცესი, როგორც შედეგი და არა როგორც ამოსავალი პუნქტი, თუმცა იგი სინამდვილეში ამოსავალი პუნქტია და. მაშასადამე, ჰვრეტისა და წარმოდგენის ამოსავალი პუნქტიც“[28].

აქედან ნათლად ჩანს, რომ ჩვენ ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ კონკრეტულის ორი გაგება: ერთ შემთხვევაში, ჩვეულებრივ სიტყვა-ხმარებაში კონკრეტულის ცნებაში უნდა ვიგულისხმოთ ცალკეული კონკრეტული საგნები, ცოცხალი განჰვრეტის სფეროში მოცემული ობიექტური საგნები და მოვლენები, რომლებიც სუბიექტს ეძლევა შესამეცნებლად. ამ რეალურ-კონკრეტულ საგანთა შემეცნება და აზრობრივი გადამუშავება ხდება აბსტრაქციის საშუალებით. საგანთა მრავალი ნიშნიდან მიიღება არსებითი ნიშანი, არაარსებითი და შემთხვევითი ნიშნებისაგან განყენებით ხდება მსგავსი, იგივეობრივი ნიშნების სინთეზი, მათი განზოგადება და ბოლოს, ამ წესით აზროვნება ადის ახალ, მაღალ საფეხურზე. ამით იგი უფრო სრულად, ღრმად და ყოველმხრივ მოიცავს საგანთა ყველა მხარეს. „ყველა მეცნიერული (სწორი, სერიოზული და არა უაზრო) აბსტრაქცია, — წერს ლენინი, — ბუნებას ასახავს უფრო ღრმად, უფრო სწორად, უფრო სრულად“[29]. ეს არის გრძნობად-კონკრეტულიდან როგორც ამოსავალი პუნქტიდან აზრობრივ-კონკრეტულზე ასვლის მეთოდი, „რომ-

---

[28] კ. მ ა რ ქ ს ი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, 1954, გვ. 281.

[29] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 38, გვ. 167.

ლითაც აზროვნება კონკრეტულს შეითვისებს, კვლავ წარმოქმნის მას გონებრივად როგორც კონკრეტულს. მაგრამ იგი არავითარ შემთხვევაში არაა თვით კონკრეტულის წარმოშობის პროცესი"[30], ისეთი პროცესი, როგორც იგი ილუზორულად ჰეგელს ჰქონდა წარმოდგენილი.

მაშასადამე, აზროვნების შედეგად წარმოქმნილი კონკრეტული განსხვავდება კონკრეტულის ემპირიული გაგებისაგან, კონკრეტულის ეს მეორე გაგება განსხვავდება გრძნობად-კონკრეტულისაგან, იგი აზრობრივ-კონკრეტულია და მიეკუთვნება ლოგიკურ სფეროს.

ჰეშმარიტების კონკრეტულობა გრძნობად-კონკრეტულის აზრობრივ ასახვას წარმოადგენს. როგორც ზემოთ ითქვა, იგი ფორმით აბსტრაქტულის ნიშნის მატარებელია, რადგან იგი აზროვნების სფეროს ეკუთვნის, მაგრამ თავისი შინაარსით კონკრეტულია. ამაშია მისი წინააღმდეგობრივი და მრავალგანსაზღვრულობათა ბუნება. „ყოველი კონკრეტული საგანი, ყოველი კონკრეტული რაიმე განსხვავებულ და ხშირად წინააღმდეგობრივ მიმართებაშია ყოველივე დანარჩენთან, ergo, არის თავისთავადაც და სხვადაც"[31]. და რაკი კონკრეტული საგანი ასეთი ხასიათისაა, მაშინ ჰეშმარიტებაც, რომელიც გრძნობად-კონკრეტული საგნის ბუნებით არის განსაზღვრული, წინააღმდეგობრივი უნდა იყოს. მასში ასახულია უსასრულო, უწყვეტ მოძრაობაში მყოფი სინამდვილის, სასრული, წყვეტილი ფორმა, რომელშიც მოცემულია ურთიერთსაწინააღმდეგო მხარეები: შეჩერება და მოძრაობა, ისიც, რასაც ის ამჟამად წარმოადგენს და სხვაც, რომელიც მას, როგორც ასეთს, უარყოფს, თავის სხვად აქცევს.

შეიძლება თუ არა ასეთი ბუნების მქონე სინამდვილის ამომწურავი ასახვა? ცხადია, არ შეიძლება. დინამიურობაში მყოფი საგნის ასახვა ყოველთვის კონკრეტულ ხასიათს უნდა ატარებდეს, ამიტომ ჰეშმარიტი ცოდნა დამოკიდებულია თვით ამ ასასახავი საგნის მდგომარეობაზე.

ჰეშმარიტების კონკრეტულობას განსაზღვრავს შემეცნების ობიექტური და სუბიექტური პირობები. ამ შემთხვევაში ობიექტურ პირობებში შედის: საგანი, დრო, ადგილი და საზოგადოების მატერიალური მხარე, ტექნიკური პირობები, ხოლო სუბიექტურში: ცნობიერების მექანიზმი, ადამიანის შემეცნებითი უნარი, სოციალ-პოლიტიკური პირობები, მეცნიერების განვითარების დონე, რომელზედაც დამოკიდებულია ადამიანის შემეცნებითი მოღვაწეობა, სუბიექტის აქ-

---

30 კ. მ ა რ ქ ს ი. პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის. გვ. 282.

31 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 38, გვ. 131.

ტიურ-პრაქტიკული მოქმედება. ასეთია კონკრეტული ჭეშმარიტების განმსაზღვრელი პირობები.

ამის მიხედვით ყოველი კონკრეტულ-ისტორიული ეპოქის ცოდნა, რომელიც გამომუშავებულია თავისი ობიექტური და სუბიექტური პირობების შესაბამისად, შეიძლება განვიხილოთ როგორც ჭეშმარიტების პროგრესის საფეხური. ყოველ ეპოქას თავისი წვლილი შეაქვს ჭეშმარიტების საერთო ჯამში. „მარქსიზმის თვალსაზრისით, — წერს ლენინი, —ისტორიულად პირობითია ფ ა რ გ ლ ე ბ ი ჩვენი ცოდნის მოახლოვებისა ობიექტურ, აბსოლუტურ ჭეშმარიტებასთან, მაგრამ უ ც ი ლ ო ბ ე ლ ი ა ამ ჭეშმარიტების არსებობა, უცილობელია ის, რომ ჩვენ ვუახლოვდებით მას“[32]. ჭეშმარიტების პირობითობა, კონკრეტულ-ისტორიული ეპოქის პირობებით შეზღუდულობა არ გამორიცხავს ჭეშმარიტების ობიექტურობას, იმას, რომ ყოველი საფეხური ცოდნის განვითარებაში აბსოლუტური ჭეშმარიტების მარცვალს მატებს კაცობრიობის საერთო ცოდნის სალაროს. რაც ჭეშმარიტია, მას, როგორც გერცენი ამბობს, სიკვდილი არ უწერია. მაგრამ ერთ ეპოქაში მიღწეული ჭეშმარიტება მეორე ეპოქაში, თუ საგნები და პირობები, რომლის საფუძველზეც იგი გამომუშავდა, შეიცვალა, შეცდომად იქცევა, ხოლო შეცდომა ჭეშმარიტებად[33]. ამის საილუსტრაციო მაგალითად ენგელსს ფიზიკიდან მოჰყავს ბოილის კანონი, რომლის თანახმად გაზების მოცულობა უკუპროპორციულია წნევისა. ენგელსი ძიუთითებს, რომ ჭეშმარიტების მარცვალი, რომელიც ამ კანონშია, მხოლოდ განსაზღვრულ ფარგლებში, გარკვეულ პირობებში წარმოადგენს ჭეშმარიტებას. მაშასადამე, იგი პირობითი, შეფარდებითი და „მავე დროს კონკრეტული ხასიათისაა.

აქედან აშკარაა, რომ კონკრეტული ვითარების ამსახველ დებულებას საფუძვლად უნდა ედვას: სინამდვილისადმი არა აბსტრაქტული მიდგომა, არამედ კონკრეტული ანალიზი, მოვლენათა ყველა მხარის შესწავლა, საგანთა განხილვა მათს განვითარებაში, თვითმოძრაობაში, ცვალებადობაში, გარემომცველ სამყაროსთან კავშირში. ასეთია საგანთა დიალექტიკური ახსნის არსი. მეტაფიზიკისა და ეკლექტიზმისაგან განსხვავებით, წერს ვ. ი. ლენინი, დიალექტიკური ლოგიკა ჩვენგან მოითხოვს „ნამდვილად გავიცნოთ საგანი, საჭიროა შევითვისოთ, შევისწავლოთ ყველა მისი მხარე, ყველა მისი კავშირი და „გამეშვევება“. ჩვენ ვერასოდეს ვერ მივაღწევთ ამას სავსებით, მაგრამ ყო-

---

32 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 14, გვ. 163.

33 იხ ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ანტი-დიურინგი, გვ. 108.

ველმხრივობის მოთხოვნა უზრუნველგვყოფს შეცდომებისა და გახევებისაგან"[34].

მარქსისტული ფილოსოფიის ამ ძირითადი მოთხოვნით ხელმძღვანელობდა ვ. ი. ლენინი, როცა იგი სოციალისტური რევოლუციის თეორიას ახალი პრინციპული დებულებებით ამდიდრებდა და შემოქმედებითად ავითარებდა დოგმატისტ-მარქსისტების წინააღმდეგ ბრძოლაში.

გასული საუკუნის ორმოციან წლებში, იმ დროს, როდესაც კაპიტალიზმი ჯერ კიდევ აღმავლობას განიცდიდა და გამოვლინებული არ იყო კაპიტალისტური ეკონომიკის არათანაბარი განვითარების კანონი, რაც მთავარ კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის შეურიგებელ წინააღმდეგობებთან, კონფლიქტებთან არის დაკავშირებული, მარქსი და ენგელსი მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ სოციალისტურ რევოლუციას არ შეუძლია გაიმარჯვოს ერთ რომელიმე ქვეყანაში, რომ სოციალისტურმა რევოლუციამ უნდა გაიმარჯვოს ერთდროულად ყველა ან მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებში. მარქსისა და ენგელსის ეს დებულება შეესაბამებოდა იმდროინდელ კონკრეტულ ვითარებას და იგი უდაოდ ჭეშმარიტ დებულებას წარმოადგენდა.

მაგრამ ვითარება შეიცვალა. როგორც ვიცით, საგნები ყოველთვის მოძრაობაში იმყოფებიან, ყველაფერი იცვლება, ყველაფერი ვითარდება. მე-20 საუკუნის დამდეგს კაპიტალიზმი გადაიზარდა მონოპოლისტურ კაპიტალიზმად და კაპიტალიზმმა გამოავლინა ახალი ნიშნები. იგი მომაკვდავ კაპიტალიზმად იქცა. მთელი ძალით ამოქმედდა კაპიტალიზმის განვითარების უთანაბრობის კანონი. მთავარ კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის ატყდა ომი, რომელმაც მსოფლიო ომის ხასიათი მიიღო. ვ. ი. ლენინმა ამ კონკრეტული ეპოქის ახალ თავისებურებებს მეცნიერული ანალიზი გაუკეთა და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მარქსისა და ენგელსის დებულება სოციალისტური რევოლუციის შესახებ აღარ შეესაბამება მონოპოლისტური კაპიტალიზმის პირობებს; ამ ახალი პირობების შესაბამისად წამოაყენა სოციალისტური რევოლუციის ახალი დებულება: სოციალისტურ რევოლუციას სავსებით შეუძლია გაიმარჯვოს თავდაპირველად ერთ ცალკე აღებულ ცივილიზებულ ქვეყანაში; ყველა ქვეყანაში ან მეტწილ კაპიტალისტურ ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება ერთდროულად შეუძლებელია.

სოციალისტური რევოლუციის მარქსისტულ-ლენინური თეორიიდან გამომდინარე ეს ორი ფორმულირება ეწინააღმდეგება ერთმა-

---

[34] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 32, გვ. 102.

ნეთს და არც შეიძლება. რომ ისინი ერთმანეთს არ გამორიცხავდნენ, რადგან ორ სხვადასხვა ეპოქაში არიან შექმნილნი. მაგრამ შეიძლება თუ არა ამის გამო ვთქვათ, რომ აქედან რომელიმე მათგანი მცდარია? რა თქმა უნდა, არა! ორივე ეს დასკვნა ჭეშმარიტია და სწორად ასახავს კონკრეტულ პირობებს, რომელთა საფუძველზეც ისინი გამომუშავდნენ. „ორივე ეს დასკვნა სწორია, — წერს ი. სტალინი. — მაგრამ არა უთუოდ, არამედ თითოეული თავისი დროისათვის: მარქსისა და ენგელსის დასკვნა — წინამონოპოლისტური კაპიტალიზმის პერიოდისათვის, ხოლო ლენინის დასკვნა — მონოპოლისტური კაპიტალიზმის პერიოდისათვის“[35].

აქედან გასაგებია, რომ როგორც ობიექტური სინამდვილე, ისე მისი ამსახველი ჭეშმარიტებაც ვითარდება, მაგრამ ჭეშმარიტების განვითარება ამ შემთხვევაში იმგვარად უნდა გვესმოდეს, რომ შეცვლილ პირობებში ძველი პირობების ამსახველი ცოდნა ახალი პირობების ამსახველი ცოდნით უნდა იცვლებოდეს. ჭეშმარიტების განვითარებას სხვა აზრი არა აქვს, რადგან თუ ცოდნა ჭეშმარიტია, ე. ი. თუ იგი საგანს ადეკვატურად ასახავს, მაშინ განვითარების ცნება მის მიმართ სხვა მნიშვნელობით არ გამოიყენება.

ამრიგად, ჭეშმარიტების კონკრეტულობის ცნებიდან გამომდინარეობს მეტად მნიშვნელოვანი დასკვნები, რომლებითაც ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ როგორც შემეცნებითი მოღვაწეობის პროცესში, ისე პრაქტიკულ-პოლიტიკური მოღვაწეობის დროსაც. რაკი სინამდვილის ცვალებადობის შესაბამისად ჭეშმარიტებაც იცვლება, მაშინ ამა თუ იმ პირობებში შემუშავებულ ჭეშმარიტებას ჩვენ უნდა ვაფასებდეთ არა მარადიულობის თვალსაზრისით, არამედ იმ პირობების თვალსაზრისით, რომელთა ასახვამაც ეს ცოდნა წარმოშვა და რომელთანაც იგი, როგორც მისი იდეალური სურათი, განუყრელად არის დაკავშირებული.

ამრიგად, ჭეშმარიტება კონკრეტული ხასიათისაა, იგი დამოკიდებულია ასასახავი საგნის ადგილზე, დროსა და პირობებზე. „აბსტრაქტული ჭეშმარიტება არ არსებობს, ჭეშმარიტება ყოველთვის კონკრეტულია“[36].

---

35 ი. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, სახელგამი, 1950, გვ. 47.

36 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32, გვ. 103.

6. ჭეშმარიტება და პრაქტიკა

მარქსამდელ ფილოსოფიაში არ დასმულა პრობლემა ჭეშმარიტებისა და პრაქტიკის ურთიერთობის შესახებ. ეს გასაგებიც არის. იდეალიზმი აზროვნების სფეროში ეძებდა ჭეშმარიტების საფუძველს, ხოლო მარქსამდელი მატერიალიზმი მეთოდოლოგიური და მსოფლმხედველობრივი შეზღუდულობის გამო უძლური იყო ჩასწვდომოდა პრაქტიკის არსებას და დაენახა მასში ჭეშმარიტების საგნობრივი ბუნების ახსნის გასაღები.

იდეალისტური თვალსაზრისი შემეცნებას თიშავდა ადამიანთა მატერიალური ცხოვრებისაგან, ფილოსოფიას — საღი აზრისაგან, თეორიულ-ლოგიკურ აზროვნებას — ემპირიულ-პარქტიკულ ცნობიერებისაგან. როგორც ძველ მოაზროვნეებს, ისე ახალი დროის ფილოსოფოსებს, კერძოდ, ბერკლისა და ფიხტეს არა ერთხელ განუცხადებიათ, რომ „ბრბოს აზრსა“ და „პრაქტიკულ შეხედულებას“ ფილოსოფიისათვის მნიშვნელობა არა აქვს და მათ ანგარიში არ უნდა გაეწიოს ფილოსოფიური, ლოგიკური მსჯელობისა და ცოდნის დაფუძნების პროცესშიო. თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფოსებიც ასეთ მცდარ შეხედულებას გამოთქვამენ ფილოსოფიისა და პრაქტიკის ურთიერთობის საკითხზე. ნეოპოზიტივიზმისათვის პრაქტიკიდან მოყვანილი არგუმენტით არ შეიძლება დაირღვეს ლოგიკური კონცეფციები. ისინი მოითხოვენ: გნოსეოლოგიური თეორიები გაწმენდილი იქნეს საღი აზრის ელემენტებისაგან, შემეცნება განთავისუფლდეს პრაქტიკული თვალსაზრისის გავლენისაგან.

ამრიგად, იდეალიზმი შემეცნების პროცესსა და პრაქტიკას შორის, ცოდნასა და ობიექტურ საგანს შორის გადაულახავ ზღვარს დებს და სწორედ ეს არის მცდარი გნოსეოლოგიური კონცეფციების წყარო, ჭეშმარიტების ყალბი თეორიების წარმოშობის განმსაზღვრელი საფუძველი.

მარქსისტულ-ლენინური შემეცნების თეორია პრაქტიკიდან გამოდის და პრაქტიკას ემყარება. როგორც ვ. ი. ლენინი მიუთითებს, მარქსსა და ენგელსს შეაქვთ პირველად პრაქტიკის კრიტერიუმი შემეცნების თეორიის საფუძველში[37], და ისინი ამ პრინციპის საფუძველზე ქმნიან მკვიდრ დასაყრდენს იდეალისტური გნოსეოლოგიის სიყალბის საფუძვლიანი მხილებისათვის. შემეცნების თეორიის პრაქტიკაზე დაფუძნებით მარქსისტულ ფილოსოფიაში შესაძლებელი გახდა ცნობიერების საზოგადოებრივი ხასიათისა და მისი ნამდვილი ში-

---

[37] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 14, გვ. 166.

ნაარსის გაგება; იმის დასაბუთება, რომ იდეალურ სურათს, რომელიც ადამიანის ცნობიერებაშია გამოხატული, არ გააჩნია ობიექტური სამყაროსაგან დამოუკიდებელი არსებობა, ცნობიერების შინაარსი ყოველთვის ობიექტური სამყაროს ასახვით წარმოიქმნება. მარქსისტულმა ფილოსოფიამ პრაქტიკის საფუძველზე მოხსნა საგნისა და აზრის ყალბი გაორება ადამიანის ცნობიერებაში, მეცნიერულად ახსნა მათი ჭეშმარიტი ერთიანობა და განსხვავება; ამით გამოიყვანა ადამიანის აზროვნება იმ ყალბი მდგომარეობიდან, როცა იგი სუბიექტურში ან ობიექტურში იყო ჩაკეტილი და გარესამყაროსა და აზრს შორის ნამდვილ კავშირს ვერ ამჩნევდა.

ამრიგად, ადამიანთა საზოგადოებრივი პრაქტიკა გამოდის ობიექტისა და სუბიექტის, საგნისა და აზრის, ცოდნისა და მოქმედების ჭეშმარიტი ერთიანობის საფუძვლად. პრაქტიკით ხდება გარესამყაროს საგანი ობიექტად და ადამიანი მის შემმეცნებელ სუბიექტად. თუ გნოსეოლოგიაში არ ჩავურთავთ პრაქტიკის პრინციპს როგორც მთავარ, ძირითად პრინციპს, მაშინ ერთმანეთისაგან გამიჯნულად წარმოგვიდგება ობიექტი და სუბიექტი. შემეცნების პროცესის ახსნაში ეს გამოიწვევს:

1. ან ობიექტის გასუბიექტურებას, როცა სამყაროს ცენტრად გნოსეოლოგიური სუბიექტი გამოდის (სუბიექტური იდეალიზმი);

2. ან სუბიექტის გაობიექტურებას, როცა სამყაროს ცენტრად გამოდის ადამიანური სუბიექტისაგან მოწყვეტილი ობიექტურად არსებული, მისტიკური იდეა (ობიექტური იდეალიზმი);

3. ან სინამდვილის ობიექტური და სუბიექტური მხარეების ერთმანეთთან აბსოლუტურ დაპირისპირებასა და გათიშვას, ისეთ მდგომარეობას, როცა არ არსებობს სამყაროს ერთიანი მატერიალური ან იდეალური ცენტრი (დუალიზმი);

4. ან სუბიექტურის დაყვანას ობიექტურზე, როცა იდეალური მატერიალურშია უხამსად შერწყმული და არ არსებობს სუბსტანციონალურად გარკვეული თვალსაზრისი სამყაროზე (ვულგარული მატერიალიზმი).

შემეცნების თეორიის საფუძველში პრაქტიკის კრიტერიუმის პრინციპის შეტანამ ამხილა ისეთი გნოსეოლოგიური ცალმხრივობანი, რომლებიც იდეალიზმს წარმოშობს. პრაქტიკის მეცნიერული გაგების საფუძველზე მარქსისტულმა ფილოსოფიამ დაასაბუთა სამყაროს მატერიალურობის პრინციპი, აღმოაჩინა და დაასაბუთა ძირითადი გნოსეოლოგიური კანონი: — ობიექტის განმსაზღვრელი როლი სუბიექტის მიმართ და სუბიექტის აქტივობა ობიექტის გარდაქმნისათვის ბრძოლაში.

ასეთია ზოგად ხაზებში პრაქტიკის როლი და მნიშვნელობა. მაგრამ ჩვენ უფრო კონკრეტულად უნდა განვიხილოთ პრაქტიკის არსება, მისი სტრუქტურა, ნიშნები და ამ საფუძველზე ვაჩვენოთ პრაქტიკისა და ჭეშმარიტების განუყრელი ერთიანობა.

რა არის პრაქტიკა?

პრაქტიკის ცნებაში მარქსიზმ-ლენინიზმს ესმის ადამიანთა ურძნობად-მატერიალური ურთიერთობა. ეს არის, ერთი მხრივ, ადამიანთა ურთიერთობა ბუნების მიმართ, ხოლო, მეორე მხივ, ადამიანთა ურთიერთობა ერთმანეთის მიმართ. ბუნების მიმართ ურთიერთობა გამოხატავს საგნებთან ურთიერთობას საწარმოო იარაღების საფუძველზე, ერთმანეთთან ურთიერთობა კი არის წარმოებითი ურთიერთობა, რომელშიც პირველ რიგში შედის ადამიანთა შრომის განაწილება და მისი ორგანიზაცია, საწარმოო საშუალებებსა და მატერიალურ დოვლათზე აღმოცენებული საკუთრების ფორმა და აქედან გამომდინარე წარმოების საშუალებებისა და მატერიალური დოვლათის განაწილების წესი. ადამიანთა ურთიერთობას, გარდა მატერიალური ურთიერთობისა, კიდევ აქვს სულიერი, იდეოლოგიური და სხვა საზოგადოებრივი ურთიერთობის ფორმები, რომლებიც შეიცავენ პრაქტიკის ელემენტებს, მაგრამ მთლიანად პრაქტიკის სფეროს არ მიეკუთვნებიან. მაშასადამე, პრაქტიკა ვიწრო გაგებით არის ადამიანთა შრომითი საწარმოო საქმიანობა თავისი შინაარსითა და სტრუქტურით. ფართო გაგებით კი, პრაქტიკაში შედის ადამიანთა მოღვაწეობა პოლიტიკის, მეცნიერების, ხელოვნებისა და სხვა სფეროებში, რომლებშიც ადამიანთა საგნობრივი მოქმედებაა ჩაქსოვილი.

მაშასადამე, პრაქტიკის ცნებაში იგულისხმება ადამიანთა საგნობრივი მოღვაწეობა, იქნება ეს გამოხატული წარმოების თუ საერთოდ ადამიანთა სხვა ურთიერთობის სფეროში. და როცა ადამიანთა პრაქტიკულ მოღვაწეობაზეა ლაპარაკი, ამ შემთხვევაში ყოველთვის ადამიანთა საგნობრივი ურთიერთობა უნდა გვქონდეს მხედველობაში.

მაგრამ პრაქტიკის არსება თვითონ საგანი კი არ არის, არამედ ადამიანების ურთიერთობა საგნებთან. პრაქტიკა ადამიანთა ცხოვრების ყველა სფეროში მოქმედი საგნობრივი ურთიერთობაა. პრაქტიკა თავისი საერთო სახით ეს არის ადამიანთა ცხოვრება, „საზოგადოებრივი ცხოვრება, — წერს მარქსი,—არსებითად პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი ა“, პრაქტიკა მხოლოდ ადამიანებს აქვთ და არა ცხოველებს. პრაქტიკის მიზანია ბუნების საგნების დამორჩილება და მათი ადამიანების სამსახურში ჩაყენება. პრაქტიკულ საქმიანობაში ჩართულია შეგნება, აზროვნება, რომლის გარეშე ადამიანთა მიზანდასახული მოქმედება, ე. ი. შრომა, შეუძლებელია. მაგრამ ეს არ ცვლის იმ ძირითად პრინ-

ციპს, რომ საზოგადოებრივი ყოფიერება მატერიალურია და იგი ადამიანთა შეგნებისაგან, ადამიანთა ნებისაგან დამოუკიდებლად არსებობს.

ადამიანთა შემეცნებითი მოღვაწეობის წარმოშობა. აზროვნების წარმოშობა, განუყრელად არის დაკავშირებული იმ წინააღმდეგობათა გადაწყვეტასთან, რომელიც უპირველეს ყოვლისა, ადამიანთა მატერიალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების პროცესში ვლინდება. მაშასადამე, ამ შემთხვევაში ადამიანი გამოდის როგორც ცნობიერი, შეგნებული ძალა, რომელიც საგანს უპირისპირდება, „გარეშე ბუნებაზე ზემოქმედებას ახდენს და ცვლის მას, იგი ამავე დროს ცვლის თავის საკუთარ ბუნებასაც. იგი ავითარებს საკუთარ ბუნებაში მთვლემარე სხვადასხვა უნარს და ამ ბუნების ძალთა ლაღ მოძრაობას თავის საკუთარ ნებას უმორჩილებს“[38]. ეს მოქმედება არის შრომის პროცესი, რომლითაც ადამიანი, ცხოველისაგან გასხვავებით, „ახორციელებს თავის შეგნებულ მიზანს, რომელიც, როგორც კანონი, მისი მოქმედების წესსა და ხასიათს განსაზღვრავს და რომელსაც მან თავისი ნებისყოფა უნდა დაუქვემდებაროს“[39].

აღნიშნულიდან გამოდის, რომ შეგრძნება, აზროვნება და საერთოდ ადამიანის ცნობიერება თავისი ბუნებით წმინდა ინდივიდუალური, ცალკე ინდივიდის ცნობიერება კი არ არის, იგი საზოგადოებრივი ხასიათისაა, რადგან პრაქტიკით არის განპირობებული და ამიტომ იგი მრავალი ხილული და უხილავი ძაფით დაკავშირებულია სხვა ადამიანებთან. „ადამიანური არსება, — მიუთითებს მარქსი, — როდია აბსტრაქტი, რომელიც ცალკე ინდივიდში ცხოვრობს. თავის სინამდვილეში იგი საზოგადოებრივი ურთიერთობის ერთობლიობაა“[40].

არც მარქსამდელ მატერიალიზმს და, რასაკვირველია, არც იდეალიზმს არ ესმოდა ეს ჭეშმარიტება. კარლ მარქსი თავის „თეზისებში ფოიერბახის შესახებ“ წერს: „მთავარი ნაკლი მთელი წინანდელი მატერიალიზმისა, ფოიერბახის ჩათვლით, ისაა, რომ იგი საგანს, სინამდვილეს, ცნობიერებას, მხოლოდ ობიექტის ანუ განჭვრეტის ფორმაში იხილავს და არა როგორც ადამიანის გრძნობად მოქმედებას, პრაქტიკას, არა სუბიექტურად. ამიტომ მოხდა, რომ მოქმედ მხარეს, წინააღმდეგ მატერიალიზმისა, იდეალიზმი ანვითარებდა, მაგრამ მხოლოდ აბსტრაქტულად, რადგან იდეალიზმი, რასაკვირველია, ნამდვილ, გრძნობად მოქმედებას, როგორც ასეთს, არც იცნობს. ფოიერბახი აღიარებს გრძნობად, აზროვ-

38 კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 228.

39 იქვე.

40 კ. მარქსი ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 486.

ნებითი ობიექტებისაგან ნამდვილად განსხვავებულ ობიექტს, მაგრამ იგი თვით ადამიანის მოქმედებას არ უცქერის როგორც საგნობრივ მოქმედებას. ამიტომ „ქრისტიანობის არსებაში“ იგი მხოლოდ თეორიულ მოქმედებას იხილავს, როგორც ნამდვილ ადამიანურ მოქმედებას, მაშინ, როდესაც პრაქტიკა მხოლოდ მის ბილწ ურიულ ფორმაშია გაგებული და ფიქსირებული. ამიტომ მას არ ესმის „რევოლუციური“, „პრაქტიკულ-კრიტიკული“ მოქმედების მნიშვნელობა“.

ასეთია მარქსის პირველი თეზისის შინაარსი. ამ თეზისში გამოთქმული აზრი მრავალმხრივ არის ჩვენთვის საინტერესო. ჯერ ერთი, აქ ორი რიგის მოვლენებია ურთიერთგანსხვავებულად წარმოდგენილი. ერთი მხრივ „საგანი“, „სინამდვილე“, „გრძნობიერება“: მეორე მხრივ კი „ადამიანის გრძნობადი მოქმედება“, „პრაქტიკა“, „სუბიექტურობა“. ფოიერბახმა ამ ორი რიგის მოვლენებს შორის ვერ დაინახა ერთიანობა. ისინი ერთმანეთს მოსწყვიტა. ამასთან ფოიერბახისათვის ერთია ადამიანის თეორიულ-მჭვრეტელობითი მხარე და მეორეა პრაქტიკული მოქმედება, რომლის შინაარსი მას არასწორად ესმის.

რა იყო იმის მიზეზი, რომ მარქსამდელმა მატერიალისტებმა ერთანეთისაგან გათიშეს გრძნობიერება და გრძნობადი მოქმედება, საგანი და პრაქტიკა, სინამდვილე და სუბიექტურობა? მაშინ, როდესაც ეს მხარე, მართალია — აბსტრაქტულ ფორმაში, მცდარად, მაგრამ მაინც წინა პლანზე იყო წამოწეული იდეალისტურ ფილოსოფიაში?

მარქსამდელი მატერიალიზმისა, და კერძოდ, ფოიერბახის ფილოსოფიის, ნაკლოვანება აიხსნება პრაქტიკის, როგორც ადამიანის მოქმედი მხარის, შეუფასებლობით. თუ გრძნობად საგნობრივი მოქმედება იდეალიზმს შემმეცნებელი სუბიექტიდან ან საერთოდ აბსოლუტური აზროვნებიდან გამოყავდა, და სწორედ, ამაშია სუბიექტის როლის მისტიფიკაცია, მარქსამდელმა მატერიალიზმმა, მიუხედავად მატერიის პირველადობისა და ცნობიერების მეორადობის პრინციპის თანმიმდევრულად გატარებისა, საგანი, სინამდვილე, გრძნობადობა ვერ დააკავშირა ადამიანის პრაქტიკულ-კრიტიკულ, რევოლუციურ მოქმედებასთან, ადამიანის შემეცნებითი მოღვაწეობა ჩაკეტა და შემოსაზღვრა თეორიულ-მჭვრეტელობითი ფუნქციით, ხოლო საგნებთან ადამიანის ურთიერთობა გაიგო გრძნობადი მოქმედებისაგან, სუბიექტურობისაგან იზოლირებულად. რით აიხსნება ძველი მატერიალიზმის ეს ნაკლოვანება? ეს აიხსნება მისი ისტორიული იდეალიზმით, იმით, რომ გნოსეოლოგიურ-მატერიალისტური პრინციპი გადატანილი და გავრცელებული არ იყო სოციოლოგიური საკითხების შესწავლის პროცესში. ამითვე აიხსნება მჭვრეტელობითი თვალსაზრისიც.

მარქსისტულმა ფილოსოფიამ, როგორც ეს ზემოთ იყო აღნიშნული. ადამიანის მოქმედ მხარეში დაინახა აზრობრივი და საგნობრივი, თეორიული და პრაქტიკული, სუბიექტური და ობიექტური მხარეების ერთიანობის სათავე. ადამიანის გრძნობად-საგნობრივი მოქმედება მარქსისტულმა ფილოსოფიამ, უპირველეს ყოვლისა, გაიგო როგორც ადამიანთა საწარმოო შრომითი საქმიანობა. რომელსაც ემსახურება ცნობიერება, აზროვნება და ამ საფუძველზე წარმოიშობა სხვა ურთიერთობანი. მარქსმა განსაკუთრებული სიცხადით აჩვენა, რომ ადამიანის არსება მის სოციალურობაშია და არა ბუნებრიობაში. სოციალური თავის მხრივ ბუნებრივის გარდაქმნილი სახეა, რომელსაც განსხვავებული, სპეციფიკური ნიშნები ახასიათებს. ეს სპეციფიკა პრაქტიკით, საწარმოო საქმიანობით არის განპირობებული.

რას ნიშნავს საგნის განხილვა ობიექტის ანუ განჭვრეტის ფორმაში? რით განსხვავდება ამისაგან მარქსისტული თვალსაზრისი, რომელიც მოითხოვს საგნის განხილვას ადამიანის გრძნობად-მოქმედებაში, პრაქტიკაში, სუბიექტურად? საგნის განხილვა ობიექტის ანუ განჭვრეტის ფორმაში, როგორც ეს მარქსამდელი მატერიალისტებისათვის იყო დამახასიათებელი, ნიშნავს საგნის განხილვას გრძნობად-მოქმედებისა და სუბიექტის გარეშე, როცა საგანი არ არის გაგებული როგორც გრძნობად-მოქმედების საგანი, როცა ობიექტი არ არის გაგებული როგორც სუბიექტის ობიექტი, ე. ი. საგანი გაგებული არ არის როგორც პრაქტიკით ცნობიერებაში მოცემული გაადამიანებული საგანი.

მარქსისტული ფილოსოფიის თანახმად, საზოგადოებრივი პრაქტიკით, გრძნობად-საგნობრივი მოქმედებით ხდება მჭვრეტელობიდან გადასვლა საქმეზე. უფრო სწორად, პირველადი და განმსაზღვრელი მხარე ადამიანთა ურთიერთობისა პრაქტიკულ-საგნობრივი მოქმედებაა. „ადამიანები, — წერს ენგელსი, — სანამ არგუმენტირებას დაიწყებდნენ, მოქმედებდნენ. „პირველად იყო საქმე", და ადამიანთა საქმიანობამ უკვე გადასჭრა ეს სიბრძნე იმაზე უფრო ადრე, ვიდრე ადამიანური სიბრძნე მას აღმოაჩნდა"[41]. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ პრაქტიკაში ჩართული საგანი ხდება ადამიანური მოქმედების საგანი, ხოლო მოქმედება—საგნობრივი მოქმედება. ამის შესაბამისად: ობიექტი სუბიექტის ობიექტია, ხოლო სუბიექტი ობიექტის სუბიექტი.

მჭვრეტელობითი მატერიალიზმი, რომელიც გრძნობადობას არ იხილავს როგორც პრაქტიკულ ადამიანურ გრძნობად მოქმედებას, არ ცნობს პრაქტიკას როგორც ადამიანთა საწარმოო-კრიტიკულ რევოლუციურ საქმიანობას, ამით იგი ამცირებს სუბიექტის როლს, ადამიანის მოქმედი მხარის უდიდეს მნიშვნელობას და ამიტომ მისთვის გაუგება-

[41] კ. მარქსი. ფ. ენგელსი. რჩეული ნაწ., ტ. II. გვ. 109.

რია შემეცნებისა და მოქმედების ერთიანობა; მაშასადამე, მისთვის გაუგებარია გრძნობად-საგნობრივი მოქმედების არსება და მნიშვნელობა.

ასეთია პრაქტიკის ცნების განსაზღვრება, მისი უდიდესი როლი და მნიშვნელობა შემეცნების პროცესში. მაგრამ პრაქტიკას, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ამავე დროს აქვს მეტად მნიშვნელოვანი ფუნქცია. პრაქტიკა არის ჭეშმარიტების კრიტერიუმი, იგი ისეთი უტყუარი საზომია, რომელიც საშუალებას გვაძლევს, ცოდნაში ერთმანეთისაგან განვასხვაოთ ჭეშმარიტება და შეცდომა, ადეკვატური და არაადეკვატური ასახვა, საგნობრივი და არასაგნობრივი ცოდნა. განვიხილოთ ეს საკითხი.

ცნობილია, რომ როცა ჩვენ რომელიმე ფიზიკური საგანი გვინდა გავზომოთ, საზომ ერთეულად ვიღებთ ისევ მის მსგავს გარკვეული ფიზიკური მასშტაბის სიდიდეს, რომელსაც მივუყენებთ გასაზომ ობიექტს და ამით ვადგენთ მის საერთო სიდიდეს. ასე ხდება სიგრძის, სიგანის, სიმაღლის, სიმძიმის და საგნის სხვა ნიშნების გაზომვა. მაგრამ როგორ უნდა შევამოწმოთ და გავზომოთ ცოდნა პრაქტიკის კრიტერიუმით, როცა თვითონ პრაქტიკა ცოდნის მსგავს ელემენტს არ წარმოადგენს. შემეცნების ფარგლებს გარეთ იმყოფება და აზრის კატეგორიას არ მიეკუთვნება?

იდეალისტურ ფილოსოფიაში ასეთი სიძნელე არ არსებობს, რადგან ცოდნის სისწორის დასადგენად თვით ცოდნის სფეროში, აზროვნების ფარგლებში ხდება მისი კრიტერიუმის გამოძებნა. როგორიცაა: აზრის აზრთან შესაბამისაობა, აზრის ლოგიკური თანმიმდევრობის დაცვა, კოჰერენცობა და სხვა. მაშასადამე, თანამედროვე პოზიტივისტურ ფილოსოფიაში ჭეშმარიტების სუბიექტური კრიტერიუმია ძალაში, ხოლო ობიექტური კრიტერიუმის საკითხი მათ მიაჩნიათ არასწორად დასმულ საკითხად, რამდენადაც, მათი აზრით, ეს იწვევს შემეცნების საზღვრების გადალახვას და მეტაფიზიკური არგუმენტების მოშველიებას ჭეშმარიტების ბუნების ახსნისათვის.

მაგრამ სიძნელეები, რომლებზედაც იდეალისტური ფილოსოფია მიუთითებს ჭეშმარიტების ობიექტური კრიტერიუმის საკითხის ახსნაში, მხოლოდ გარეგნული და მოჩვენებითი ხასიათისაა და მაშინვე ქრება, როგორც კი ჭეშმარიტების პრობლემას მარქსისტულ-ლენინური თეორიის შუქზე განვიხილავთ. ამ თეორიის მთავარი და ძირითადი პრინციპი პრაქტიკის, როგორც ჭეშმარიტების, ობიექტური კრიტერიუმის საკითხის დასაბუთებაში მდგომარეობს. სწორედ პრაქტიკის საფუძველზე ნადგურდება და ქარწყლდება ყოველგვარი იდეალისტური, აგნოსტიკური შეხედულებანი და ამითვე დასტურდება მატერიალისტური დებულებანი სამყაროს შეცნობადობის შესახებ.

მარქსისტული ფილოსოფიის თვალსაზრისით, ჭეშმარიტების კრიტერიუმი ცნობიერების ფარგლებში არ არის მოქცეული. ცოდნის ამსახველი და შემმოწმებელი მიზეზებისა და საზომის ძებნა სუბიექტის ცნობიერების ფარგლებს გარეთ ხდება. ასეთ საზომს წარმოადგენს ადამიანის გრძნობად-საგნობრივი მოქმედება, პრაქტიკა.

რა არის საზოგადოებრივ პრაქტიკაში ისეთი მხარე, შინაარსი, რომლითაც შესაძლებელი ხდება აზროვნების ჭეშმარიტების დადგენა, აზრთან საგნის შესაბამისობის შემოწმება? რა არის ჭეშმარიტებაში ისეთი ნიშანი, ისეთი შინაარსი, რომელიც მატერიალური საგნის ანარეკლს წარმოადგენს?

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ პრაქტიკის ცნებაში იგულისხმება არა ჩვენს გარეთ არსებული მატერიალური სამყაროს საგნები და მოვლენები, არამედ ადამიანის დამოკიდებულება საგნებთან. თავისთავად აღებული საგანი არც ჭეშმარიტებაა, არც მცდარობა და არც პრაქტიკა. იგი ჩვენს გარეთ არსებული მატერიალური საგანია. ჭეშმარიტება მიიღება ადამიანის ცნობიერებაში საგნების ასახვით, ხოლო პრაქტიკა კი ადამიანის საგნებთან დამოკიდებულებით. პირველი არის ცოდნა, მეორე გრძნობად-მატერიალური მოქმედება. მაგრამ როგორც ჭეშმარიტ ცოდნას, ისე პრაქტიკასაც საქმე აქვს საგანთან. ამრიგად, ჭეშმარიტება საგნის ბუნებითაა განსაზღვრული და საგნობრივია, აგრეთვე ადამიანის გრძნობადი მოღვაწეობაც ანუ პრაქტიკაც, რამდენადაც საგანთან ურთიერთობას გამოხატავს, საგნობრივია; აქედან გამოდის, რომ ჭეშმარიტებასა და პრაქტიკას ერთ პუნქტში აქვთ იგივეობრივი, საერთო ნიშანი: საგნობრიობა. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ჭეშმარიტების საგნობრიობა იდეალურია. იგი ცოდნის ნიშანია, ხოლო პრაქტიკის საგნობრიობა მატერიალურ ხასიათს ატარებს, იგი ასახვის საფუძველია.

და რაკი ჭეშმარიტებაში აღმოჩენილია ისეთი ნიშანი, რომელიც ობიექტური საგნიდან და პრაქტიკიდან მოდის, მაშინ პრაქტიკით ნაპოვნია ის ობიექტური კრიტერიუმი, რომლითაც ცოდნა უნდა შემოწმდეს; ცოდნის საგანთან მიმართებით აზრის ჭეშმარიტება ან აზრის მცდარობა უნდა დადგინდეს.

პრაქტიკით შემოაქვს ადამიანს ობიექტური საგანი შემეცნების პროცესში, რითაც სულ უფრო და უფრო ფართოვდება და ღრმავდება ობიექტი. მაშასადამე, პრაქტიკა იმყოფება საგანსა და შემეცნებას შორის როგორც შუამავალი, დამაკავშირებელი და გამაშუალებელი რგოლი. შემეცნების პროცესში სუბიექტად ადამიანი ითვლება, ხოლო ობიექტად გარესამყაროს საგანი. ამ საფუძველზე ადამიანთა პრაქტიკული მოღვაწეობის პროცესში იქმნება ორი რიგის მოვლენები: ობიექტური და სუბიექტური მხარეები. პრაქტიკული ურთიერთობის ობიექტური

მხარეა არა მხოლოდ ადამიანებთან ურთიერთობაში მყოფი შესამეცნებელი ობიექტური საგანი, არამედ ობიექტისა და სუბიექტის ურთიერთობის მატერიალური ელემენტები და ის პროცესები, რომლებიც სუბიექტის ნებას არ ექვემდებარებიან. ამაში შედის როგორც გარესამყაროს საგანთა და კანონთა ზემოქმედება ადამიანზე, ისე თვით ადამიანთა მატერიალური ზემოქმედება საგნებზე. პრაქტიკული ურთიერთობის სუბიექტური მხარეა მატერიალურ ურთიერთობაში ჩართული ცნობიერება და მასთან დაკავშირებული ისეთი პროცესები, რომლებიც ადამიანთა შეგნებულ მიზანდასახულ მოღვაწეობასა და აქტიურ ზემოქმედებას გამოხატავენ ობიექტური სამყაროს გარდაქმნისათვის ბრძოლაში. პრაქტიკული ურთიერთობის ეს ორი მხარე ერთად აღებული, თავიანთ წინააღმდეგობასა და დაპირისპირებულობაში, ადამიანთა ურთიერთობის მოქმედი მხარეა. და სწორედ ამ სფეროში უნდა გამოვლინდეს საგნობრივი ცოდნის ძალა.

პრაქტიკა ადამიანის საგანთან დამაკავშირებელი პროცესია და ამიტომ მხოლოდ იგი გვიჩვენებს იმას, თუ რა შესაბამისობა არსებობს საგანსა და ცოდნას შორის. როცა შემმეცნებელი ადამიანი საგანს ცნობიერებაში გადაიტანს და გადაამუშავებს, როცა საგნიდან აბსტრაქციის გზით ჭეშმარიტ ცოდნას შექმნის, ამის შემდეგ მან კვლავ საგანს უნდა მიმართოს, შეადაროს ცოდნა საგნის ბუნებას, მის თვისებებს, გაიგოს, თუ რამდენად სწორად ასახა მან იდეალურ ფორმაში ობიექტური საგანი, რამდენად ჭეშმარიტია ის ანასახი სურათი, რომელიც აზრის სახით არის გამოხატული ადამიანის თავში. თუ საგანთან დამოკიდებულების დროს აღმოჩნდება, რომ საგნის ბუნება ნამდვილად ხასიათდება ისეთივე ნიშნებით, რომლებიც იდეალური სურათით იყო აღმოჩენილი, მაშინ ცოდნა საგნის ადეკვატური და ჭეშმარიტი ყოფილა; იგი სარწმუნო, სანდო ცოდნაა და მას შეიძლება დავემყაროთ საგნებთან ურთიერთობის პროცესში; და პირიქით, თუ აღმოჩნდება, რომ საგნის ბუნებას არ შეესაბამება იდეალური სურათი, მაშინ ასეთი ასახვა მცდარი ყოფილა; იგი არ არის სარწმუნო, სანდო ცოდნა და მას არ შეიძლება დავემყაროთ საგნებთან ურთიერთობის პროცესში.

ზემოაღნიშნულიდან აშკარაა, რომ თუ საგანთან არ მივალთ და არ შევადარებთ ჩვენს აზრებში გამოხატულ სურათს თვით საგნის შინაარსს, მის თვისებებს, სხვაგვარად როგორ გავიგებთ აზრის სისწორეს, მის ნამდვილობას? თუ საგნის შინაარსს მოვწყდებით და აზროვნების ფარგლებში ჩავიკეტებით, მაშინ როგორც გავიგებთ იმას, რომ ჩვენს თავში წარმოშობილი აზრები ჭეშმარიტია თუ მცდარია, საგნის რეალური სურათია თუ სუბიექტის ნებით არის იგი შექმნილი?

ეს საკითხი ადამიანის აზრების საგანთან ურთიერთობაში, ე. ი. პრაქტიკაში მტკიცდება. კ. მარქსი ამის თაობაზე წერს: „საკითხი—ახასიათებს თუ არა ადამიანის აზროვნებას საგნობრივი ჭეშმარიტება. თეორიის საკითხს კი არ წარმოადგენს, არამედ პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ს. ადამიანმა პრაქტიკაში უნდა დაამტკიცოს თავისი აზროვნების ჭეშმარიტება, ე. ი. ნამდვილობა და ძალა, მისი ამქვეყნიურობა. კამათი პრაქტიკიდან გამოთიშული აზროვნების ნამდვილობისა და არანამდვილობის შესახებ წმინდა სქოლასტიკური საკითხია“[42].

ფ. ენგელსი აკონკრეტებს და აზუსტებს პრაქტიკის გნოსეოლოგიურ როლს და მის უდიდეს მნიშვნელობას ჩვენი შეგრძნების, წარმოდგენებისა და აზრების შემოწმებისა და დადასტურების საქმეში. ამ შემთხვევაში ორ გარემოებას ექცევა ყურადღება: ერთი—საგანთან ცოდნის შედარებას, საგნის ობიექტური თვისებებისა და აღქმის შინაარსის ადეკვატურობის საკითხის გამორკვევას საგანთან უშუალო ზემოქმედების პროცესში; მეორე, იმ შედეგს, რომელიც ცოდნას ჩვენთვის მოაქვს საგანთან მიმართების დროს ადამიანთა მოთხოვნილებებისა და ინტერესების დაკმაყოფილების თვალსაზრისით. აქედან მთავარი და განმსაზღვრელია პირველი, ე. ი. საგანთან ცოდნის შესაბამისობის გამორკვევა. ამაზეა დამოკიდებული ჭეშმარიტების ან მცდარობის ბუნების ახსნა. რაც შეეხება მეორე მხარეს — თუ რა სამსახურს უწევს ადამიანს ასახვისა და მოქმედების დროს მიღწეული შედეგი, ეს ადამიანთა ინტერესებთან არის დაკავშირებული. ჭეშმარიტი სურათი სინამდვილისა ადამიანთა ინტერესებსა და მოთხოვნებს ყოველთვის ერთნაირად არ უპასუხებს, მაგრამ, როგორც წესი, ჭეშმარიტი ცოდნა ადამიანთა პრაქტიკული წარმატების საწინდარია. „იმ მომენტში,—წერს ენგელსი, — როდესაც ჩვენ სასარგებლოდ ვაქცევთ ან ნივთებს, ჩვენ მიერ მათში აღქმული თვისებების თანახმად, — შეუცდომელ გამოცდას ვუკეთებთ ჩვენ გრძნობად აღქმათა სისწორეს თუ უსწორობას..... თუ ჩვენ ვხედავთ, რომ ნივთი შეესაბამება ჩვენს წარმოდგენას მასზე, რომ იგი ასრულებს იმას, რისთვისაც ჩვენ ის გამოვიყენეთ, — მაშინ ეს იქნება იმის დადებითი დამამტკიცებელი საბუთი, რომ ამ ფარგლებში ჩვენი აღქმანი ნივთისა და მისი თვისებებისა შეესაბამება ჩვენს გარეშე არსებულ სიხამდვილეს. თუ კი, პირიქით, ვხედავთ, რომ ჩვენ შევცდით.... ვხედავთ, რომ ჩვენი ცდის საფუძვლად დადებული აღქმა ან თვითონაა უსრული და ზერელე, ან იგი სხვა აღქმათა შედეგებთან იმგვარი წესითაა გადაჯაჭვული, რომელიც არ მართლდება საქმის მდგომარეობით, ამას ჩვენ მცდარ დასკვნას ვუწოდებთ“[43]. ჭეშმარიტება ყოველთვის პრაქტიკული

---

[42] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული ნაწ., ტ. II. გვ. 484.
[43] იქვე. გვ. 109.

მოღვაწეობის დადებითი შედეგების სამსახურში დგას, მცღარობა კი პირიქით.

შემეცნება ადამიანის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ემსახურება. ადამიანს საგანთა შემეცნება იმისათვის სჭირდება, რომ ისინი თავისი ინტერესების სამსახურში ჩააყენოს. პრაქტიკაში ადამიანი საგანთან მიდის, საგანს სახეს უცვლის, გარდაქმნილი სახით იყენებს მას. ამ შემთხვევაში ობიექტი და სუბიექტი, საგანი და აზრი, ცოდნა და მოქმედება პრაქტიკის საფუძველზე ერთმანეთში იჭრებიან, ერთმანეთში გადადიან. აზრი, თეორია საგნობრივდება, პრაქტიკად იქცევა, ხოლო საგანი გაადამიანებული, პრაქტიკა მეცნიერულად გააზრებული ხდება. საგანთან აზრის შედარების დროს ხერხდება როგორც აზრის მცდარობის გამომჟღავნება, შეცდომის გამოსწორება, ისე აზროვნების ჭეშმარიტების დადასტურება. როცა ჭეშმარიტი აზრის საფუძველზე პრაქტიკაში წარმატებას ვაღწევთ, ამით სუბიექტური საგანი ობიექტურ საგნად ხდება, თეორია პრაქტიკად იქცევა. მაშასადამე, თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობა, მიუხედავად იმისა, ადამიანები მას ხელს უშლიან თუ არა, მაინც საერთო სოციოლოგიური კანონის ძალით იკაფავს თავის გზას. ადრე თუ გვიან ესა თუ ის მეცნიერულ-თეორიული შეხედულება საზოგადოებრივ პრაქტიკაში დასაყრდენს პოულობს და, როცა მისი განხორციელებისათვის პირობები მომწიფდება, ის რეალურ სინამდვილედ გადაიქცევა. „თეორია—მიუთითებს მარქსი,—რომელიმე ხალხში ყოველთვის მხოლოდ იმდენად ხორციელდება, რამდენადაც თვითონ ის მის მოთხოვნილებათა განხორციელება არის“[44].

თეორია, აზრი, მეცნიერული პროექტი რომ განხორციელდეს, ამისათვის თვით ობიექტური სინამდვილის, პრაქტიკის მომზადება არის საჭირო. ჭეშმარიტი თეორია, აზრი, მეცნიერული პროექტი ყოველ პირობაში როდი შეიძლება განხორციელდეს. მაგალითად, ადამიანს არ შეეძლო გაფრენილიყო მთვარეზე, თუ ამ მიზნის განხორციელებისათვის სათანადო პირობები ჯერ კიდევ არ იქნებოდა პრაქტიკულად მომზადებული. მაშასადამე, მარტო მეცნიერული მოთხოვნილებანი საკმარისი არ არის, თუ მას თან არ ერთვის უშუალო პრაქტიკული მოთხოვნილებანი და ამ უკანასკნელთა განხორციელების რეალური შესაძლებლობა. ამასთან დაკავშირებით მარქსი წერს: „არ არის საკმარისი, რომ აზრი განამდვილებისაკენ ისწრაფვის, თვითონ სინამდვილე თავად უნდა ისწრაფვოდეს აზრისაკენ“[45].

---

44 კ. მ ა რ ქ ს ი, ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკისათვის. შესავალი, სახელგამი, 1946, გვ. 17.

45 ი ქ ვ ე.

ამრიგად, აქ ჩვენს წინაშე საკითხი დგება პრაქტიკის, როგორც ჭეშმარიტების კრიტერიუმის, აბსოლუტური და შეფარდებითი ხასიათის შესახებ, პრაქტიკის კრიტერიუმის კონკრეტულობის შესახებ.

რას ნიშნავს პრაქტიკის კრიტერიუმის აბსოლუტურობა?

პრაქტიკისა და მისი, როგორც ჭეშმარიტების კრიტერიუმის აბსოლუტურობა იმას ნიშნავს, რომ თუ არსებობს შემეცნება, მაშინ პრაქტიკა ყოველ პირობაში გამოდის შემეცნების განმსაზღვრელ საფუძვლად და ჭეშმარიტების კრიტერიუმად. პრაქტიკის გარეშე არ შეიძლება ავხსნათ ცნობიერების ბუნება, უამისოდ არ შეიძლება ცოდნის ხასიათის შემოწმება, იმის გაგება, თუ რამდენად ადეკვატურად ან არაადეკვატურად ასახავს აზროვნება საგანს. ვინც ცნობს პრაქტიკის ობიექტურობას, მან პრაქტიკის აბსოლუტური ბუნებაც უნდა ცნოს და ამავე დროს აღიაროს ის, რომ პრაქტიკას, როგორც შემეცნების პროცესის განმსაზღვრელსა და ჭეშმარიტების კრიტერიუმს, აბსოლუტური ხასიათი აქვს მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული პირობებით იგი ყოველთვის შეზღუდულია. აქედან გამოდის დასკვნა: დებულება, რომ ცოდნა პრაქტიკით უნდა შემოწმდეს, უპირობო დებულებას წარმოადგენს. თვითონ ამ დებულებას პრაქტიკით შემოწმება არ სჭირდება, რადგან ამით გამოთქმულია არა წმინდა თეორიული აზრი, რომელსაც კვლავ შემოწმება სჭირდება, არამედ მოცემულია იმ ფაქტის აზრობრივი ფიქსირება, რომ ადამიანის საგნობრივი მოქმედება ცოდნის შემოწმებელი აქტია. ამაში მდგომარეობს პრაქტიკის, როგორც ჭეშმარიტების ობიექტური კრიტერიუმის, აბსოლუტურობა.

მაგრამ პრაქტიკის, როგორც ჭეშმარიტების კრიტერიუმის აბსოლუტურობა უნდა განვიხილოთ შეფარდობითობასთან კავშირში, რადგან თუ მას ამ უკანასკნელისაგან მოვწყვეტთ, მაშინ ცალმხრივობას მივიღებთ; ამ შემთხვევაში პრაქტიკის კრიტერიუმი აბსოლუტად იქცევა. აქ მხედველობაში უნდა გვქონდეს ვ. ი. ლენინის შემდეგი მითითება: „პრაქტიკის კრიტერიუმს არსებითად არასდროს არ ძალუძს ს ა ვ ს ე ბ ი თ დაადასტუროს ან უარყოს ადამიანის რომელიმე წარმოდგენა. ეს კრიტერიუმიც იმდენად „გამოურკვეველია“, რომ ადამიანის ცოდნასრნებას არ აძლევს „აბსოლუტად“ იქცეს, და ამავე დროს იმდენად გარკვეულიცაა, რომ ულმობელი ბრძოლა აწარმოოს იდეალიზმისა და აგნოსტიციზმის ყველა ნაირსახეობასთან“[46].

მაშასადამე, პრაქტიკის კრიტერიუმის შეფარდებითობა ადამიანის ცოდნას საზღვარს უდებს და უფლებას არ აძლევს აბსოლუტად, დოგმათა კრებულად იქცეს.

---

[46] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 14, გვ. 172.

რას ნიშნავს პრაქტიკის კრიტერიუმის შეფარდებითობა? პრაქტი. თავისი შინაარსით ამა თუ იმ ეპოქის გარკვეული კონკრეტულ-ისტ რიული პირობებით განისაზღვრება და ამ საფუძველზე საგანთან ად: მიანის დამოუკიდებლობა შეზღუდულ, შემოფარგლულ ხასიათს ატარებს. პრაქტიკის შეფარდებითობა არ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ადამიანმა სამყარო ერთბაშად და ამომწურავად ასახოს, ან კიდევ ცოდნა, თეორია ჭეშმარიტია თუ არ არის იგი ჭეშმარიტი. ეს მან ყოველთვის გასაგები და ცხადი გახადოს. როგორც ზემოთ ითქვა, თვითონ პრაქტიკით დასტურდება ის გარემოება, რომ თუ ჭეშმარიტი აზრი ამა თუ იმ მომენტში არ განხორციელდა, ამის მიზეზი თვით პრაქტიკის მოუმწიფებლობაა. მაშასადამე, პრაქტიკის შეზღუდულობა ცოდნის შეზღუდულობას წარმოშობს. ამავე დროს გრძნობად-საგნობრივი მოქმედება, პრაქტიკა შინაგან წინააღმდეგობას შეიცავს, რის შედეგად იგი თანდათან ფართოვდება და არასოდეს არ არის მუდმივად ერთ ჩარჩოში მოქცეული. მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების კვალობაზე პრაქტიკა სულ უფრო და უფრო ღრმავდება; ძველ პრაქტიკას ახალი პრაქტიკა ცვლის, ახალი პრაქტიკა ახალ საგანს ჰქმნის, ცოდნის წარმოშობისა და შემოწმების ახალ შესაძლებლობებს ბადებს. ამის შესაბამისად იცვლება ჭეშმარიტებაც. მაგალითად, კლასიკური მექანიკის ძირითადი დებულებები და კანონები მთელი ორასი წლის განმავლობაში ურყევ ჭეშმარიტებად იყო მიჩნეული. ძველი დროიდან ატომი მატერიალური სამყაროს უმცირეს განუყოფელ ნაწილაკად ითვლებოდა, მაგრამ თანამედროვე პრაქტიკის განვითარებამ და ამის შესაბამისად ქვანტური ფიზიკის ახალმა მეცნიერულმა წარმოდგენებმა დაარღვიეს ძველი შეხედულებანი ატომსა და მატერიის მოძრაობაზე. პრაქტიკამ, მრეწველობამ, ტექნიკამ ძირეული ცვლილებები შეიტანა როგორც მაკროსამყაროს, ისე მიკროსამყაროს შემეცნებაში.

პრაქტიკამ დაადასტურა, რომ ჭეშმარიტება არის ცოდნის პროცესი, რომელიც განუწყვეტლივ მიემართება დაბალი საფეხურიდან მაღალი საფეხურისაკენ.

ამრიგად, პრაქტიკა როგორც ჭეშმარიტების კრიტერიუმი, წინააღმდეგობრივი ბუნებით ხასიათდება. იგი ერთდროულად აბსოლუტურიც არის და შეფარდებითიც. სწორედ ამაში მდგომარეობს ძისი კონკრეტულობა. პრაქტიკის წინააღმდეგობრიობას საფუძვლად უდევს ბუნებასა და საზოგადოებას შორის, სუბიექტსა და ობიექტს შორის წინააღმდეგობანი.

როგორ უნდა გვესმოდეს პრაქტიკის როგორც ჭეშმარიტების კრიტერიუმის კონკრეტულობა? ამ საკითხის ახსნისათვის გასაღებს თვითონ კონკრეტულობის ცნება იძლევა. კონკრეტულობა მრავალ-

გ[illegible]ზღვრულობათა ერთიანობას წარმოადგენს და როცა ამ ცნებას [illegible]-ცყენებთ პრაქტიკას, გასაგები ხდება, რომ პრაქტიკა არის არა ცალ-[illegible]ული ფაქტი, ხდომილება, რომელიც, რა თქმა უნდა, აგრეთვე გულ-[illegible]ბს ადამიანთა საგნობრივ მოქმედებას, არამედ იგი არის ისეთი სი-[illegible]ვილე, ისეთი საგნობრივი მოქმედება, რომელიც ადამიანთა საზო-გადოებრივ ურთიერთობათა განვითარების ძირითად ტენდენციას ატა-რებს თავის თავში და ისტორიული აუცილებლობითა და კანონზომიე-რებით ხასიათდება.

მაშასადამე, ცალკეული ფაქტი, მოვლენა, თუ ის კანონზომიერე-ბიდან არ გამოდის, შემთხვევითია და არ გამოდგება ჭეშმარიტების სა-ზომად. ამრიგად, პრაქტიკის, როგორც ჭეშმარიტების კრიტერიუმის, კონკრეტულობა წარმოადგენს ცალკეულის, ზოგადისა და განსაკუთრე-ბულის ერთიანობას. პრაქტიკა ხასიათდება არა როგორც მხოლოდ უშუალო, ცალკეული სინამდვილის ნიშნით, არამედ იგი ამასთან ერთად ზოგადობისა და საყოველთაობის მატარებელია. „პრაქტიკა. — მიუთი-თებს ლენინი, — უფრო მაღალია (თეორიულ) შემეცნებაზე, ვინაიდან მას აქვს არა მხოლოდ ღირსება ზოგადობისა, არამედ უშუალო სინა-მდვილისაც“[47]. უშუალობა როგორც ცალკეულის ნიშანი, ზოგადობა და განსაკუთრებულობა — აი რა არის პრაქტიკის, როგორც ჭეშმარიტების ობიექტური კრიტერიუმის ძირითადი ნიშნები, რომლებიც საზოგადო-ებრივ სინამდვილეს გვიხატავენ, როგორც მოძრაობის პროცესში მყოფს, როგორც ადამიანთა უშუალო ცოცხალ რევოლუციურ-კრი-ტიკულ მოღვაწეობას, მიმართულს სამყაროს გარდაქმნისაკენ.

პრაქტიკის კრიტერიუმი არ არსებობს აბსტრაქტულად. იგი ყო-ველთვის კონკრეტულ ხასიათს ატარებს და აქედან გამომდინარეობს ჭეშმარიტების კონკრეტულობაც. მაშასადამე, პრაქტიკის კონკრეტუ-ლობა განსაზღვრავს როგორც შემეცნების კონკრეტულობას, ისე ჭეშმა-რიტების კონკრეტულობასაც. შემეცნების განვითარებას საუძვლად უდევს ობიექტური სამყაროსა და პრაქტიკის ცვალებადობა. საზოგადო-ებრივი პრაქტიკა დროით, ადგილითა და პირობებით არის განსაზღვრუ-ლი. იგი კონკრეტულ-ისტორიული პროცესია და ადამიანთა ნებისაგან დამოუკიდებელი კანონზომიერებით ხასიათდება. პრაქტიკის კრიტე-რიუმიც ამ კანონზომიერებით განისაზღვრება. არ არსებობს საერთო კონკრეტული დროისა და პირობებისაგან იზოლირებული საზომი ცოდ-ნისა. ჭეშმარიტება და მისი კრიტერიუმი კონკრეტულ-ისტორიულია.

როგორ გავიგოთ ვ. ი. ლენინის დებულება: „ცოცხალი განჭვრე-ტიდან აბსტრაქტულ აზროვნებაზე და მ ი ს გ ა ნ პ რ ა ქ ტ ი კ ა ზ ე —

---

47 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 38, გვ. 212.

ასეთია ჭეშმარიტების შემეცნების, ობიექტური რეალობის შემეცნების დიალექტიკური გზა“[48]. გამომდინარეობს თუ არა ამ დებულებიდან ის დასკვნა, რომ პრაქტიკა არის შემეცნების საფეხური? რა თქმა უნდა. არა! პრაქტიკა თუ შემეცნების ერთ-ერთი საფეხურია, მაშინ როგორ შეიძლება იგი გამოდგეს ჭეშმარიტების კრიტერიუმად? ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ჭეშმარიტებას თავისი კრიტერიუმი, ე. ი. ცოდნის შემმოწმებელი, შემეცნების ფარგლებს გარეთ პრაქტიკაში აქვს და თუ ამას, ე. ი. პრაქტიკას, შემეცნების შიგნით, სუბიექტის ცნობიერებაში შევიტანთ, ამით იგი დაკარგავს თავის შემმოწმებელ ფუნქციას. მართლაც. ეს რომ ასე იყოს, მაშინ საჭირო გახდებოდა ჭეშმარიტების კრიტერიუმის ძებნა პრაქტიკის ფარგლებს გარეთ, რაც უაზრობამდე, უსასრულო რეგრესიამდე მიგვიყვანდა.

ამრიგად, პრაქტიკა არ არის შემეცნების საფეხური. მართალია, პრაქტიკაში არის სუბიექტური მხარე, ამის გარეშე ადამიანთა შეგნებული პრაქტიკული მოღვაწეობა შეუძლებელია, მაგრამ ეს ელემენტი პრაქტიკულ მოქმედებას არ ხდის შემეცნების პროცესის საფეხურად. შემეცნება და პრაქტიკა ერთმანეთისაგან განუყოფელია, ამასთან ისინი თვისობრივად განსხვავებულ მოვლენებს წარმოადგენენ.

პრაქტიკა, როგორც ადამიანთა გრძნობად-საგნობრივი მოქმედება, საგანს ცნობიერებასთან აკავშირებს, ხოლო ცნობიერებას საგანთან. შემეცნება საგნის სუბიექტზე მოქმედებიდან იწყება. მაშასადამე, ეს არის შემეცნების დასაყრდენი. პრაქტიკა შემეცნების ამოსავალი წერტილია, რადგან პრაქტიკის საშუალებით ხდება საგნის ჩართვა შემეცნების ფარგლებში. ადამიანს პრაქტიკა უღებს კარებს ობიექტურ სინამდვილესთან, საგანთან მისასვლელად. ხოლო იმის შემდეგ, როცა ცნობიერება ობიექტური სინამდვილის შენობაში შევიდა და მისი ასახვა დაიწყო, პრაქტიკა კი არ ტოვებს ამ პროცესს უყურადღებოდ და საგანი კი არ ქრება მოვლენათა და შთაბეჭდილებათა ზედაპირზე, როგორც წესი. გონება თვითნებურად კი არ ჰქმნის იდეალურს, არამედ ისინი: საგანი, სუბიექტი და პრაქტიკა ერთად არიან, განუწყვეტელი დიალექტიკური ურთიერთზემოქმედების პროცესში იმყოფებიან. ამ საფუძველზე იქმნება სინამდვილის იდეალური სურათი. შემეცნებელი სუბიექტი პრაქტიკით აპირობებს და ამოწმებს ცოცხალი განჭვრეტის პროცესში საგნის შემეცნებას, შემდეგ შემეცნების მეორე საფეხურზე, აზროვნების პროცესში საგნის იდეალური შემუშავების დროს აბსტრაჰირება. განყენება ხდება ცოცხალი განჭვრეტიდან და პრაქტიკული მოქმედებიდან. ამ დროს აზროვნება ემიჯნება როგორც საგანს, ისე პრაქ-

---

[48] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 38, გვ. 167—168.

ტიკასაც, თითქოს შორდება მათ; მაგრამ ეს არის სინამდვილიდან ისეთი დაშორება, რომლითაც იგი საგნის სიღრმეში, მის არსებაში იჭრება და უფრო სრულად მოიცავს მას. როცა შემეცნების პროცესის ასეთ დახასიათებას ვახდენთ, არ უნდა ვიფიქროთ, რომ ფაქტიური მდგომარეობის დროს, რეალურად მართლაც ასე დანაწევრებულია შემეცნება. რომ თითქოს აზროვნება არ იყოს ჩართული როგორც ცოცხალ განჭვრეტაში, ისე პრაქტიკულ მოქმედებაშიც. ადამიანის გრძნობადი მოქმედება ყოველთვის აზროვნებით არის განპირობებული, პრაქტიკა შეუძლებელია ცნობიერების ელემენტის გარეშე.

შემეცნება და პრაქტიკა, რა თქმა უნდა, ყოველთვის ერთმანეთთან განუყოფელ კავშირში იმყოფებიან. პრაქტიკა საჭიროა, ერთ მხრივ, როგორც შემეცნების წყარო, ამოსავალი, მეორე მხრივ, კონტროლის გამწევი საშუალება, როგორც საზომი იმისა, თუ რამდენად ადეკვატურად ასახა აზროვნებამ საგანი იმ მომენტში, როცა იგი ცოცხალი განჭვრეტისაგან აბსტრაჰირებული იყო. აზროვნება, მართლაც, საშიშროების წინაშე იდგა აბსტრაჰირების, ცნების შემუშავების პროცესში. თუ პრაქტიკამ არ შეამოწმა აზროვნების ნამუშევარი და არ შეადარა აზრი საგნის ბუნებას, ადვილი შესაძლებელია აზროვნება ცალმხრივად განვითარდეს, იგი ასცდეს ჭეშმარიტების დიალექტიკურ გზას და ჩიხში მოექცეს. აი, რატომ არის საჭირო აბსტრაქტული აზროვნებიდან კვლავ პრაქტიკისაკენ დაბრუნება და პრაქტიკის საფუძველზე შემეცნების შედეგების შემოწმება.

ამრიგად, პრაქტიკას, ადამიანის მოქმედებას, როგორც ადამიანთან საგნის დამაკავშირებელსა და ჭეშმარიტების კრიტერიუმს, უდიდესი გნოსეოლოგიური ფუნქცია აქვს დაკისრებული. პრაქტიკით არა მხოლოდ ცოდნა მოწმდება, არამედ საგანი ადამიანთა ინტერესების დაკმაყოფილების სამსახურში დგება. ამიტომ „ადამიანის მთელი პრაქტიკა, — წერს ლენინი, — უნდა შევიდეს საგნის სრულ „განსაზღვრაში", როგორც ჭეშმარიტების კრიტერიუმიც და როგორც პრაქტიკული განმსაზღვრელიც საგნის კავშირისა იმასთან, რაც ადამიანს სჭირდება"[49].

აქედან ცხადია, რომ პრაქტიკის კრიტერიუმის პრინციპს უდიდესი უპირატესობა აქვს ჭეშმარიტების იდეალისტურ კრიტერიუმთან შედარებით. ეს უპირატესობა ემყარება პრაქტიკის შემდეგ ძირითად ნიშნებს:

1. პრაქტიკა, როგორც ადამიანთა მოღვაწეობის მატერიალური პროცესი და მოქმედება თეორიული შემეცნების ფარგლებს გარეთ იმყოფება, ეს გარემოება ათავისუფლებს პრაქტიკის კრიტერიუმს შეზღუდულობისაგან;

---

[49] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 32, გვ. 102—103.

2. პრაქტიკა გრძნობად-საგნობრივი მოქმედებაა, რომელიც განაპირობებს აზროვნების ჭეშმარიტების საგნობრიობას და ადამიანის აზრს საგნის ბუნებას უქვემდებარებს;

3. პრაქტიკა არის უშუალო და საყოველთაო, ამიტომ იგი თეორიულ შემეცნებაზე მაღლა დგას.

პრაქტიკის აღნიშნული ნიშნებიდან ჩანს, რომ ჩვენ ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ ორი რამ: ერთი, პრაქტიკა, როგორც ობიექტური საგნობრივი მოქმედება, როგორც ადამიანურ-საგნობრივი სინამდვილე; და მეორე, პრაქტიკის კრიტერიუმის პრინციპი, რომელიც მარქსისტულმა ფილოსოფიამ შეიმუშავა, როგორც გნოსეოლოგიური თვალსაზრისის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი. ამ შემთხვევაში პირველი მეორის საფუძველია, მაგრამ აქედან მთავარია არა პირველი, იმის აღიარება, რომ პრაქტიკა არის ადამიანთა ცხოვრება, რეალური სინამდვილე, რომელიც გავლენას ახდენს შემეცნებაზე; ამას ასე თუ ისე ზოგიერთი მარქსამდელი მატერიალისტიც ცნობდა. პრაქტიკა კი არ შეუტანია მარქსსა და ენგელსს შემეცნების პროცესში, რადგან პრაქტიკა ფაქტიურად ემპირიულად ისედაც ყოველთვის იყო და არის შემეცნების საფუძველი, არამედ მთავარია მეორე, — პრაქტიკის, როგორც ჭეშმარიტების კრიტერიუმის თვალსაზრისის შემუშავება, რომელიც მარქსისტულმა ფილოსოფიამ შემეცნების თეორიის საფუძველში შეიტანა და მეცნიერულად დაასაბუთა როგორც პრინციპული თვალსაზრისი. ამრიგად, პრაქტიკის კრიტერიუმის პრინციპი, რომელიც მარქსისტულმა ფილოსოფიამ გნოსეოლოგიაში შემოიტანა, თვითონ პრაქტიკა კი არ არის, არამედ იგი არის შემეცნების პროცესში პრაქტიკის როლისა და მნიშვნელობის ფილოსოფიური დასაბუთება, ეს არის მეცნიერული, ფილოსოფიური არგუმენტი, რომელსაც შემეცნების მატერიალისტური თეორია ახალ მაღალ საფეხურზე აჰყავს და რომლის საფუძველზე ბათილდება და იმსხვრევა იდეალიზმის ყალბი გნოსეოლოგიური პრინციპები.

ასეთია პრაქტიკის კრიტერიუმის როლი და მნიშვნელობა შემეცნების მარქსისტულ თეორიაში. ამიტომაც მოითხოვდა ლენინი, რომ „ცხოვრებისა და პრაქტიკის თვალსაზრისი შემეცნების თეორიის ძირითად და უპირველეს თვალსაზრისად უნდა იქცეს“[50].

დასასრულს განმარტებას მოითხოვს ერთი საკითხი: რა მნიშვნელობა აქვს პრაქტიკულ შემოწმებას შემეცნებისათვის, ცოდნისათვის. შეიძლება თუ არა ვიფიქროთ, რომ ცოდნა ჭეშმარიტია მახამდეც კი, სანამ იგი პრაქტიკით დადასტურდებოდეს?

---

[50] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 14. გვ. 172.

აქ საჭიროა კიდევ გავიხსენოთ ის გარემოება, რომ პრაქტიკის ფუნქცია მხოლოდ ცოდნის შემმოწმებლის როლით არ ამოიწურება. ჩვენ აღვნიშნეთ ისიც, თუ რა მნიშვნელობა აქვს პრაქტიკას, როგორც შემეცნების პროცესის განმსაზღვრელ ძალას. მაშასადამე, საგნის თვისებებისა და მისი არსების შემეცნება მიმდინარეობს აღქმის, წარმოდგენებისა და აზროვნების პროცესში პრაქტიკის საფუძველზე. ამიტომ საგნის შესახებ გარკვეული ჭეშმარიტი სურათის შემუშავება დამოკიდებულია არა იმაზე, შემოწმდება პრაქტიკით თუ არ შემოწმდება ამ სურათის საგანთან ადეკვატურობა, არამედ იგი დამოკიდებულია თვით საგნის სწორ ასახვაზე, საგნის ბუნებასთან ცოდნის შესაბამისობაზე: თუ ეს ასეა, მაშინ გამოდის, რომ აზრისა და საგნის შესაბამისობა ფაქტიურად უფრო ადრეა მოცემული მანამდე, სანამ საბოლოოდ პრაქტიკა დაადასტურებდეს აზროვნების ჭეშმარიტებას. მაშასადამე, რაკი პრაქტიკა როგორც მოქმედება თან დაყვება შემეცნებას და შემეცნება საგნისა და პრაქტიკისაგან იზოლირებულად არასოდეს არ არის, ამ პირობით ჭეშმარიტი ცოდნა მის პრაქტიკულ შემოწმებამდეც შეიძლება შემუშავებულად ჩავთვალოთ. მაგალითად, მენდელეევის პერიოდული სისტემა, ყველა თავისი გაანგარიშებით, ჭეშმარიტებად იყო მიჩნეული დიდი ხნით ადრე მანამდე, სანამ მას ქმიური მეცნიერების განვითარების პრაქტიკა, მრეწველობა და ექსპერიმენტი სავსებით დაადასტურებდნენ; მარქსის მეცნიერული სოციალიზმის თეორია ჭეშმარიტებას წარმოადგენდა მანამდე, სანამ მის სისწორეს მუშათა რევოლუციური მოძრაობისა და სოციალიზმის მშენებლობის პრაქტიკა დაადასტურებდა.

გარდა ამისა, აღსანიშნავია ისიც, რომ მეცნიერული დებულების სისწორე გზადაგზა მოწმდება შემეცნების პროცესში თვითონ შემეცნების პროცესის დამთავრებამდე და იგი უფარდდება და შესაბამისობაში მოდის არა მხოლოდ ასასახავი საგნის ბუნებასთან, არამედ შესაბამისობაშია იმ აქსიომატურ და ჭეშმარიტ დებულებებთანაც, რომელთა სიცხადე ადრე იყო დამტკიცებული პრაქტიკითა და მეცნიერებით. აქ უნდა გავითვალისწინოთ აგრეთვე კიდევ ერთი თავისებურებაც: ზოგჯერ მეცნიერული დებულება ან ვარაუდი, რომელიც პრაქტიკული დასკვნებით ანალოგიებისა და მეცნიერული აბსტრაქციების საფუძველზე იქმნება, არ შეიძლება ექსპერიმენტებითა და ცდით შემოწმდეს. იმ მოტივით, რომ მათი განმეორება შეუძლებელია, მაგრამ სისწორე და ჭეშმარიტება ამ თეორიებისა ეჭვს არ იწვევს, რადგან ასეთი ცოდნა თვით ფაქტიური მდგომარეობის შესწავლიდან გამოდის. ამის მაგალითი ბევრი შეიძლება მოვიყვანოთ ასტრონომიიდან და გეოლოგიიდან მზის სისტემის შესახებ, დედამიწისა და მთვარის აღნაგობისა და წარმოშობის

შესახებ, ბიოლოგიიდან სიცოცხლისა და ადამიანის წარმოშობის შესახებ და სხვა. თუმცა ამ უკანასკნელ დროს კოსმოსური სამყაროს შესწავლაში დაგროვილმა ახალმა მიღწევებმა პრაქტიკულადაც დაადასტურეს, რომ ბევრი ჩვენი ვარაუდი და მეცნიერული გაახგარიშებანი სავსებით ჭეშმარიტი ყოფილა.

მაშ როგორია ჭეშმარიტების წარმოშობის განმსაზღვრელი მატერიალური საფუძველი? ჭეშმარიტების წარმოშობის მატერიალური საფუძველია შესამეცნებელი საგნის ბუნება, რომელიც შემეცნების პროცესში ცოდნის ადეკვატურობას განსაზღვრავს, ხოლო აუცილებელი პირობა ჭეშმარიტების შემუშავებისა და მის განხორციელებისათვის არის სუბიექტის შემმეცნებელი მექანიზმი და საგანთან ადამიანის პრაქტიკული მოქმედება, რომლითაც აზროვნებაზე კონტროლი მყარდება საგნის შემეცნების პროცესში. და რაკი ეს ასეა, ამით ერთხელ კიდევ ცხადი ხდება ის გარემოება, რომ ჭეშმარიტება შემეცნების პროცესში გამოდის არა მხოლოდ ბოლოს, იმ მომენტში, როცა შემეცნება გარკვეულ კონკრეტულ შემთხვევაში მთავრდება, არამედ თავიდანვე საგნის შემეცნების მთელ პროცესში მის ყველა ეტაპზე. ეს ფაქტი აგრეთვე იმ გარემოებაზეც მიუთითებს, რომ პრაქტიკაც არ გამოდის მხოლოდ შემეცნების ბოლოს, როგორც ეს ჩვეულებრივად არის ხოლმე გაგებული ჩვენს ფილოსოფიურ ლიტერატურაში. პრაქტიკის კრიტერიუმი, გარკვეული აზრით, მოქმედებაშია შემეცნების ყველა საფეხურზე, დაწყებული შეგნებიდან დამთავრებული ცნების შემუშავებამდე. ამასთან დაკავშირებით საჭიროა შევნიშნოთ, რომ როგორც ჭეშმარიტება, ასევე პრაქტიკაც უსასრულო პროცესია. აქედან შემეცნების დასაწყისსა და ბოლოზე ამ შემთხვევაში ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ კონკრეტული ეპოქისა და ცალკეული ფაქტის შემეცნების თვალსაზრისით და არა საერთოდ მთელი სინამდვილის შემეცნების თვალსაზრისით, რადგან ამ პროცესის შემეცნებას საზღვარი არ აქვს.

პრაქტიკისა და ჭეშმარიტების განუყოელი ერთიანობიდან გამომდინარეობს თეორიისა და პრაქტიკის, ცოდნისა და მოქმედების ერთიანობის მოთხოვნა. პრაქტიკა თეორიის დასაყრდენი შინაარსია, ხოლო თეორია პრაქტიკის გზის მაჩვენებელი ვარსკვლავი. ცდით და პრაქტიკით დადასტურებული ცოდნა წარმოადგენს ობიექტურ ჭეშმარიტებას, რომელიც მეცნიერულ რწმენაში გადადის. ცოდნა და მეცნიერული რწმენა ერთად შეერთებული ადამიანთა პრაქტიკულ მოქმედებას სამყაროს გარდამქმნელ ძალად აქცევს.

მარქსისტული პარტიის სიძლიერე ისაა, რომ იგი თავის რევოლუციურ პრაქტიკულ მოღვაწეობაში, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში, ემყარება შემეცნების მარქსისტულ-ლენინურ თეორიას,

რომლითაც სწორად ასახავს წარსულისა და აწმყოს მოვლენებს და მეცნიერულად ჭვრეტს მომავალს. თეორიისა და პრაქტიკის, ცოდნისა და მოქმედების ერთიანობის პრინციპის დაცვა და გატარება კომუნისტური პარტიის ჭეშმარიტი ხელმძღვანელობის საწინდარია. ამიტომ, ამბობს ლენინი, რომ თუ მარქსის თეორიის გზით ვიარეთ, ჩვენ სულ უფრო და უფრო მივუახლოვდებით ობიექტურ ჭეშმარიტებას (ისე კი, რომ ვერასოდეს ვერ ამოვწურავთ მას). ხოლო თუ რომელიმე სხვა გზით ვიარეთ, ვერაფერს მივაღწევთ, გარდა არევ-დარევისა და ტყუილისა[51].

---

51 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 14, გვ. 173.

შინაარსი

1. შესავალი 3
2. ჭეშმარიტების განსაზღვრება და მისი ნიშნების ზოგადი დახასიათება 10
3. ჭეშმარიტების სტრუქტურა 19
4. აბსოლუტური და შეფარდებითი ჭეშმარიტების დიალექტიკა . . 31
5. ჭეშმარიტების კონკრეტულობა 41
6. ჭეშმარიტება და პრაქტიკა 48

Дмитрий Филиппович Каландадзе

В. И. ЛЕНИН И ПРОБЛЕМА ИСТИНЫ

გამომცემლობის რედაქტორი რ. ფეიქრიშვილი
მხატვარი გ. ნადირაძე
ტექრედაქტორი ე. ბოკერია

გადაეცა წარმოებას 25.3.70 ხელმოწერილია დასაბეჭდად 8.V.1970.
ქაღალდის ზომა 60×90 ნაბეჭდი თაბახი 4,25 სააღრიცხვო-საგამომცემლო
თაბახი 3,63. უე 0,1313 ტირაჟი 1500 შეკვეთა № 836

ფასი 29 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 60, კუტუზოვის ქ., 15
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბა, თბილისი 60, კუტუზოვის 15
Типография Академии наук ГССР, Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15